

მ. გ. ჯანაშვილი

ქართული

მწერლობა

წიგნი I.

მწერლობა მე-X საუკუნემდე.

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და აშხ., ნიკ. ქ., 21.

1900 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ
28 Іюля, 1899 года.

ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ი .

	83.
ძველი წიგნები და ზეპირთხრობანი 1 ნებროტიანი	12
ურიანი სხქართველოში და მათნი გადმოცემანი	18
წმ. ნინოს და წმ. მირიანის ლო- ცვები	29
კულტურული ნიშნები	33
ქართული ანბანი და მოსე ქორე- ნელი	43
რომელ ენიდამ ითარგმნებოდა პირვ- ველი ქართული საღვთო წიგ- ნები	55
„ასურთა“ მამანი	76
ვახტანგ გორგასლის სახარება	81
უძველესი წიგნები	82
აღმოსავლეთის მწვალებლობა და საქართველოს მართლ-მადიდებ- ლობა	88

II

აპოკრიტნი წმ. ეფთვიმეს ჩვენებით 99*) საბაწმინდურნი და ათონურნი	101
ენა ძველის წიგნებისა	120
ბიბლია 978 წლისა	{ 125 191 – 192
წმ. აბოს ცხოვრება	127
წმ. გობრონის ცხოვრება	129
„სვანური“ კრებული IX – X საუ- კუნისა	131
მამათა ცხოვრება X საუკ	134
შატბერდის კრებული X საუკ	135

დავითნების განხილვა

ა. 976 წელს მეცნიერულად გამო-
ცემული დავითნი:

აღწერილობა წიგნისა	139
მისი წინასიტყვაობა	143
გალობანი	163

*) გვ. 99, სტრიქ. 3: ა ნ ე ლ ი ს წაი-
კითხე ა თ ო ნ ე ლ ი ს.

III

ქორონიკონი (გამოკვლევა ძველის ავქსონისა)	163
ფსალმუნის განაწილება	185

ბ. 1035 წელს გადაწერილი თარგ-
მანი დავითნისა:

აღწერილობა წიგნისა	193
შენიშვნები გადამწერისა	195
უხრწნელი მოძღვრება და უუსაჩი- ნოესი რიტორობა მე-X საუკ.	204

გ. ნიმუში 976 წელს გადაწე-
რილ დავითნის ტექსტისა
235.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ვარიანტი მეფე არჩილ II-ის (†
718 წ.) ცხოვრებისა 253 – 292.

მეორე წიგნში განვიხილავთ
ქართველთა მწერლობას მე-XI
– XII საუკ., და ვეცდებით

IV

პირველი წიგნიც, უკვე დაჭეჭ-
დილი, უკეთ შევიმუშავოთ და
აგრეთვე შევავსოთ სხვა წყა-
როების (მაგ. სახარებათა, სვი-
ნაქსრებისა და სხ.) განჩხრეკით.
„წიგნი ჭკუის სალესავიაო“,
ვთქვით ერთხელ. ჩვენს მამაპაპას,
ღვთით, მრავლად დაუტოვებია
გონებრივნი საუნჯენი. მათი გა-
მოქვეყნება ჩვენს საღვთო მო-
ვალეობას უნდა შეადგენდეს. იგი-
ნი საქართველოს ცივილიზაციის
ანკარა ნაკადულნია...

მ. ჯ.

განქიქება და განძარცვლა

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„დავითნი“ .

წმ. ნინოს პირველ მოწაფეთაგანი
აბიათარ, მცხეთელ ურიათა მღდე-
ლი, სწერს: „მას ჟამსა მე და ასუ-
ლი ჩემი (სიდონია) ღირს ვიქმნენით
საპკურებელსა და განსაწმედელსა ცო-
დვათასა – ემბაზსა, წყალსა მას წმი-
დასა, რომელსაცა ინატრიდა დავით
წინასწარმეტყველი და ვერ ეწივა *),

*) აქ ავქსონი იგულისხმებს მე-50 ფსალ-
მუნის მე-7 მუხლს, რომელიც მე-X საუკუ-
ნის „დავითნებში“ იკითხება ასრე: „მას-
ხურე მე საპკურებელითა შენითა და განვ-
წმიდნე, განზანე მე და უფროდს თოვლისა
განვსპეტაკნე“ (იხ. ქვემო დავითნების გან-
ხილვა).

და კუალად მესმა მე ჳმად ახლისა შჯულისა (= ახალ აღთქმისა) მგა-ლობელთაჲ, რომელსა ინატრიდა იგი-ვე დავით და ვერ მიემთხვა“. (გვერ-დი 53).

სიდონია სწერს: საქართველოს სა-მართლად ჩრდილო ერქვაო, რადგან მას ვერ ეცნო ძე ღუთისა, თუმცა-და „იყვნეს ესოდენნი წელნი და ესთენნი ნათესავნი ნოვესითგან და ებერისითგან და აბრაჳმისითგან და მუნ შინა იყო იობ აზნაუჯრი 2 განც-დილი გაწმცდელისაგან, ვითარცა იო-სებ, მოსწ, ისუ, მღდელნი და მსა-ჯულნი და შემდგომითი შემდგომად, რომელი იგი ვიცით სმენილი წიგნთა-გან საღმრთოთა“ (გვ. 29).

იგივე აქვსონი განაგრძობს: „ქე-რობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მათთა მაღალთა თაყვანის სცე-დეს მამანი ჩუენნი – გებელსა და გა-რიზინსა, – და მას ზედა არა იყო არ-

-5-

ცა ღმერთი, არცა მოსწ, არცა ნი-ში მათი, არამედ კერპნი ქვისანი უსულონი“.

იგივე სიდონია, გარდმოგვცემს რა ცნობას შესახებ იმისა, რომ „მოაქამო-მდწ“ არმაზსა და ზადენს ათას ყრმას სწირავდნენო, ხოლო გაცსა და გას ერთს სეფეწულს, რომელსაც ცეცხ-ლით სწვამდენ და მსს მტვერს, „გა-რდააზნევდნენ თავსა კერპისასა,“ – გა-ნაგრძობს:

„და ამის ყოვლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისა-სა, – რომელი წიგნთაგან ვიცი კითხ-ვით და მამისა ჩემისაგან თხრობილსა“. აი მისი მოთხრობა: ჳეროდეს მე-

ფობისას მოგვესმა ამბავი შესახებ
12-თა მოგვთა მოსვლისას იერუსა-
ლიმს თაყვანის საცემლად მისა „დავი-
თისსა“, უჟამოდ შობილისა უადგი-
ლოსა ადგილისა, მწირისა დედაკაცი-
საგან. თაყვანი სცეს, შესძღვნეს შე-

-6-

საწირავი და დაბრუნდნენ. ჰეროდემ
ყრმაჲ ვერ იპოვნა, წარმართა მახვი-
ლი „ყოველსა წულსა ზედა ორით
წლითგან უდარესსა, რათა იგიცა
მოსწყდეს მათთანა“. ამის შემდეგ გა-
ვიდა 30 წელიწადი, იერუსალიმიდგან
ანა მღვდელმა მოსწერა მამის მამასა
ჩემსა ოზიას, რომ იგივე ყრმა გაი-
ზარდა, მოვიდა იორდანის კიდე-
ზედ, საცა ზაქარიაჲს ძე ნათ-
ლავდა ერს; ყოველი ნათესავი
იერუსალიმისა განვიდოდა იოანესა და
და „შენი მამის დედის ძმად ელიოს
თანავე იყო*), მეოთხე წელს მო-
ვიდა ბრძანება ჰეროდესი: „ყოველ-

*) თეიმურაზ ბატონიშვილი სწერს (მისი
ისტორ.. გვ. 437): „ელიოზ მღვდელი წი-
ნადაც ჰყოფილა იერუსალიმში. იგი ფილიპე
მოციქულის კარგი მეგობარი იყო. ამ ჟამად
(ჯვარცმამად დასასწრებად) იგი პირდაპირ
ფილიპესთან მივიდა, რომელმაც ელიოზი
გააცნო ქრისტესა“.

-7-

თა ძეთა იერუსალიმისათა, განბნეუ-
თა ყოველსა ქვეყანასა, იხილეთ ერ-
თი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ
ერთი უფალი და ისწავეთ ერთი სი-
ტყვაჲ მოსესი, რომელი თქუა: „რო-
მელმან ქვეყანასა ზედა თქუას ლუ-
თად თავი თვისი, ძელსა დამოუკი-
დნენ. და აი გამოჩნდა ერთი კაცი –

იესო, რომელი თავის თავს ღმერთად ჰხადის, მოდით ყოველნი სიკვდილსა მისსა და აღვასრულოთ მცნება ლუთისა და მოსესი“.

სიდონია განაგრძობს: აქედგან წავიდა მამის დედის ძმა ჩემი ელიოზ (სჩანს უკვე დაბრუნებული ყოფილა საქართველოში), კაცი მოხუცებული, რომლის დედა იყო ტომისაგან ელი მღვდლისა. ელიოზს ჰყვანდა ერთად ერთი დაჲ – სიდონია.

დედა ასრე არიგებდა ელიოზს: „წადი, ხოლო ნუ გაერევი იმ საქმეში, რომელსაც: იგინი აპირებენ,

-8-

რადგან წინასწარმეტყველთა სიტყვა და ბრძენთა იგავი მაცხოვრის დაბადების შესახებ საიდუმლოდ არს, დაფარულია ურიათაგან, ხოლო წარმათათვის იქნება ნათელი და ცხოვრება საუკუნო“. (გვ. 33).

კვალად განაგრძობს იგივე ავქსონი: „წარვიდა ელიოზ და ყოველნი ჰურიანი ქართლით და აღესრულა ყოველივე, რომელი აწ ვიცით ნინოსს მიერ ევანგელეთაგან ქრისტეს მიერ“. ელიოსმა წარმოიღო ქრისტეს სამოსელი – კვართი (იქვე).

ვგონებ, უკვე იგულისხმეთ რისთვისაც ამოვსწერეთ აბიათარ მღვდლისა და სიდონიას თხრობილი: ნინოს დროსვე საქართველოში მყოფ ურიებს ჰქონიათ მთელი ძველი აღთქმა, გაცნობილი ჰქოქიათ, „ევანგელე“, ხელში სჭერიათ „დავითი“, მაცხოვრის განკაცება გაგონილი ჰქონიათ, თვით ელიოს მოხუცს თვალთ ნა-

-9-

ხული ჰყოლია მაცხოვარი (იორდანის ნაპირზე), ელიოსის დედა თითქმის ნახევრად ქრისტიანე ყოფილა. ურწმუნონი ამბობენ: ამ დროს საქართველოში არავითარი მწერლობა არ იყო, პირველი სამწერლო ნაშთები მე VII – IX საუკ. ჩნდებაო. ჩვენს ეკლესიას კი ძველი დროითგანვე სწამს თავისი წიგნი „მოქცევაჲ ქართლისაჲ, რომელშიაც შეტანილია ნაწერები: წმ. ნინოსი, სალომე უჟარმელისა და სიდონიასი, დაწერილი თვით ნინოს კანანახით, აბიათარ მღდლისა და მირიან მეფისა, ამგვარადვე ჩვენს ეკლესიას სწამს წმ. ნინოს მიერ თქმული ორი მოძღვრება, რომელიც ამოვიღეთ მე IX – X საუკ. ძეგლებიდან და უკვე დავბეჭდეთ ჩვენს ისტორიაში *). და მერე

*) Исторія Груз. церкви. Кн.1.
Обращение картвельцевъ.

აღვნიშნეთ, რომ ეს წიგნი, ალბად, სპარსთა თხუზულება იყო და ბოლოს ვთქვით, რომ ამის მეტი ამ „ნებროთიანის“ შესახებ სხვა ცნობა აღარ შენახულაო. მხოლოდ გუშინ საეკლესიო მუზეუმის ერთს ხელნაწერში (№ 153) წავაწყდით ფრიად საყურადღებო ცნობას ამავე „ნებროთიანის“ შესახებ.

ამ ხელნაწერში სხვა და სხვა წერილებია: ა) საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისა (გვ. 1–54); ბ) ადამის დასაფლავებიდამ მაცხოვრის დაბადებამდე, თარგმანი მამისა ეფრემისი (55—142), გ) თარგმანება დაბადებისა, დ) იერუსალიმის აშენება, ე) ფილოსოფოსთა სი-

ბრძნენი და სხვ.

წიგნი ძველის დედნიდამ გადაწერილია გარეჯაში, მე XVI – XVII საუკუნ. ხელით.

*) იხ. „ივერია“ № 156.

-13-

პირველი ორი წერილი აპოკრიფია. ავექსონი შენიშნავს პირველი წერილის ბოლოს: ამა წიგნსა ეწოდების ბერძნულად „აპუკუროფა“ (ე. ი. აპოკრიფი), რომელ არს სამოდვროთა კითხვა და არა ყოვლისა ერისა საამჯნო ყოფა, უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა რჯულის კანონი“ (გვ. 54).

ავექსონი დიდის დაწერილებით, და არა თანახმად „დაბადებისა“, მოგვითხრობს ადამის ცხოვრებას და კაცობრიობის გამრავლებასა, განაწილებასა და განვითარებას. ყველა ამას დიდი ფასი აქვს ცნობის მოყვარეთათვის და მოითხოს ცალკე განხილვას.

„ნებროთიანის“ შესახებ ცნობას კი აქვე ამოვწერ.

ნებროთ გმირის დროს გამოჩნდა ცეცხლი აღმოსავალით: ნებროთმა იხილა და თაყვანი სცა. მღდელთ უბ-

-14-

რძანა თაყვანი სცენ ცეცხლსა და უკმიონ გუნდრუკი. იქ, საცა ცეცხლი გამოჩნდა, იყო წყარო, მას ზედა შექმნა მშვილდი თეთრი, რათა ყველამ თაყვანი სცეს მას. თვითონ შევიდა ქვეყანასა იანკონს და ზღვის პირს რომ მივიდა, ნახა იუნიტან. ზღვაში იბანა და იუნი-

ტანს თაყვანსცა. „შენ მეფე ხარ და მე კი თაყვანს მცემო“, უთხრა იუნიტანმა. „შენ სანახავად მოვედიო“. მიუგო და მასთან დარჩა სამს წელს, და მისგან „ისწავა წიგნი სიბრძნისა“. შემდეგ ნებროთი დაბრუნდა აღმოსავლეთს. ერს ფრიად უკვირდა, ნებროთის სიბრძნის მეტყველება. მას ჰყვანდა ინდიბან მღვდერი. ეს შეეხვეწა ეშმაკს, ესწავლებინა „სიბრძნე იგი ნებროთისი“. მან უთხრა: „კაცი ვერ შემძლებელ არს ბრძენ ყოფად, ვიდრე არა დაწვეს დედასთანა და დასა, და ასულსა“.

-15-

ქურუმმა ეგრე ქმნა. მის შემდეგ ქურუმთა და მოგვთ წესად შეექმნათ დედისა, დისა და ასულის შერთვა ცოლად.

ამ ინდიბანმა პირველ იწყო ვარსკვლავთ რიცხვად, გრძნებად, ბედის თხრობად, მისნობად და ზღაპრობად. „და კარი ყოვლისა სიბრძნისადა ისწავა“. ამის მიმყოლნი დაისჯებიან დღესა მას აღდგომისასა.

ხოლო წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა ამისათვის, რამეთუ ვარსკვლავთ რიცხვად არს, არამედ სპარსნი უწოდებენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკვლავთ რიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგუნი „ფედ“ სახელსდებენ, რომელ არს „წიგნი სიტყვისა“. ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღურებად ეშმაკთა სიბილწისა, და უმეცარნი იტყვან,

-16-

ვითარმედ ჭემმარიტარსო, ხოლო არს
კარი გრძნებისა და შეგინებისა“ (გვ.
141–142).

ამაზედ ცხადი-ღა მოწმობა იქნება
დასამტკიცებლად ქართლის ცხოვრე-
ბის სიტყვისა, რომ მირიანს „ნებ-
როთიანი“ ეჭირაო და მით ამოწმე-
ბდა ქრისტეს განცხადების სიჭემმა-
რიტესო?!

იგივე მოწმობა განა არ ამართ-
ლებს ჩვენთა მეცნიერთა აზრს, რომ
ქართველ სამღვდლოებამ გააქრო
კვალი წარმართულ დროინდელ მწე-
რლობისაო?!

ნებროთმა, სწერია ამავე წიგ-
ნში, ააშენა აღმოსავლეთს დიდი
ქალაქები: ბაბილონი, ნინევი, რა-
სათანი, სულაკი, დარჯანი, კესტა-
ფანი (კტეზიფონი!), სმოკალანი.
(ენათა შერევის შემდეგ) წარვი-
დეს აღმოსავლით... და დაეშენნეს.
იყო სიტყვაჲ მათი ერთ, და ენასა

-17-

ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ-
დღემდე ენასა ასურთასა, ფრიად
ვრცელსა, ვიდრე სომხითამდე. და
არს ენაი იგი მეფე ყოველსა ენასა
ზედა, ერთა განბნევის შემდეგ იქმნა
სამოცდა ათი ენაჲ (129-131).

საზღუარი იაფეთისნი: აღმოსავლე-
თით მთითგან ნუდიასთანა ტიგრის
მდინარემდე და დასავლით ნებრისით-
გან ლოდარისამდე (გვ. 132).

შვილნი ქამისნი არიან მეგვპტელ-
ნი, ჰაბაშნი და ჰინდონი,*) ანაბნი,

*) ჰინდონი და ჰინდოეთი ინდოეთი არ გე-
გონოთ, იგი არის უდაბნო, ეთიოპია: „შენ
შემუსრე თავი ვეშაპისა მის და მიეც იგი
საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა“ (ფსალმ.

73, 14); იგივე რუსულად. Отдалъ лю-
дямъ пустыни (еѳіопскимъ), „მის წინა-
შე პირველად ინდონი შეუვრდენ“ (ფს. 71,
9); რუსულად: „Падуть предъ нимъ жите-
ли пустынь“. წმ. ნინო თავის თავს „ინ-
დოეთისად“ სთვლის, ე. ი. უდაბნოელად,
მწირად (იხ. „ახალი ვარ. ნინოს ცხოვრ.“,
გვ. 21,

-18-

ღაბდაკინნი, ლუვანნი, ლავდინნი,
არფანნი.

ძენი სემისნი არიან მპყრობელნი
სპარსეთისნი აღმოსავლეთიდგან ვიდ-
რე ზღუამდე სპერისა, და დასავლით
იგინი არიან შუა ქვეყანასა და კელ-
მწიფებით მეფობენ და ქუეყანასა იპ-
ყრობენ (იქვე).

და ასრე, კიდევ აღმოჩნდა ერთი
წყაროთაგანი ქართლის ცხოვრებისა
– „ნებროთიანი“ და კვლავ დამტკიცდა,
რომ ჩვენს მატთანეს უწყაროდ არა
უწერია-რა. ახლა გულ-დაჯერებით
შეგვიძლია ვთქვათ: „მატიანე არა
სტყუის, როდესაც ამბობს, მირიანს
„ნებროსთიანი“ ჰქონდაო და მით
შეამოწმა სიმართლე მაცხოვრის გან-
ხორციელებისაო“.

დიაღ, უწიგნოდ არა რიგდებო-
და-რა, დიდი სასწაულებიც ვერ ჰხე-
შავდნენ მეფეს.

ეს, ასეც რომ არ ყოფილიყო, როგორ

-19-

დავიჯეროთ, რა სათქმელია, საქართ-
ველოს ურიებს თავისი წიგნები არა
ჰქონოდათ, თავისთან ერთად არ მო-
ეტანათ თვისი უსადმრთოესი გარდ-
მოცემანი, თვისნი საგალობელნი.

როგორც ქართლის ცხოვრება გა-

დმოგვცემს, ურიანი საქართველოში შემოსულან ნაბუქოდონოსორის ჟამს (604 – 581 წ. ქრ. წ.). ამ ნაბუქოდონოსორმა რომ წარმოტყვენა იერუსალიმი (586 წ. ქ. წ.) და მრავალი ურია წაასხა ბაბილონს, მაშინ იერუსალიმიდგანვე გამოიქცნენ ქართლს მრავალნი ურიანი. მცხეთელ მამასახლისმა „მისცა და დასხნა იგინი არაგვსა ზედა, რომე აქვიან ზანავი“ (გვ. 25).

უკანასკნელი რაზმი ურიათა საქართველოში მოვიდა 70 – 79 წლებში (ქრ. შ). უესპასიანო კეისარმა რომ წარმოტყუენა იერუსალიმი, „მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს

-20-

მცხეთას და დასახლდეს ძველადვე მოსრულთა ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ჯვარცმასა უფლისასა განუტევეს ურიათა“ (გვ. 47).

რომ უცხოეთში გადახვეწილ ურიებს თან მიჰქონდათ თვისი საგალობლები (ან როგორ შეიძლებოდა, რომ კაცს უცხად დაევიწყა თვისი უწმიდესი გულის ხმა, თვისი კვნესა, თვისი სალოცავი!), ამას ცხად ჰყოფს 136 ფსალმუნი, რომელიც შედგენილია ანუ თვით ბაბილონის ტყვეობაში მყოფობის დროს და ანუ მის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების უმალ*).

1. მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით, რაჟამს მომიხსენეს, ჩვენ სიონი.

2. ძეწნთა **) ზედა შორის მისთა დავკიდენით ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ჩვენნი.

*) Свящ. Н. Вишняковъ. О проис-
хождении Псалтири, გვ. 462 – 467.

**) ძეგნი რუსულად „ვერბა“.

-21-

3. მუნ გვკითხვიდენ წარმტყვენლები სი-
ტყვათა მათ „ქ ე ბ ა თ ა ს ა („СЛОВЪ НѢС-
НЕЙ“) და წარმყვანელნი ჩვენნი გ ა ლ ო გ ა -
სა: „გვიგალობდით ჩვენ გალობათა მათგან
სიონისათა“,

4. ვითარმე ვჰგალობდეთ გალოგასა უფ-
ლისასა ქვეყანასა უცხოსა?

5. უკეთუ დ ა გ ი ვ ი წ ყ ო შენ, იერუსა-
ლიმ, დაივიწყენ მარჯვენედცა ჩემი“.

რათ უნდა, ვიფიქროთ, რომ ჩვენ-
სა გარდმოხვეწილნი ურიანიც ამას-
ვე არ იტყოდნენ, ასრევე არ იწუ
ხებდენ, მაყურებელნი თვისთა „სა-
გალობელთა“ და „ქებათა“, მომგო-
ნებელნი თვისს საყვარელ სამშობ-
ლოისა, დიდებულის იერუსალიმისა!
და აკი არც ივიწყებენ. როგორც
გადმოგვცემს ჩვენი მატთანე და ჩვე-
ნი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აქაუ-
რი ურიებიც არ სწყვეტენ კავშირს
იერუსალიმთან, მასთან მიწერ-მოწე-
რა აქვთ, გაფაციცებით თვალ-ყურს
ადევნებენ ახლად მოვლენილ ღმერთ-

-22-

კაცის საქმეებს, იქ მიდი-მოდიან,
იქაურ წიგნებსა და საგალობლებს
ჰკითხულობენ და სწავლობენ.

თუ უარს ვერ ვყოფთ, რომ სა-
ქართველოს ურიები სწორედ ზემო-
ხსენებულ ჟამს გადმოსახლებულან
ჩვენს ქვეყანაში,*) იმასაც ვერ უარ-
ყოფთ რომ აქ გადმოხვეწილებს
უეჭველად ექნებოდათ თავისი სამღვ-
დელ-მოქმედო წიგნებიცა. ურიებს

ჰქონდათ წესრიგი თვისის. წირვა-
ლოცვისა. საცა მიდიოდნენ ან საცა
გაიტყორცნიდა მათ ბედ-უკუღმარ-

*) რომ ურიები მართლაც სახლებულან
მცხეთაში ძველის-ძველ დროს, ამას ამტკი-
ცებს სამთავროს საფლავიდან ამოწერილი
ქვა ებრაულის წარწერით: „ესე არს საფლა-
ვი ძვირფასის მამის იეგუდისა, რომელსაც
ეწოდებოდა გურგ. მისი განსასვენებელი
იყოსმცა წმიდათა თანა, მისი აღდგომა მარ-
თალთა თანა“. (იხ. ხვოლსონის Сборникъ
Еврейск. надписей. გვ. 130).

-23-

თობა, იქ იგინი თავის სჯულს არ
ივიწყებდნენ თავის ლოცვა-წირვას
ასრულებდნენ. დანიელი და მისნი
მეგობარნი იმისთვის დაისაჯნენ, რომ
მტკიცედ ასრულებდნენ მშობლიურს
გადმოცემებს. მაშასადამე, საგონებე-
ლიც არ არის, რომ ესეთი მტკიცე
ხასიათის ერი მარტო ჩვენსა მყოფო-
ბისას უღალატებდა თავის საღმთო
მოვალეობას.

პირიქით, ჩვენში მათ ჰყოლიათ
თვისი მღვდლებიცა, მწიგნობარნიცა
და თარგმანნიც.

აი სიტყვები „მოქცევაჲ ქართ-
ლისაის“.

„ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე, მო-
გუესმა აქა, მცხეთელთა მკვდრთა, ბო-
დელთხ მღვდელთა, კოდისწყაროველთა
მწიგნობართა და სობის კანანელთა
თარგმანთა“... და სხ.

მაშასადამე, ურიებს აქაც ჰყოლიათ
ისეთივე სასულიერო წოდება, ვითა-

-24-

რიც იყო მათს პირვანდელ სამშობ-
ლოშია მათი სალოცავი სახლი (ბა-

გინი) იყო მცხეთას, „ქალაქსა შინა დასავალისა, კარსა მოგვეთისასა, მტკვარსა ზედა; აქა იყო მცირე ბაგინი, სამარხოვ მათი, რომელსა ზედა აღმართა წმიდამან ნინო ჯვარი ქრისტესი“ (გვ. 53). ამ ბაგინის კარსა ზედა იდგა ხე ერთი, რომელი განაშვენებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაერთხნეს რტონი მისნი ყოველსა მას სტოვასა ბაგანისასა“. მრავალი ურია გაუწყრა აბიათარ მღდელს გაქრისტიანებისათვის, იგი ხე მათ მოსჭრეს და მცხეთიდან წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ ბარაბნი მოინათლნენ (50 სული) და მცხეთაშივე დარჩნენ. მეფემ მისცა მათ დაბა ციხე დიდი“ (გვ. 55)

ეს ამდენი ურია რომელ ენაზედ ასრულებდა თავისს წირვა-ლოცვას, რომელ ენაზედ ჰგალობდა?

-25-

მივიღებთ რა მხედველობაში, რომ იგინი სცხოვრობდნენ საქართველოს დედა ქალაქში, რომლიდანაც 30,00 სულამდე მეომარი გამოდიოდა იმ ძველ დროს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა აქაურ ურიას ეცოდინებოდა ქართული ენა და ამ ენაზედ ექნებოდა გაწყობილი უმთავრესი ლოცვები მაინც, თუ არა მთელი წირვის წესი, და თუნდაც ეს ასრე არ ყოფილიყო, მაინც წარმოუდგენელია, რომ ამ ურიების პირით რაოდენათმე არ გავრცელებულიყო დავითის ღვთიური საგალობლები-ფსალმუნები. „დავითნი“ ხომ, როგორც თავშივე ამოვწერეთ „მოქვევად ქართლისაჲდამ და როგორც საგულე-ბელია, უნდა ხელში ჰქონოდა აბიათარ მღდელს“.

თვით წმ. ნინოს საქართველოში მოსვლას კავშირი უნდა ჰქონდეს აქაურ ურიების იერუსალიმს მიწერ-

-26-

მოწერასთან. წმ. ნინოს ბიძას იქ დიდი ადგილი ეჭირა. მისი დედმამაც იქვე გლახაკებს ემსახურებოდნენ. თვით ნინოც იქვე კარგა ხანს იყო და ურიული ენა უეჭველად ეცოდინებოდა, რაც მტკიცდება მით, რომ იგი ურბნისს მოსვლისავე უმაღლ დადგა „უბანსა ჰურიათასა ენისთვის ებრაელებისა“. შემდეგ მცხეთას რომ მოვიდა, ეცადა დაახლოვებოდა ურიათა მღვდელსვე, აბიათარს და ისე მოეწყო საქმე, რომ ჯერ ეს მღვდელი მოენადირებინა და მერე მისის შემწეობით (უკეთ ვსთქვათ, მისის წიგნების საფუძველით) მოექცია თვით მეფეც. სჩანს, აბიათარი გავლენიანი კაცი ყოფილა მცხეთაში და მეფის ნაცნობიც და მისი ენაც სცოდნია, რომ მასთან სარწმუნოებრივს მსჯელობაში შესულა.

თვით წმ. ნინოს, როგორც სჩანს მისის ქადაგებიდამ (იხ. ჩვენი Исторія

-27-

груз. церкви), თითქმის ზედ მიწევნით ცოდნია მთელი ძველი აღთქმა. და ან რა დასაჯერებელია ისეთი ღვთიური ადამიანი, როგორიც წმ. ნინოა, მოსულიყო ქვეყნის მოსაქცევად და მოსაქცევი იარაღი – ძველი აღთქმა და ოთხთავი კი არ შეესწავლა. და რომ ყოველივე ეს მან იცოდა, მტკიცდება მისივე სიტყვით: იერუსალიმში რომ ვიყავ, ბიძა ჩემმა მიმაბარა ერთ ქალს: „არა-

ვინ ყოფილიყო, არცა იყო შორის იერუსალიმსა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულისა გზასა ძუელსა და ახალსა ყოველსავე“, ასრე ახასიათებს წმიდანი თავის მასწავლებელს (გვ. 9). რომ წმ. ნინომ დაწერილი ოთხთავი (სახარება) მოიტანა საქართველოში, ეს, ჩემის ფიქრით, საეჭო არ უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრებაში“ და „მოქცევაჲ-ქართლისაში“ სწერია, რომ

-28-

წმ. ნინოს მოტანილ წიგნში ესა და ეს „მუხლები“ იყო. „მუხლები“, როგორც აღმოჩნდა, სახარების სიტყვები ყოფილა (იხ. ჩვენი Истор. груз. церкви, გვ. 64 – 65).

მირიანს რომ მზე დაუბნელდა და „მის გამო“ ირწმუნა ქრისტე, მცხეთაში დაბრუნდა. ამ დროს ნინო „დადგრომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა ჩვეულებისამებრ მაყვლოვანსა შინა და ჩვენ მისთანა ორმოცდა ათი სული“. მეფემ იკითხა: „სადა არს დედაკაცი იგი, რომელ არს დედაი ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი? მოახსენეს: „აქა მაყვლოვანსა შინა არს და ილოცავს“.

რომელ ენაზე ილოცავდა 50 სულთან ერთად? რა და რა ლოცვებს ამბობდა მწუხრისა? ნუ თუ მას არ უნდა სცოდნოდა „ლოთა ლოცვათა“, რომელიც თვით უფალმა მოსცა თვის მოწაფეებს? განა წმიდანი

-29-

უფლის ლოცვას და სხვა საგალოობლებს თავის ახალწერგ საშწყსო არ დაასწავლიდა მათს გასაგებ ენაზედ?

ეს უეჭველია, უამისოდ იგი ვერას
გაარიგებდა. კვალად მოიხსენეთ აქ
ზემო აღნიშნული სიტყვები: აღეეს-
რულა ყოველივე, რომელ აწ ვიც-
ით ნინოს მიერ ევანგელეთაგან ქრის-
ტეს-მიერ“ (გვ. 33). ცხადია, წმ.
ნინო სახარებიდამ ასწავლიდა მორ-
წმუნეთ ქრისტეს ამბებს, მის იგა-
ვებს, მისს სასწაულებს.

აქვე ჩავურთავ წმ. ნინოს და წმ.
მირიანის ლოცვებს.*).

ნინოს ლოცვა არმაზის შესამუსრავად.

უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა
შენითა გეცრუვნენ შენ მტერნი ესე: და, ესე
არს დიდითა სულგრძელებითა შენითა და
იქმან, რასაცა იგონებენ მტვერნი ესე და
ნაცარნი ქვეყანისანი; არამედ ნუ უგულე-

*) იხ. ჩვენი წიგნი Исторія грузин-
свой церкви (დამატება).

ბელს ყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი,
რომლისათვის ერთი სამეზისაგანი კაც
იქმენ
და აცხოვნენ ყოველი სოფელო ამათცა ნა-
თესავსა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა
უჩინოთა, სოფლის მჰყრობელთა, მთავარ-
თა ამას ბნელისათა, და მიჩვენე, მე ღმერ-
თო, მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა
ამას, ნაშობსა მონისა შენისასა, რათა იხი-
ლონ მაცხოვარებად, შენი ყოველთა
კიდეთა
ქვეყანისათა; და რათა ჩრდილოდ ბღვარსა
თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან შენ
მხოლოსა ღმერთსა თაყვანის გცეს ქრისტე
იესოდს მიერ, ღუთისა ჩვენისა, რომელსა
ჰშვენის მაღლობით დიდების შეწირვად აწ,
და

მარადის, და მერმეთა მათ საუკუნეთა.
ამინ.

მისივე ლოცვა მაყვლოვანსა ზედა ტაძრის აგების გამო.

კურთხეულ არს ღმერთი და მამად უფ-
ლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან
მოავლინა სიტყვად წმიდად მისი, ცათა მა-
ღალთაჲთ თვით ძლიერისაგან საყდრისა
გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად,
უეჭვე-
ლად შობად ჳორციელად თესლისაგან და-
მითისა, დედა-კაცისაგან მარტოდ
შობილი-
სა, წმიდისაგან და უბიწოისა, რომელი სა-

-31-

თნო ეყო მას და ამით მიზეზითა ცხოვრე-
ბად ჩვენი შექმნა და ყოველი ცასა ქვეშე
მყოფი განანათლა და უმეტეს მისა მიმართ
მორწმუნენი აცხოვნნა, რამეთუ იშვა ვითა-
რცა კაცი, პატივეცა ვითარცა ღმერთსა, ნა-
თელილო ვითარცა მსახურმან ვინმე
შჯული-
სამან წყლისა და მ ი წ ი ს ა გ ა ნ; ხოლო
მამით
და სულით წმიდით ზღვარდამო. იწამა და
იდიდა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და ადგა,
ავიდა მათვე სიმაღლეთა მამისათანა, და
მომავალ არს დიდებითა, რომელსა შვენის
გალობაჲ ამენითა.

ლოცვა წმ. მირიანისა პატიოსანის ჯვრის ამაღლების გამო.

უფალო იესო ქრისტე, რომელი გვრწამ
ტყვისა ამის მიერ და გვასწავეს მღვდელთა
ამათ შენთა, შენ იესო ქრისტე, რომელ-
მან თავი თვისი დაიმდაბლე და ხატი მო-
ნებისაჲ შთაიცივ სიმდაბლითა შენითა, რო-

მელი გარდმოხვედ კურთხეულთაგან
წიად-
თა მამისათა, რომელმან დაუტევენ
ჩვენთვის
საყდარნი, უფლებანი და ძალნი და
დაემკვი-
დრე საშოსა წმიდისა ქალწულისასა, და
მერ-
მწ ჯვარს ეცვ პონტოელისა პილატეს, და-
ფაელ გულსა ქვეყანისასა და მესამესა დღე-

-32-

სა ასდევ, და აღასრულე თქმული წინას-
წარმეტყველთაჲ აღჰმალდი ზეცად და
დაშჯედ მარჯვენით მამისა, და მერმე მო-
სვლად ხარ განსჯად ცხოველთა და მკვდა-
რთა, და დაგვიტევენ ჩვენ ნიში ჯვრისა
შენისაჲ დასარღვევლად უხილავთა მან-
ქანებათა მტერისათა, ხოლო ჩვენ მოშიშ-
თა შენთა მოგვიღებიეს სასწაულად, რათა
განვერნეთ პირსა ეშმაკისასა, რომლისგან-
ცა წარწყუენულ ვიყვენით. ხოლო აწ,
შენ უფალო ღმერთო მაცხოვარო ჩვენო,
ინებე გამოცხადებაჲ ადგილისაჲ, რომელსა
აღვმართოთ ნიში ჯვრისა შენისაჲ, რათა
იხილონ მოძულეთა ჩვენთა და ჰრცხვენო-
დის, რამეთუ შენ უფალი შემეწიე ჩვენ და
ნუგეშინის მეც ჩვენ.

აქ, მეტადრე წმ. მირიანის ლოც-
ვაში, მოთავსებულია (მოკლერდ) სიმ-
ბოლოს შინაარსი. თუ ეს ლოცვა
თვით მირიანის დროს არ ყოფილი-
ყო შედგენილი, მერმინდელი დრო-
ის ავქსონი რად არა გაიმეორებდა
სრულს სიმბოლოს, რომელიც, რო-
გორც ვიცით, შეადგინა მეექვსე
მსოფლიო კრებამ (680 წ.)

-33-

ეს ლოცვები აქ განგებ აღვნიშ-

ნეთ. ამბობენ, ამ დროს ქართველებს ანბანი არა ჰქონდათ და ამ ლოცვებსაც ვერ დასწერდნენ დაჰ ანუ ვერ დააწერინებდნენ ვერც წმ. ნინო და ვერც წმ. მირიანო „ქართველთ მიქცევა“-ცა და ეს ლოცვებიც შეთხზულია მერმენდელ დროსაო, მაგ. მე-VII – IX საუკუნოებშიო, ე. ი. მაშინ, როდესაც დაიწერა წმ. აბოს ცხოვრება და სხ. წიგნებო.

ამის მთქმელები, გვგონია, არ აკვირდებიან თვით ენას დაწერილისას. ვთქვათ ეს ლოცვებიცა და „ქართლის მოქცევა“-ც ნაშთია მე-VII – IX საუკუნისა, ვსთქვათ, ამ დროს პირველად გაჩენილა ქართული ანბანი და ამ დროსვე დაწერილა პირველი ქართული წიგნი. აბა ახლა ნახეთ და დააკვირდით ამ პირველ წიგნის ენას!

ყოვლად განვიარებული ხერხი აზ-

-34-

რის აღნაქსვისა. – ყოვლად განვითარებული წეს-კანონი წინადადებათა შეკავშირება-შექსოვისა. – დაუწევედწელი წყარო სიტყვათა მომდინარეობისა უაღრეს და უზენაეს ცნებათა გამოსახატავად.– სრული და ყოვლად თავისუფალი ენამზეობა და მუსიკა ნაწერისა!

ესეთია ნიშან-ხატი ამ „პირველ“ ქართულ წიგნისა!

მითხარით ახლა, მე VII – VIII საუკუნის წიგნი შეიძლება იწოდოს „პირველ“ ქართულ წიგნად? არ შეიძლება. ამგვარის ქართულით ნაწერი ძეგლი რაოდენიმე თავობისა მაინც უნდა იყოს, ამგვარი „პირველი“ წიგნი ისეთის მუსიკითა, ენამზეობითა და ანუ გრამატიკულის კანონიერებით არ იწერება, როგორც ჩვენ

ვხედავთ ხსენებულ საუკუნოებში დაწერილ ქართულ ძეგლებს.

ჯერ დღესაც სახარებას ვერ გადასთარგმნით, თუ გინდ, ლეკურს ენა-

-35-

ზე ისე, რომ ამ ენაში მოიპოვოთ ყოველი სახსარი ქრისტეს სწავლის გამოსათქმელად!

და ჩვენს „პირველ“ წიგნში კი ესრეთი „უპოვრობა“ არ არის.

მაშასადამე, ამ „პირველ“ წიგნს გამოვლილი ჰქონია არა აერთი თავობა, ერთი სკოლა.

და აგერ ჩვენი მატთანეც გადმოგვცემს, რომ წმ. მირიანს „ნებროთიანი“ ჰქონდაო, წმ. ნინომ თვისი ცხოვრება აღწერაო, აბიათარ მღდელმა და სიდონიამ დასწერეს ძველი გარდმოცემა შესახებ უფლის კვართისა, ქრისტეს ჯვარცმისა და სხვა, ვახტანგის დედას სჯულის მეცნიერ კაცებმა სახარება უთარგმნეს, თვით წმ. მირიანმა შვილს დაწერილი ანდერძი დაუტოვაო და სხ.

აქ ჩვენ ნება-უნებლიედ გვაგონდება უცხოელ მწერალთა ნათქვამი ქართველთა ტომ-მოდგმის შესახებ.

-36-

ეგვიპტელებს საქართველოდგან გაჰქონდათო (XVII – XIV ს. ქრ. წ.) ოქრო, კალა, ტყვია, რკინა, ბრინჯაო უადრესის ხარისხისა, ფოლადი, „რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ერმა არ იცოდაო და აქ კი ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროითგანვე“*), აქაური სელი, საღებავები, წამლები, აქაური კრამიტით დახურული სახლემი, ქსე-

ნონები, ერის სტუმართ-მოყვარეობა, სიგმირე და საზოგადოდ მთელი მისი ყოფა-ცხოვრება შემკულია არა ერთის ბერძენ-რომაელთა მწერლისაგან.

აპოლონ როდოსელის (250 – 200 ქრ. წინ.) მოთხრობიდან სჩანსო, ამბობს რიტტერი, რომ რუკათა შედგენის ხელოვნება კოლხიდელოთ უფრო ადრე იცოდნენო, ვიდრე ბერძნებ-მაო. კოლხიდელებმა თვის. წინაპარ-

*) ფ. ლენორმან. Исторія востока, გვ. 466.

-37-

თაგან ფრიად ძველ დროს ისწავლეს ქვის დაფებზედ რუკების ხაზვაო. შემდეგში დაფების მაგიერ ხის დაფებს ჰხმარობდნენო. და ამ დაფებს მათს ენაზედ ერქვა „კირზის“,*) სწორედ ის სახელი, რომლითაც იწოდებოდნენ 400 წლ. ქრ. წინა დროის კანონები ათინელთაო. ეს დაფები შეიქმნენ დასაწყისად ლანდქარტათაო.

ეს ცოტაა კიდევ. ეს კულტურული ერი დასახლებულია მათისავე სიტყვით ორ ზღვას შუა არეზამდე და კათბადუკიამდე. მას აქვს პოლიტიკურია და საალებ-მიცემო დამოკი-

*) კ. რიტტერ. История землевѣд. ვინ იცის, ამ „კირზის“ ნაშთი იყოს აწინდელი კარი (კარები = კარეფი), რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სიმტკიცეს, სიმაგრეს, შეკვრას, და მამასადამე, სჯულდებასაც. მასვე ვადარებ „კერპს“, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კახასთვის სჯულმდებელი სალოცავი, ღმერთი.

-38-

დებულება ბერძენ-რომაელებთანა და სპარსელებთან და აგრეთვე სარწმუ-

ნოებრივი ერთობაც. 1-ლს საუკუნეში ფარსმან ქველი ჰფლობს თვით სომხეთსაც. 138 წელს რომს მგზავრობს მეფე ფარსმანი თავის მეუღლითურთ. ნუთუ ამ გვარ დამოკიდებულებას, ამგვარ ყოფასა და კულტურულს წარმატებას არ შევძლო განევითარებინა თვით ქართული ენაც და არავისთვის არ ჩაეგონებინა საჭიროება მშობლიურ მწერლობის გაწყობისა? ოღონდაც!

ქართველებს მრავალი ტაძრები და სალოცავები ჰქონდათ. თვისი ქურუმები, დასტურების და ქურუმთ უფროსები. სალოცავებში ღამის თევით ლოცვა იცოდნენ. მშობლიურ ღვერთის გარდა, ჰყვანდათ კიდევ ბერძენთა ღმერთები აპოლონ, არტემის აფროდიტა, კრონოს და სხ. მზე, ვარსკლავები, ცისკარი, დედა ადგი-

-39-

ლისა (ტყისა, მთისა, მდინარისა და სხ.) ქართველობის ღმერთებადვე ითვლებოდნენ. ყველა ამათთვის რომ საკუთარი საგალობლები ექნებოდათ, ამის დამტკიცება საჭირო არც-კი არის, თუ მივიღებთ მხედველობაში დღემდის დარჩენილ წარმართულ „კერპთ“ მსახურებას თუშ-ფშავ-ხევსურებისას, სვანებისას და აფხაზებისას, და აგრეთვე ზოგიერთ სიმღერებსაც ანუ სიმღერების დაბოლოებათ. გურული „აგუნა“ მოგვაგონებს ქართულს ღმერთს გაიმს ანუ გაინს; „არალე“ ანუ მისი მრავლობითი „არნი არნანე“ და აგრეთვე „ია(ვ)ნანო“, „(ვარ)-დო-ნანო“ უნდა იყოს ნაშთი საგალობლისა, რომელსაც ქართველი უგალობდა თვისს ღმერთებს არეს, აინინას, დანინას. „მზე შინაო“-ს

დასაბამი, უეჭველია, თავდაპირველად გაინასკვა მზე-ღმერთის არმაზის ანდალმის წინაშე. საკრავს

-40-

თარს, ვინ იცის, ჰქონდეს რაიმე კავშირი ჩვენს თარალე, ვარალე, თარალალე, ვარხალე, თარხალე-სთან და მას კი ბერძნულს თარგილია-სთან,*) რომელსაც იგინი უგალობდენ მზის ღმერთს აპოლონს და არტემის. „ოდელია“ (სვანური „დალი“ და ჩაჩნური „დელი“, ღმერთი), შესაძლებელია, იყოს ნაშთი ქალ-ღმერთისა „დაძრე“, რომლის სალოცავი იყო ქუთაისის ახლოს. დაძრე მეგრულის გამოთქმით უდრის ქართულს დაა, დაა არი, ხოლო ოდელი = სა-დე-ლი, ე. ი. საღმრთო.

*) ბერძნულად: tharreo (თარრეო), ვიზედმე ნდობის დამყარება, სასოება; tharraleos (თარრალეოს), მსასოებელი, ასხოვანი, მხნე, ჯომარდი, უშიშარი, გულმტკიცე. შესაძლებელია, რომ ჩვენი თარი და ბერძნული კითარი (კი-თარა) ერთი და იგივე მუსიკალური საკრავი ყოფილიყო თავდაპირველად.

-41-

რაწამს ცისკარი იხილა მედეამ,*) ამბობს ძველი დროის მწერალი, დაშლილი ნაწნავები შეიკრა და დაიბანა თვისი ხმელ-ხმელი ლოყები. ხოლო ტანზე იცხო სანეკტარო ზეთი. მერე ჩაიცვა ლამაზი საცმელი რომელიც ხელოვნურად შეკრული იყო ხრიკებით. ნელსაცხებლით ცხებულ თავზე და-
იხურა თეთრი ჩიქილა, შემდეგ დაფაცურდა

სასახლეში და 13 გოგო-ქალწულს უბრძანა ეტლში შეებათ ჯორები და წაეყვანათ იგი გეკატეს ბრწყინვალე ტაძარში. მოახლეებმა ეგრე ქმნეს, მედეამ ამოიღო სკივრიდამ „პრომეთეოსის“ წამალი-საცხებელი. ვინც ღამის თევით გულს მოიგებს ქალწულ-ღმე-

რთის დაძარა-ს გულს და ამ საცხებელს იც-

ხებს ტანზე, მას ვეღარ გაჰკვეთს ხმალი, ვეღარ ავნებს აღზებული ცეცხლი და ამას გარდა იმ დღეს ყველას აჯობებს ღონით. ეს წამალ-საცხებელი პირველად მიიღეს მაშინ, როდესაც კავკასიონის მწვერვალებზე არწივის წყალობით დაიღვარა სისხლი უბედურის პრომეთეოსის. ყვა-ვილი, რომლისაგან ეს წამალ-საცხებელი იწურება, ერთი ალაბის სიმაღლეა, ორი

*) განი, 1, გვ. 50 – 51.

-42-

ღერო აქვს და ფესვის ფერი უმის ხორცი-სა. შავი წვენი ამ ფესვისა, მსგავსი მთის მუხის წვენისა, მედეამ შეაგროვა კასპის ტა-

ძრიდამ მოტანილს ბაკანში და მერე მუდამ ხმარობდა, როგორც წამალს კოლხთა მეფის აეტის ეტლს ჰმართავდა აფსირტოსი (ალბად აფხაზი=აფშილი, აფსარი, აფსუა).

მეფე ფარსმან-ქველი რომ სპარსე-ლებმა ღალატით მოკლეს, „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყე-ბა ყოველთა ზედა ქართველითა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთადმე: იტყებდეს თავთა ყოველნი. და ყოველნი ქალაქთა და დაბნებთა და-სხდიან მგოსანნი გლოვისანი, შეკრ-ბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმ-სნეს და სიქველისა, სომშვენიერესა და სახიერებას ფარსმან ქველისასა

და იტყოდინან: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგუძინა სვემან ბოროტმან და მეფე ჩვენი რომლისაგან ხსნილ ვიყვნით ოხრებისაგან მტერთასა, მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან და აწ

-43 -

მივეცით ჩვენ ნათესავთა უცხოთა *).

ჰოდა, ვიმეორებთ, ეს მოკლე ნუსხაც ქართულის განათლებისა ეჭვსაც არ ჰბადებს, რომ ნინოს დროს ქართული ენა საკმაოდ განვითარებული იქმნებოდა.

რაიც შეეხება იმ კითხვას, რომ, ვითომ ქართული ანბანი მოიგონა მესროფმა მე V საუკუნეშიო, ამის უარ-საყოფელი საბუთები ჩვენ კვლავაც აღგვიწიშწავს და აქ კიდევ და ვასახელებთ ორიოდს.

მ. ქორენელი სწერს:**) „მესროფი წარვიდა-რა ივერთა ქვეყანას, ღვთის მადლით იმასაც შეუქმნა ანბანი

*) ფარსმან ქველის გლოვას იხსენიებს მეფე ვახტანგ VI თავის ბიძისა (გურგენხანის), მამისა (ლევანის) დატირებაში. ეს დატირება უმაღლესად განვითარებული მჭევრმეტყველებაა ქართულ სამგლოვიარო რიტორობისა (იხ. საეკლ. მუზ. ხუცურად ნაწერი სიგელი № 871).

**) მ. ქორენელი, გვ. 211, 218 – 219.

-44-

დჩახის (Дчахи) დახმარებით. ეს დჩახი (დაჩი!) იყო მთარგმნელი ბერძნულისა და სომხურისაგან. ივერთა მეფე ბაკური და ეპისკოპოსი მოსე ჰმველოდნენ მესროფს. აქ იგი შეჰკრებს ვაჟებს, ორ განყოფილებად ანაწილებს მათ და უწესებს მასწავლებლებს. მერე მიდის ახოანქს (ალბა-

ნიას), იგონებს ანბანს გარგარაცთათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მიდის გარდამანს, საცა მწვალეობისაგან მოაქცევს მის მთავარს ხურსის. მერე მიდის ტაშირს (ბორჯობს) „ბდეშხის“ აშუშას მიწვევით და იქაც იღებენ მის სწავლას. „ამ დროს საქართველოში მეფობდა არჩილი“ (Ар-дчилъ). სპერში (ისპირს) სკოლების უფროსებად ადგენს ლეონტისა და ენოხს. ლეონტი და ქორიუნი ბიზანტიას მიდიან სწავლის მისაღებად“.

ეს ცნობები ფრიად საყურადღებოა არა თუ მარტო ქართულ მწერლო-

-45-

ბისათვის, არამედ თვით ყბად აღებულ მოსე ქორენელის დროის გამოსამიებლადაც. მესროფის მიერ სომხურ ანბანის მოგონება დადებულია 404 წელს. აბა ახლა თვალი გადავავლოთ ქორენელის ნათქვამს.

„ქართველთა მეფე ბაკური და მოსე ეპისკოპოსი მესროფს ჰშველიდნენო“. თუ ბაკური მეფე იყო, იქნებოდა ასბაკური, რომელიც, ბერძნების წყაროებით, საურმაგთან ერთად მეფობდა 364 – 874 წლებში. გამოდის, ჯერ მესროფს უმოღვაწნია საქართველოში ამ ბაკურის ჟამს და მისის შველითა და აგრეთვე დჩახისა და მოსე ეპისკოპოსის შემწეუბით გაუმართავს ქართული ანბანი და მერე წასულა სომხითს და იმათთვისაც მოუგონია სომხური ანბანი! გარნა ყალბის მქნელი კი გვარწმუნებს, ჯერ სომხური მოიგონა და მერე ქართულიო. და რადგას სომხური

-46-

მოუგონია 404 წელს, მაშ ქართუ-
ლის მოგონება სხვა ბაკურის დროს
მომხდარა. ხოლო ბაკურ მეფე მე-
ქვსე საუკუნემდის აღარ გვხვდება.

„გუგარქის ბდეშხმა აშუშამ თავის
ტაშირის სამფლობელოში შესროფი
მიიწვიაო“. აშუშა „ბდეშხი“ მე IV-V
საუკუნოებში არა გვხვდება. გარნა
აშუშა (იგივე არშუშა) შატბერდის
კრებულით კურატპალატობს შემდ-
გომად გურამისა (+648 წ.) წმ.

ესტატე მცხეთელის ცხოვრებით კი
იგი „პიტიახშობს“ (პიტიახში=ბდე-
შხი). იქა სწერია: აღდგეს მთავარნი
ქართლისანი და სამოელ ქართლისა
კათალიკოზი (671 – 677) და გრი-
გოლ ქართლისა მამასახლისი და არ-
შუშა ქართლისა პიტიახში, და სხვანი
სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქვეს“...

მართლაც, პიტიახშები ქართლისა
ჰფლობდენ ტაშირსა და სურამს და ითვ-
ლებოდენ სპასპეტებად მხედრობისა.

-47-

მე IV – V საკუნეში არა გვხვდე-
ბიან აგრეთვე მოსე ეპისკოპოსი და
დჩახი; ვფიქრობთ, რომ ქორენელის
ნაჩვენები მოღვაწენი ლეონტი და
და ენოხი ისპირელნი, ხურსი, მთა-
ვარი გარდაბანისა და ქორიუნი აგ-
რეთვე იყვნენ ქართველები. ის-
პირი და გარდაბანი საქართველოს
პროვინციები იყვნენ. ხურსი და ხუ-
რსიძენი რომ ქართველები იყვნენ,
ეს სჩანს მცხეთის მე XI საუკ. სი-
გლით. და თუ ესრეთი ჩვენი ფიქ-
რი შესაწყნარებელია, მაშინ აღნი-
შნული სახელები ისევ მე VI–VII
საუკუნეს მიგვიყვანენ.

თუ დჩახი დაჩია, ამ. სახელით
ორს მოღვაწეს ვიცნობთ: ერთი და-

ჩი იხსენიება სვიმონ კათალიკოზის (VIII საუკ) ჟამის წირვაში და ამასთანავე აგრეთვე მწერალი მოსეც, და მეორე დაჩი მე IX – X საუკ. და ეს უკანასკნელი მართლაც სთა-

-48-

რგმნიდა წიგნებს სომხურიდამ. ხურსი და ჰხსურსიძენი თუმცა პირველად მე-XI საუკუნეს გვხვდებიან, გარნა შეიძლება ძველადაც ყოფილიყვნენ. ლეონტი მროველმა აღწერა წმ. არჩილ მეფის († 718 წ.) ცხოვრება. ქორიუნი თუ კირიონია, მაშინ ვიცით, რომ ამან დაამხო ცურტავის ეპისკოპოსი მოსე ერთბუნებო-. ვანთა სწავლის მიღებისათვის.

ყველა ამისგამო „ბდეშხის აშუშას თანამედროვე ქართველთა მეფე იყო არჩილიო“ მხოლოდ იმას გვეუბნება, ჩვენის ფიქრით, რომ ეს არჩილი ყრფილა არჩილ II (668 – 718 წ.)

და მეცნიერებიც ამას ამბობენ, რომ ქორენელი უნდა იყოს მე VII საუკუნის დამლევის და მე VIII ს. დამდეგის მწერალიო. ნიკო მარრიც ამასვე ამტკიცებს მეათე საუკუნის ქართულის წყაროების შემწეობით.*).

*) ნ. მარრი. Изъ поѣздки на Аѳонъ, გვ. 17 – 18.

-49-

ქორენელის დროის აღნიშვნა ჩვენთვის საჭირო იყო იმისთვის, რომ იგი შეემოწმა შესახებ კითხვისა, თუ მესროფის დროს რომელი ენიდამ ითარგმნებოდა წიგნები ქართულად და სომხურად.

ქორენელი, როგორც ვსთქვით,

სწერს: „მესროვმა ღჩახის დახმარებით ქართველებსაც შეუწყო ანბანიო ეს ღჩახი იყო მთარგმნელი ბერძნულიდამა და სომხურ მნიდამო“ (გვ. 211).

„მარუჟანმაო, განაგრძობს ქორენელი, გადასწვა ყველა ბერძნული წიგნები, რომელიც კი, იყო ჩვენს ქვეყანაში. და შემდეგში, სომხეთის გაყოფის მერმეთ, სპარსთა მმართველნი თავის ნაწილს სომხეთში აღარავის ნებას აღარ აძლევდენ ესწავლათ ბერძნული, თვინიერ მხოლოდ არაბულის ენისა“ (გვ. 211). ამიტომაც, რადგან ბერძნული ტექსტი

-50-

არ იყო, სააკი (მე IV ს.) სთარგმნიდაო ასურულიდამ (იქვე).

რას გვეუბნება ყველა ეს? გვეუბნება იმას, რომ

ა) ქართველებს ძველადვე გაწყობილი ჰქონიათ მწერლობა, წყაროდ თარგმნისა ჰქონიათ ჯერ ბერძნული ენა და მერე სომხური (ასურული?).

ბ) სომხებს დასაწყისშივე მერუჟანისა და სპარსელების წყალობით დარეტიათ უმთავრესი წყარო თარგმანისა – ბერძნული ენა, და დაშთენიათ მხოლოდ ასურული.

თუ, მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მაშინ მსოფლიო ენად ითვლებოდა ბერძნული, რომ ეს ენა იყო უმთავრესი და უპირველესი წყარო ღვთისმეტყველებისა და საღმთო წერილისა საზოგადოდ, უნდა ვიფიქროთ, მერუჟანის საქციელი და სპარსთა მარზაპანების გან-

-51-

კარგულება რაოდენათმე დააკნინებდა
სომხურს მწერლობას!

ამიტომაც, შეიძლება დავდოთ
მოსაზრება, რომ ამ დროს სომხის
მწერლები ნება უნებურად შეის-
წავლიდნენ ქართულს მწერლო-
ბასაც, რადგან აქ უმთავრესი
ნაკადული, როგორც აღნიშნავს
თვით მ. ქორენელი, ბერძული წყა-
როდამ შემოდიოდა. და რომ მარ-
თლაც ეს ასე იყო, რომ სომხის
მწერლები სწავლობდნენ ქართველ-
თა ცხოვრებას, ამის საბუთად ჩაითვ-
ლება იმავე ქორენელის ისტორია,
რომელშიაც ნახმარია ქართული სიტ-
ყვა „სეფეწული“: „...ალბად ჩმო-
მავლობდენ ჩვენთა მეფეთაგან მსგავ-
სად იმისა, ვითარცა დღეს ივერიაში
ვხედავთ „სეფეწულებს“ (გვ. 83).

მ. ქორენელის ისტორიის კითხვის
დროს ყოველთვის გვებადება აზრი:
რისთვის დასწერა მან ეს „ისტო-

-52-

რია“? და იმ საგონებელს ვეძლე-
ვით, რომ მოსე ქორენელი იყო და-
მსწრე ქართველთა და სომეხთა ეკ-
ლესიის შორის გამწვავებულ ბრძო-
ლისა. ეს ბრძოლა მას საკეთილოდ
არ მიაჩნდა ორთავე მეზობელ ერი-
სათვის. მათ შესარიგებლად და სიმ-
წვავის დასაცხრობად აიღო კალამი
და დასწერა, რომ ძველიდგანვე ჰა-
ოს-ქართლოსი ერთად, ძმურად,
სცხოვრობდნენო, ერთად იბრძოდ-
ნენო, სეფეწულობა ერთნაირი ჰქონ-
დათო, ეკლესიაც ერთი იყოო., ან-
ბანიც ერთად გააწყესო წიგნებსაც
ერთმანეთისგან სთარგმნიდნენო, კა-
თოლიკოსობაც ერთი ჰქონდათო, და

ახლა რა დაგვემართა, რომ ვიბრძვითო!

თვით მ. ქორენელი უნდა ყოფი-
ლიყო ქართველობის მომხრე და წი-
ნააღმდეგი სომეხთა მწვალებლობისა.
ასრე ვფიქრობთ იმიტომ, რომ იგი
თავის ისტორიის უკანასკნელს „თავ-

-53-

ში“ იგლოვს სომხეთის დამხობას ამ
სიტყვებით:

მშობლებმა ბიზანტიას გამგზავნეს
განსავითარებლადო, ჩემს დაბრუნე-
ბას მოელოდნენ და ჩემის მრავალ-
მხრივ ცოდნითა და განვითარებით
ამაყობდნენ. ვისწავლე და... დავბრუნ-
დი. გარნა მშობლები დახოცილები
დამხვდა, მამულიც დამხობილი. ვი-
ლა დააფასებს ჩვენს განათლებას? ვი-
ლა დაადუმებს იმათ სილირფეს, რო-
მელნიც წინააღმდეგნენ გონიერს სწავ-
ლას, რომელნიც, რახან. არა აქვთ
თავსა შორის თვისსა სიმტკიცე და
შეურყეველობა, მარადის იცვლიან მას
წავლებელთაცა და წიგნთაც?

შემდეგ ასრე ამხილებს სომხის მო-
თავე კაცებს:

„მასწავლებელნი სულელნი, თავისა
თვი-
სისა კმაყოფილნი, პატივის
მიმთვისებელნი
და არა მოწოდებულნი ღვთისაგან, აღრჩე-
ულნი ოქროს მეოხეგით და არა სულის
წმი-
დით; ვეცხლ მოყვარენი, შურიანნი, სიმ-

-54-

შვიდის დამტოვებელნი, შექმნილნი მგლე-
ბად, მაოხრებელად ცხოვართა!

„მონაზონნი მოპირფერე, მკვეხარა ცრუ-
მედიდურნი, პატივის მოყვარენი უფრო,

ვიდრე ღვთისა!

„ეკლესიათა მსახურნი ამაყნი, სხვათა დასაგმობად... სწრაფნი, ამაოდ მეტყველნი, ზარმაცნი... მოწაფენი სწავლაში ზარმაცნი, სხვათა საქადაგოდ სწრაფნი. თეორიის სწავლის უწინარესვე ღვთისმეტყველნი.

„ერი ზვავი, გაუგონარი, დიდმეთქვი უქმობის მოყვარე, დამცინავი, ბოროტმოფელი, რომელი გაურბის სასულიერო ღირსებას.

„მეომარნი უსამართლონი, მოუთმინარნი, ტრაბახნი, თვისი წოდების არ მოყვარენი, ზარმაცნი, გაყვინიზებულნი, მოუთმინარნი, მმარცველნი – ღირსეულნი ამხანაგნი ავაზა-თა!

„თავადნი მაშფოთარნი, ამხანაგნი ავაზაკთა, მტაცებელნი, ძუნწნი, გაუმაძღარნი მმარცველნი, გამაოხრებელნი, უზნეონი, თვისთა მონათა თანამზრახველნი!

„მსაჯულნი უდიერნი, მატყუარანი მექრთამენი, კანონთა უყვარულნი, არა მტკიცენი, მოყვარენი დავა-დარაბისა.

-55-

„ყოველნი საზოგადოდ მოკლებულნი არ-

იან სიყვარულსა და სირცხვილს“!

მე VII – VIII საუკუნის მწერალი მ. ქორენელი ასრე ამხილებს სომხის თავ კაცებს და მათ მასწავლებლებს მგლებს ადარებთ! თუ ქორენელი სო=მეხთა „მწვალებლობის“ თანაზიარი ყოფილიყო, ვეჭობთ ასრე შეურაცხეყო მასწავლებელნი, ე. ი. სამღვდელოება კათოლიკოზითურთ. ასრეთი მხილება შეჰფერის „მართლმადიდებელს“. ქვემო წარმოვადგენთ ამგვარ მხილებას საქართველოს კათალიკოზის არ-

ასენისას (მე X ს.), რომელიც დი-
დად ჰგმობს სომეხთა სამღვდელოე-
ბის შეცდომას და პეტროს მკაწვ-
რელს და სომეხთა მწვალეობის
შემომღებს მგლად სთვლის.

მიუხედავად ყველა ამისა, ამბობენ,
საქართველოს უუძველეს დროის მწე-
რლობა დამოკიდებული იყო სომხურ
მწერლობაზეო, ქართულში გვხდება

-56-

სომხური ფორმები საკუთარ სახელე-
ბისაო, მრავალი სომხური სიტ-
ყეობიო, სომხური მეტყველების საქ-
ცევებიო და სხ.

მეზობლად მცხოვრებნი ერნი ვე-
ლურები იქნბოდნენ, რომ ერთმანე-
თისაგან არა ესესხნათ რა, არა გად-
მოეღოთ რა. თუ ქართველები სთა-
რგმნიდნენ სომხურიდანაც საჭირო
წიგნებს, ქებად ჩაეთვლებათ, ყველა-
ნი იტყვიან, ქართველები ფხიზელი
და წიგნის მოყვარე ერი ყოფი-
ლაო.

გარნა, გვაკვირვებს ჩვენ ერთი
მხოლო: თუ ქართველებმა თავ-და-
პირველად საღმრთო წიგნების თარგ-
მნხ იწყეს სომხურიდგან, მაშ როგორ
მოხდა ისეთი განსხვავება საკუთარ
სახელებისა, როგორიც ქართულშია
და სომხურში!

აი მოკლე ნუსხა უმთავრეს სახე-
ლებისა:

-57-

ქართული	სომხური	ასურული
იესო (ივსო)	ჰისუს ქრი-	იშუ შჰჰმი-
ქრისტე	სტოს	ჰა
იოვანე	იოჰანნეს	ეჰჰან
	(ჰოვჰან)	

იოსებ მოსე,(ურიულ. მოშე)	დოსეფ მოვსეს	იოსიფ მუშელ
სეთ ჯვარი	სეთ ხაჩ *)	შეთ სლხვა
ჰეროდე	ჰეროდეს	
ბართლომე (ბართულომე)	ბართუ- ლიმეოს	ბერთულ მეა
ნათლისცემა	მხკხრტუთიხნ**	
ნათლის მცე- მელი	მხკხრ- ტეჩ ***)	მანდანა***)

*) საკვირველია, რომ თათრულად ხ ა ჩ ნიშნავს სხვა-და-სხვა ცნებას: ჭდეს, ნიშას ჯვარს.

**) აღკვეცა,

***) აღმკვეციელი.

****) იმასვე ნიშნავს, რასაც სომხური „მხკხრტუთიხნ“ და „მხკხრტეჩ“.

-58-

პეტრე	პეტროს (პეტრე)	ფათრუს
გიორგი (გიო, გეორგ გივი)	გივარგის	
ელისე	ჰელიშე	

ეს სახელები, რომლის სრულ სი-
ას „ვერ დიიტევდა ვერცა სოფელი
ესე“, რას გვიმტკიცებს, თუ არა
იმას, რომ თავდაპირველად ქართული
თარგმანები გაჩენილან არ სომხუ-
რადამ!

იგივე სია რას გვიჩვენებს, თუ
არა იმას, რომ ნინოს დრომდე სა-
კუთრი სისელების ფორმები, უკვე
დიმკვიდრებული ყოფილი ისე მტკი-
ცედ, რომ შემდეგში ბერძნულს
ნაკადულსა, ასურულსა და, თუ გნე-
ბავთ, სომხურსაც ვეღარ შეუცვ-
ლია. ჩვეულები სჯულთ უმტკიცესი-
აო: ამიტომაც პეტრე პეტროსად არ
ქცეულა, არც პავლე პავლოსად. მა-

ხელნაწერში (მე X საუკ.) იოსეფად მოუნათლავთ, გარნა ასრეთი ფორმა ამ სახელისა იმავე ხელნაწერებს არ გაკშორებია, რადაგან იმავე დროის სხვა ძეგლებში ისევ იოსები იხსენიება.

მიაქციეთ ყურადღება აგრეთვე სიტყვას ნათლისღება. ჩვენში რომ ქრისტიანობის უდიდესს სიმბოლოს, – საიდუმლოს ნათლიღებისას – ჰქვიან ნათელის მიღება, ბერძნულად ჰქვიან წყალში ჩაყურჭუმელავება („ბაპტიზიონ“) სომხურად „აღკვეცა“ და ასურულად „ჩაყურჭუმელავება“.

საგონებელთა, როი ეს ცნება – ნათლისღება – ბერძენთა სამღვდელოების მოსვლამდე უკვე განმტკიცებულ იყო ერის მეხსიერებაში, – თანახმად წმიდა ნინოს ქადაგებისა:

„ნათელი არს ღმერთო ნათელი პირველი და დიდის სასყიდლისაი, ნათელი არს დასაბამი დაუსაბამოდ, უხილავი და გარე-

შეუწერელი, ნათელი არს მარადის ბრწყინვალე, ნათელი არს უზესშთაესი, ნათელი და ყოვლადვე ელვარე და გამობრწყინებულობს სამარადისოდსა ნათლისაგან...

„ესაია თქუა: რამეთუ „ნათელ არიან ბრძანებანი შენნი ქუეყანასა ზედა“

„იგივე სხუასა ადგილსა იტყვს: „ნათელიღე, ნათელიღე, იერუსალიმ, რამეთუ მოწევნულ არს ნათელი შენი“-

„და იგივე სხუასა ადგილსა იტყვის: „ერი, რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი“. და მერმე: „მოვედით და მივიდეთ ნათელსა უფლისასა“.

„და კვალად იტყვს: „იყავ ნათელი უფ-

ლისა ღუთისა ჩუენისაჲ ჩვენ ზედა“.

„და სხუასა სადამე იტყვს: „მიგცე შენ ნათლად წარმართთა ახილვად თუალთა ბრმათასა“.

„ზაქარია წინასწარმეტყველი ღალადებს: „ვხედევდ კაცსა და მზის აღმოსავალ იყო სახელი მისი“.

„ღუთისა მამაჲ დ ა ვ ი თ ილოცავს: „ნათლითა ჭირისა შენისაჲთა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“. და მერე: „ნათელი გამობრწყინდა მართალთა ზედა და გულითა წრფელთა სიხარულ“.

-61-

„ფსალმუნი იტყვს: „უფალი ნათელ ჩვენდა და მაცხოვარ ჩუენდა“. და მერე „უფალო, ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიდოდინ“.

„დიდად ბრძენი სოლომონ იტყვის: „ნათელი მართალთაჲ მარადის... ნათელ არს და დაუჭნობელ სიბრძნე“. მასვე დანიელ იტყვის: ვიხილე მამაკაცი და ნათელი შორის მისსა“.

„უწინარეს მრავალთასა დიდმან მოსე გვაუწყა, ვითარმედ: „თქვა ღმერთმან: იყავნ ნათელი და იყო ნათელი“. და ზედა წარმოიღებს და იტყვის: „იხილა ღმერთმან ნათელი იგი, რამეთუ კეთილ არს“; და წინადთვე აუწყებს შორით: „ხედვიდეთ ცხოვრებასა თქვენსა ძელსა ზედა დამოკიდებულსა წინაშე თვალთა თქვენთა და არა გრწმენეს ცხოვრებისა თქუენისაჲ“.

ამას ნათელსა დაუსაბამოსა გამოაცხადებს იოვანე ღვთის მეტყველი ახალსა აღთქმასა შინა:

„იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად,“ და ვითარმედ: „ღმერთი ნათელ არს და არა არს ბნელი მისთანა არცა ერთი“: და კვა-

-62-

ლად: „მე ნათელი მოვივლინე სოფლათ“. და მერმე: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ და

რომელი მოვიდეს ჩემდა, დაიმკვიდროს ნათელი“. და ფსალმუნსა შინა იტყვის: „მარჯვენემან შენმან და მკლავმან შენმან და ნათელმან პირისა შენისამან“;... „ვიდრელა ვარ სოფელსა ამას, ნათელი ვარ სოფლისაჲ;“ „ვიდოდეთ ნათელსა, ვიდრელა ნათელი თქუენთანა არს“.

ამის შემდეგ ნინო მოუთხრობს სამწყსოს, თუ ამ „ნათელმა“ როგორ იღო ნათელი ხსნად სოფლისა და ბნელთა შინა მსხდომარეთა. დიდი იოანე ეუბნებოდა ქრისტეს: „ჩემდა ჯერ არს შენ მიერ ნათლისღებაჲ, რომელი ეგე წყაროჲ ხარ ნათლისაჲ,“ „ჩემდა ჯერ არს შენგან ნათლისღებაჲ, ვითარცა რად მცირისა სინათლისა დიდისაგან ალებრ სახუმილია“...

გარნა ქრისტემ „ადასრულა დიდი იგი საიდუმლოჲ წმიდისა მის ნათლისღებისა იორდანესა“.

-63-

შემდეგ გამოიკადა ეშმაკასაგან და მერე შეკრიბა მოციქულები, რომელთა უწოდა „სანთლები“ და „ნათელი სოფლისა“.

ამგვარ ქადაგების მეოხებით უნდა განასკულიყო ცნება „ნათლისღება“ თუ ეს ასე არ ყოფილიყო, ვეჭობთ საქართველოში შემოსულ ბერძნის სამღვდელოებას შეეწყნარა „ნათლისღება“ და მის მაგიერ „ბაბტიზის“-ის თარგმანი „ყურჭუმელავება“ *) არ შემოედო.

*) რომ ეს ასრე იქნებოდა, ამას ნათელს ჰფენს ანტიოქიის დოროთეოს პატრიარქის სიგელი, მიცემული „დიდისა მეფისა (!) და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფისა პატრონისა მზეკაბუკისათვის“ (საეკ. მუხ. სიგელი № 193). ამ მხეგაბუკმან მხოლო, ამბობს დოროთეოსი, „იყურჭუმეა ჭემმარი-

ტად ემბაზსა შიგა ნათლისღებისასა“. მზეჭა-
ბუკი განუდგა დედაქალაქს მცხეთას და
მოუწოდა ანტიოქიის პატრიარქს. ამიტომაც
„ნათლისღება“ „იყურჭუმად“ შეიცვალა.

-64-

ჩვენ შევისწავლეთ რაოდენიმე „და-
ვითნი მე-X – XI საუკუნოებისა.

და ეს ჩვენი შეცნავლული უფრო
ცხად ჰყოფს იერუსალიმის დიდს
გავლენას ქართულ მწერლობის აღო-
რძინების საქმეზე. ⁵⁾

საეკკლ. მუზ. 1035 წელს გადა-
წერილ წიგნში სწერია:

(გვ. 428): „დასრულდა დავითის ფსალ-
მუნთა თარგმანი ბასილი კესარიელისა ბრძა-
ნებული და ბერძენთა ენისაგან ეფთვმეს
მთაწმინდელისა მიერ თარგმანებული“.

ამის შემდეგ გადამწერს შეუტანია
კიდევ ფსალმუნთა თარგმანი, რომ-
ლის ავექსონის შესახებ ამბობს:

(იქვე): „ესე აქედან წაღმართ „დავით-
თა“ შიგან ვპოე თვთო მუჯლასა ზედა თა-
რგმანი, ხოლო სახელი არა ეწერა, თუ ვი-
სი თარგმანი არს:“

და ეს უცნობი ავექსონი-კი გად-
მოგვცემს:

⁵⁾ № 138.

-65-

(გვ. 433):... „ჯიონ ჰქვიან და მის
გამო მრავალთა თარგმანთა – სომეხ-
თაცა და ქართველთაცა – რომელთა-
მე ღორისად უთქუამს და რომელთა-
მე იგი სიტყუდ რეცა სატოხე უჩნ-
და და ზე სიტყუდ იჯმიეს და ჭამად
გამოთარგმანეს სომეხთაცა შორის
და ქართველთაცა შორის.

„ხოლო ჩუენ ღუთისა მოწყალე-
ბითა ისჯის ნეტარისა, რომელი ხუ-
ცეს ყოფილიყო წმიდისა იზრუსალიმი-

სა ეკკლესიისა, რომელმან „დავითი“ გამოთარგმნა უთხად (?) წიგნად სავსედ, მისსა თარგმნილსა წიგნსა შინა ესრე სახედ ვპოეთ, ვითარცა ესე დავწერეთ კრძალულად“.

ჯერ ჯერობით არა სჩანს, ვინ იყო ეს ისჯქი ნეტარი, რომელმან ოთხ წიგნად დავითნის თარგმანი გადმოიღო და ან როდის სცხოვრობდა. არც ისა სჩანს, ვინ არის ის უცნობი ავქსონი, რომელმაც ისჯქის თარ-

-66-

გმანს შეუმოწმა თვისი თარგმანი. იგიც ფრიად ძველი დროის მწერალი უნდა იყოს. თუ ახალი დროისა ყოფილიყო, მისი ვინაობა ვერ გამოეპარებოდა დიდებულს ჯიბისძეს, გადამწერს ზემორე ხსენებულის 1035 წლის დავითნისა.

გიორგი მთაწმინდელზე დიდი მოწმე ვინ გვინდა! იგი თვისს „ანდერ ში“ ცხადად აღნიშნავს „საბაწმინდელ მამების შრომას, მათს „საბაწმინდურებს“: დავითნს, სახარებას და სხ.

რომ გავიგოთ, სად იწერებოდნენ „საბაწმინდურნ“ და საიდგან მოდიოდა ნაკადული პირველითგან კეთილად და წმიდად თარგმნილი“ წიგნები, რომლებშიაც „ხან მეტნიცა“ იყო, საჭიროა უკანვე დავიწიოთ და განვიხილოთ მცხეთის კავშირი იერუსალითან.

როგორც უკვე ვთქვით, წმ. ნინოს ბიძა და დედ-მამა იერუსალიმში

-67-

მოღვაწეობდნენ. იქიდგანვე საქართველოსკენ გამოემგზავრა თვით ამ ქვეყნის განმანათლებელი, მოციქუ-

ლთა სწორი წინო. ქრისტეს დაბადების შემდეგ მთელი მსოფლიოს თვალი იერუსალიმისაკენ იჭვრიტებოდა. აღმოსავლეთიდან იქ მიემგზავრებოდნენ მოგვები. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი იქ იყრიდა თავს. წმიდა ადგილის ნახვა ენატრებოდა ყველას. მისი სახელი მოეფინა ქვეყანას ქრისტეს მოწაფეების მეოხებით. მირიანი რომ მოინათლა, იერუსალიმშიაც ჩაიყარა საფუძველი ქართველთა ჯვრის მონასტრისა. თუმცა სარწმუნო არ არის, გარნა გადმოგვცემენ, რომ თვით მირიანმა დააფუძნა ეს მონასტერიო. მართალია მხოლოდ, რომ მირიანის ძე ბაკური თვით იყო იერუსალიმს. იგი იმპერატორის თეოდოსისაგან განწესებულ იყო უფროს დომესტიკო-

-68-

სად და გამგებლად პალესტინისა და გარდაიცვალაო 394 წელს. *)

მეხუთე საუკუნეში აქ მოღვაწეობდა მურვანოსი (პეტრე), ძე ქართველთა მეფისა და შემდეგ ეპისკოპოსი მაღუმისა, კაცი ფრიად განათლებული, მცოდნე ბერძნულისა და ასირიულ ენისა და ფილოსოფიისა. იგი ბერად აღიკვეცა უფლის საფლავზე და აღაშენა მონასტერი ყ-დ წმ. ღუთისმშობლისა, „წოდებული „ივერთა“ მონასტრად, ააშენა აგრეთვე თავსაფარი საქართველოდგან მიმავალ მლოცველთათვის. **)

*) იხ. ჩვენი Истор. Груз. церкви-ს დამატება.

**) იხ. მის შესახებ ა. ცაგარლის Памятники груз. старины въ св. Землѣ и на Синаѣ, გვ. 34 – 36 (Палест. сбор., 10-й вып.) და ნ. მარრის შვენიერი გამოკვლევა

ქართლისცხოვრება გადმოგვცემს ვახტანგ გორგასლისა და მისი სახლობის გამგზავრებას იერუსალიმის მოსალოცავად, და იერუსალიმისავე პატრიარქი დოსითეოზი მოწმობს, რომ გოლგოთას არის ქართული წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია ვახტანგის მოგზაურობა იერუსალიმსაო.

მეექვსე საუკუნეში ისტვინიანემ განაახლა 20 მონასტერი, რომელთა შორის ერთი ქართველებისა იყო. ამავე საუკუნეში იყო აგრეთვე მონასტერი ლაზთა (ქართველთა).

მეშვიდე საუკუნის მოგზაური სომეხი ანასტოსი იერუსალიმში უჩვენებს ქართველობას, რომელნიც „აწ სცხოვრობენ წმ. იოანეს მონასტერში“.

მე VII – VIII ს. სინაზედ იყვნენ ქართველი ბერები მიქელ და ესტატე.

მე VII – VIII ს. ეკუთვნიან ხელნაწერნი: პალესტინის სადღესასწაულო თთვენი, სინას დავითნი და რაოდენიმე სხვანი, დაწერილნი ჰალესტინასა და სინაზედ.

V – VI საუკ. ეკუთვნიან ქართველნი მთარგმნელნი (პალესტინას და ანტიოქიაში) ანტონი, საბას, დავით და სტეფანე. *)

აქვე საბას ლავრის მღვიმის ეკლესიაში მოღვაწეობენ ქართველი ბერები აქ დაწერილია უუძველესი

თარიღიანი, წიგნი 864 წლისა. ცა-
გარლის სიტყვით, „საბა წმ. ლავრა
იყო აკვანი ქართულის მწიგნობრო-
ბისა და მოღვაწეობისა წმ. ქვეყანა-
ში“ (იქვე). ეს საბა იყო კათბადუკი-
ელი. იგი 55 წლისა იყო, რომ
მისს ლავრას მივიდა სომეხი იერე-
მია. ორის მოწაფით პეტრეთი და პა-

*) იხ. ცაგარელის იგივე შრომა და მარრის
„Изъ книги царевича Баграта“. გვ. 242.

-71-

ვლეთი. და საბამ „მისცა მათ მცირე
ეგუტერი და მიერიდგან დაეწესა
ლავრასა მას შინა განმრავლებად სო-
მეხთა ნათესავისა (საეკლ. მუზ. წი-
გნი № 179, გვ. 345.) „ჟამსა მას,
რომელსა შინა ჰასაკი საბასი მე: 55
წელიწადად აღიწეოდა, ანასტასი მე-
ფობისა საყდარსა დაჯდებოდა (491
– 518), ზენონ (+ 491) ცხოვრები-
სა ამისგან მეფობისა თანა დაკლებულ
იქმნებოდა, ამასვე წელსა მოვიდა
ლავრად კაცი ვინმე საღმთოდ, სახე-
ლით იერემია, ნათესავით სომეხი...“
საბას ლავრის გაოხრება არაბთა-
გან შეტანილია „სვანურს მანუსკ-
რიპტში“ მე IX – X საუკ. (№ 95).

მეცხრე საუკ. წმ. ქვეყანა მოიმგ-
ზავრა წმ. ილარიონ ქართველმა. იგი
კახეთიდგან იყო. მდიდარი და წარ-
ჩინებული დედ-მამა ჰყვანდა. ჯერ ექ-
ვსი წლისა იყო იგი, რომ მშობლებ-
მა მიაბარეს ერთ ნასწავლ მღვდელს.

-72-

მისგან მალე „დაისწავლა ყოვე-
ლივე ძუჭლი და ახალი წერილი.“ 16
წლისა ბერად შედგა გარესჯაში და

11 კაცი მოიმოწაფა. შემდეგ ერთი მოწაფე გაიყოლია და წავიდა წმ. ქვეყანას, ნახა თაბორი, იერუსალიმი, ბეთლემი და წმ. საბას ლავრა. აქ დაშთა 7 წელიწადს სწავლულებაში. სამშობლოში რომ დაბრუნდა, დააფუძნა დედათა მონასტერი საცა 70-მდე მოღვაწე შეიყარა. მონასტრებს დიდი მამულები უბოძა და „საღმთო წიგნებით“ უზრუნველჰყო. შემდეგ ორი მოწაფით წავიდა კოსტანტინეპოლის, იქიდგან ულუმბოს, „საცა იმ დროს ბევრი ქართველები იყვნენ“. ილარიონთან მივიდა კიდევ სამი ქართველი. წლის თავზე იგი წავიდა კოსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრის თაყვანის საცემლად და იქიდგან გაემგზავრა რომს მოციქულთა ნაწი-

-73-

ლების მოსალოცავად. აქ დარჩა ორს წელიწადს. გარდაიცვალა „თესალონიკეს 53 წლისა ნოემბერსა 19, შაფათს, მეფობასა ბასილი მაკედონიანისა (867 – 886). მისი წმიდა ნაწილები იმპერატორმა და პატრიარქმა ქართველების დასწრებით დაკრძალეს ქართველთა მონასტერში *) (რომანას).

ეს „ძუელი და ახალი წერილთ“ რომელენაზე იყო, რომ მე IX საუკუნის დასაწყისში სწავლობდა მას დიდგვარიანი, დიდებული და წარჩინებული კახელის

*) წმ. ილარიონის ცხოვრება შეტანილია ბერძნულს სვინაქსარში, რომელიც თარგმნილია ქართულად ეფთვიმეს მიერ და გიორგი მთაწმიდელისა. ბერძნულად მისი ცხოვრება დაწერილია ფილოსოფოსის ბასილის მიერ (ა. ცაგარელი. Палес. сбор.

вып. 10, გვ. 32 – 48). წმ. ილარიონის ცხოვრება ჩვენცა გვაქვს გადმოწერილი ტყავზედ ნაწერ სვინაქსარიდამ (საეკლ. მუზ. № 222).

-74-

შვილი ილარიონ? ვისთვის არსდებოდა აქ დედათა და მამათა მონასტრში? რომელ ენაზე გაწყობილიყო ის „სადმთო წიგნები“, რომლითაც ილარიონმა „უზრუნველჰყო“ თვისი მონასტრები?...

ანტონი I ასრე ამკობს ილარიონს:

ილარიონ არს თარგმანთა შორის პირუჭლ, რაიცალა ვსცნათ მომთხრობელთაგან ჩვენთა; სახელნი ღირსთა მამათა თარგმანთანი, ვინცა განცხადნეს უწყებითა აქამდე, პირუელ ამისა არავინ სადა ისმა.

აქ ალბად ანტონი ილარიონს სთვლის პირველ თარგმანად (толковникъ) და არა მთარგმნელად. რა საფიქრებელია, რომ მთელს სამეფოს 324 წლითგან ჰყოლოდეს თვისი სამღვდელოება, ჰქონდეს თვისი ეკკლესია და 512 წლიდგან საკუთარი კათალიკოზი, ხოლი წიგნები-კი არა ებადოს? უამწიგნებოდ ეს ეკკლესია როგორ დაიცავდა თავს გარემოსეულ მწვალებლობი-

-75-

საგან და ბარბაროსებისაგან! და ან „ყველა ქრისტიანებზე უწმიდესად როგორ შეინახავდა სარწმუნოებას“, როგორც გვარწმუნებს პროკოპი! *)

თვით საქრისტიანო დოღმატითა მიხედვითაც შეუძლებელი იყო, რომ მერვე-მეცხრე საუკუნემდის ქართველებს არა ჰქონოდათ თვისი თარგმანები. სხვა რომ არა ვსთქვათ, რაღაი ქრისტიანობა იქნებოდა (და ისიც „ყველაზე წმიდად დაცული“!), თუ

მოდვარისა მრევლს და მრევლისა
მოდვარს ვერა გაეგებოდა-რა! რა-
ღაი სამღვდელოება იყო, რომ მსო-
ფლიო კრებათა სავალდებულო გა-
ნკარგულებანი მოკლედაც იყო

*) „Иверы – христиане, и лучше
Всѣхъ извѣстныхъ намъ народовъ хра-
нять уставы христианскаго исповѣда-
нiя“ (პროკოპი სცხოვრობდა მე IV საუკ.
ნახევარს იხ. მისი „Исторiя войнъ“, გვ.
56).

-76-

არ ეთარგმნა და არ აეხს-
ნა მრევლისთვის! ყოველივე ეს
მეტად დაუჯერებელია, დაუჯერებე-
ლი უფრო იმიტომ, რომ საქართვე-
ლო თვისის ნიჭიერი ერთ მოსახლე-
ობდა ორს განათლებულს სახელმწი-
ფოს შორის – სპარსეთისა და საბერ-
ძნეთისა – და მუდმისად მონაწილეო-
ბას იღებდა მსოფლიო საქმეებში.
ბიზანტია, რომი, იერუსალიმი, კესა-
რია, ანტიოქია, კტეზიფონი არა ერი
თხელ და ერთ ქართველს მოვლილი
ჰქონდა და როგორ ვერავინ იფიქრა
სამშობლო ენაზედაც გაეწყო თვისი
საკუთარი წირვა-ლოცვა!

ეს რომ ასრე არ იყო, ამის მაგა-
ლითები მრავალია.

ა. აგერ ასურელნი, მამანი, რო-
მელთაც მიიღეს ლოცვა სვიმონ მეს-
ვეტისა (დაიბადა 499 წ., აღესრულა
584 წ.) და საქართველოსკენ გამო-
ემგზავრნენ. „მოდიან წმიდანი იგი

-77-

მამანი უხამლონი, დაბებკილითა მო-
სილნი, შეურაცხად სახილველნი,
კუნკულითა შემოსილნი წესისაებრ

ასურთა ქვეყანისა“. მათ მცხეთის კარზე ეგებება კათალიკოზი ევლავიოზ. პატრიარქი „აღდგა, შეუპყრა ქედსა იოანესსა, რომელიც იყო წინამძღვარი ყველა დანარჩენ მამათა, და უთხრა:

– კეთილად მოხუჭდ, მამაო წმიდაო!

იოანე შეუვრდა კათალიკოზს ფერხთა ქვეშე და მოახსენა:

– წმიდაო მეუფეო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან ღირს მყოთაყვანისცემად სიწმიდისა შენისა.

რა გგონიათ, რომელ ენაზე იკითხავდნენ ერთმანეთს კათალიკოზი ევლავიოზ და „ასური“ იოანე?

„ეჰა საკვირველება, ამბობს მამათცხოვრება, იოანეს მიეცა ენა ქართულჭდ მეტყუელი, ყოვლად დაუბრკოლებელი“.

-78-

შემდეგ კათალიკოზსა და იოანეს შორის გაიმართა გრძელი საუბარი. იოანემ მოახსენა კათალიკოზს: შენ რომ მარკუთხე, „აღელო პირი და ენა ჩემი ზრახვად ენასა შენსა და განეხვნეს სასმენელნი ჩემნი, რათა მესმოდენ წმიდანი, ბრძნობანი შენნი“.

აქ ორში ერთი: ან მამათ ცხოვრება უნდა სტყუოდეს და ან იოანე „ასურს“ საქართველოში მოსვლამდე, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა სცოდნოდა ქართული ენა. უამისოდ მისი და მისი ამხანაგების შრომა უნაყოფო იქნებოდა, რასაკვირველია..

ეს იოანე ზედაზენს რომ დასახლდა, მასთანვე ოთხი წელიწადი გაატარა წმ. შიომ შესასწავლად ქართულის ენისა.

შიოს „ენა ქართული შუენივრად
და მართლად ესწავა პირველადვე,

-79-

ოდეს იყო იოანეს თანა, მოძღვრისა
თვისისა, რამეთუ ოთხი წელი მუნ
სრულ იყო ზედაძენსა“.

მიუხედავად ამისა, წმ. შიო „ლო-
ცუასა შინა და ფსალმუნებასა ასუ-
რერბსა და ბერძულსა იხმარებდა, რა-
მეთუ ორივე ესე ესწავა*) ნეტარსა მას“.

წმ. შიო რომ, „ფსალმუნებდა“
ასურებრ და ბერძულებრ² ეს, ალ'.
ბად, იმიტომ, რომ ყმაწვილობითვე
მას დაეკვეთა და შეესისხლ-ხორცა
ასრეთი ჩვეულება. ანტიოქიაშივე:

*) ამ გახაზულის სიტყვების მიხედვით ჩვენ
ვამტკიცებდით, რომ 13-ნი მამანი ტომ-მო-
დგმით ა ს უ რ ნ ი არ იყვნენო. თუ ასურნი
ყოფილიყვნენ, რაღა საჭირო იყო, რომ მე-
მატიანეს აღენიშნა შიოს ა ს უ რ უ ლ ი ც
ე ს წ ა ვ ა ო ისევე, როგორც მისთვის უცხო
ბერძული ენა. თვით იოანეს მიერ ქართულს
ენაზე უზნობა და შიოს მიერ ოთხს წელი-
წადს „შ ვ ე ნ ი ე რ ა დ და მ ა რ თ ლ ა დ“ შე-
სწავლა ქართულის ენისა, გვიმტკიცებს,
ვინც უნდა ყოფილიყვნენ იგინი.

-80-

„მშობელთა ასწავეს მას ყოველი
წერილი ძუჭლი და ახალი და თარ-
გმანებაჲ (= толкование) მათი... და-
ისწავა უმრავლესი ზეპირით, ხოლო
წმ. სახარება და ეპისტოლენი პავლე
მოციქულისანი და წიგნი ფსალმუნთა
მარადის განუმორებლად ეპყრეს, და
ენითა და პირითა მარადის იგინი
მოაქუნდინ და უფროს თაფლისა დაა-
ტკობოდეს სასასა მისსა“.

აბა, ამ წიგნებს როგორ არ მო-
იტანდა საქართველოში? გარნა საკმაო

არ იყო მოტანა ასურულ და ბერძნულ წიგნებისა. მან მოიშოწაფა ქართველთა მეფის მოადგილე ევაგრე *),

*) ევაგრე, ამბობს მამათცხოვრება, იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოსა ქართუჭლთასა და ფრიად მხნე და გამარჯულებული სპასპეტი (გვ. 236 წ.). მისი სახლობა სცხოვრობდა დაბა ნასდაგში (გვ. 233). შატბერდის კრებული: „დადგა (ალექსხნდრე მაკედონელი) სარკინესა დასავლით კერძო და დაასხა ვენახი და რუდ გამოიღო. ქსნით და დასხნა კაცნი მერუვენი დასტავითა რუდსადთა და რქვიან ადგილსა მას ნასტავისი“. (გვ.3).

-81-

რომელსაც ჩააცო ბერული ჩოხა. მათ გარეშემო შემოიკრიბა 2000 ჩოხოსანი. ამათთვის რას ივარგებდა უცხო ენაზე დაწერილი წიგნები! მათ, „თაფლივით დასატკობად“ საჭირო იყო მშობლიურს ენაზე გაწყობილი წიგნები. და აი ერთი ამგვარ წიგნთაგანიც.

მეფე ფარსმანმა რომ შეიტყო ევაგრე გამონაზონდაო, მივიდა შიომღვიმეს, ინახულა შიოცა და ევაგრეც და მერე:

„მიანიჭა მონასტერს ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დხ. წერა ჰელითა თჳსითა თავისუფლება მათი, და მისცა ევაგრეს 30 ლიტრა ოქრო ეკლესიათა მათთათვის საცმარად, ბარძიმი ოქროისა და ფეშხუმი, და სხუა ყოველი სამსახურებელი ვერცხლისა, ჯუარი დიდი ოქროდსა, და სახარება ფრიად შუჭნიერად შემკობილი სანატრელისა მეფის ვახტანგის მიერ» (+532 წ.).

-82-

ვეჭობთ, რომ ეს ვახტანგის სხსარება ქართული არ ყოფილიყო. ქა-

რთველ დიდებულს და სპასპეტს რა-
ში გამოადგებოდა არა ქართული
სახარება! საქმეც ის არის, რომ რა-
ხან შიო „ელოცვას და ფსალმუნე-
ბას“ ასურებრ და ბერძულ ამბობდა,
საჭირო იყო, რომ მის თანაშემწე
ევაგრეს 2000 ქართველ ჩოხოსანი-
სათვის ელოც-ეფსალმუნა მათს გა-
საგებს ენაზე.

თვით ამ სანატრელ ვახტანგ მეფის
დედა მოინათლა მხოლოდ მაშინ, რო-
დესაც მას სჯულის მეცნიერ კაცებ-
მა უთარგმნეს სახარება უფლისა.

ჩამოვთვლი კიდევ რამდენიმე ძეგლს
მეათე საუკუნის უწინარეს ჟამისას.

ა. აბო სარკინოზი აწამეს ტფილის-
ში 786 წ. 6 იანვარს მისი ცხოვრე-
ბა კათალიკოზის სამოელის წინადა-
დებით შედგენილ და დასრულებულ
იქმნა საბანიძის მიერ 820 წელ.

-83-

ბ. ბაქრაძე თავის ისტორიაში აღ-
ნიშნავს სახარებებს *) მეექვსე საუკუ-
ნისას (გვ.171), ფულებს, ზედ-წარ-
ვწერით ვნგ (ვახტანგ. + 532 წ.),
სტეფანოს (639 – 663), ჯო (ჯუან-
შერ). **)

გ. „ივერიაში“ (1897, №-ები 258,
261) ჩვენ უკვე განვიხილეთ „ჟამის
წირვა“ იაკობისა. ეს წიგნი ჩვენ მი-
გვაჩნია 786 წლის ძეგლად. აი მო-
კლედ ჩვენი დასკვნის წინ წანაძლო-
ლი წინადადებანი:

1) წიგნი დაწერილია (ანუ თარგ-
მნილი) კათალიკოზის სვიმონისაგან.

2) მოხსენებულია ექვსი მსოფლიო
კრება (მოიკსენე, უფალო, წმიდანი
და დიდდიდნი სოფლისა ექვსნი კრე-

*) ერთი ამ სახარებათაგან გადმოწერილია

იოანე ტატენელის მიერ. მისი განხილვა იხ. ქვემო.

**) იხ. „Нумизм. факты грузинского царства“ ბარათაევისა.

-84-

ბანი – ჩამოთვლილია კრებათა სახე-
ლები და რაოდენობა მამათა). მეექვსე
კრება იყო 680 წ.

3) მოიკსენე, უფალო, დედანი
მენელსაცხებელნი მროფორნი, წე-
ნინო, წე აბო († 786 წ. 6 იანვ.)

4. მოხსენებულია მოდისტოსი, პა-
ტრიარქი იერუსალიმისა, რომელიც
614 წელს ტყვედ წაიყვანეს სპარსე-
ბმა, და ბერძენთა იმპერატორი ისტ-
ვინიანე.

5. მოხსენებულნია ეპისკოპოსნი
აწყურისა, მანგლისისა, წილკნისა,
და იმერეთისა კი არც ერთი არ და-
სახელებულია, ეს, ვფიქრობთ, იმი-
ტომ, რომ სწორეთ 786 მთელი
იმერეთი დაიპყრო ლეონ ერისთავმა,
მეფედ ეკურთხა და ცალკე კათალი-
კოსი გააჩინა).

6. „ჟამის წირვა“ კათალიკოზის
შემდეგ პორწელ ადგტლს აკუთვწებს

-85-

მანგლელს. „უკუეთუ: ეპისკოპო-
სი: იკოვრთხებოდის: მთავარ-ეპისკო-
პოსმან: წართქუას და: ოკოვეთოვ:
კათალიკოზი: იკოვრთხებოდის: მა-
ნგლელმან: წართქუას:“ თუ ეს წიგ-
ნი დაწერილი ყოფილიყო იმ სვიმო-
ნის კათალიკოზობაში, რომელიც მა-
მად მთავრობდა მე-XI საუკ. დასა-
წყისს, ქუთათელსა, ჭყონდიდელსა
ანუ ბედიელს მანგლელზე მაღლა და-
აყენებდა და კიდევ მოიხსენებდა მათ.

8. მოხსენებულია „ბროს იპური“ (ბერძნულის „პროსფორას“ მაგიერ მენელსაცხებელს, „მროფორიც“ ზედ დართვია და სხ.

9. ასომთავრული და ბოლოში ნუსხური მეტად ძველი დროისაა. ენაც აგრეთვე.

ყველა ამის გამო ჩვენ ვგონებთ, „ჟამის წირვა“ უნდა შედგენილიყოს, 786 წელს, რადგან მასში მოხსენებულია წმ. აბო († 786 წ. 6 იანვ.)

-86-

და არ არის მოხსენებული მეშვიდე მსოფლიო კრება, რომელიც იყო 787 წელს. ხოლო შეიძლება იგი გადაწერილიყოს მე XI-X საუკუნეში მოსეს მიერ ანუ კლიმენტოსისა, რომელნიც აშიაზე, არა ტექსტის ხელით, აწერენ:

„შემიწყალე მე, ღმერთო, შემიწყალე მე, უფალო რომელმანცა შეგვქმენ. დამლოცე და დამლოცე ამისა მწერლი მოსე გვ, 156).

„მოსეს შეუნდვნეს უფალმან“ (გვ. 21).

„ადიდოს ორსავე სოფელსა ამისი მწერალი კლიმენტოზ მღვდელი“ (გვ. 44).

რომ ეს იაკობის ჟამის წირვა ფრიად ძველი დროის ნაშთია, ამას ნათელს ჰფენს ეფთვიმე ათონელის მოწმობა: „ჟამის წირვა“ იაკობისა ჭემმარიტ არსო და პირველად იხმარებოდა საბერძნეთისა და ჩვენს ეკ-

-87-

ლესიაშიო, ხოლო მის მერმეთ ჟამის წირვა რომ მოკლედ გამოითქვა წმ. ვასილისა და იოანე ოქროპირის მი-

ერ, ერმან ეს უკანასკნელნი აღირჩი-
აო. და წმ. იაკობისა მივიწყდაო და
ყოველნი ოქროპირისასა წირვენო და
დიდთა მარხვათა ვასილისასო. *)

ყველა ეს ჩვენ იმად აღვზუსხეთ,
რომ მკითხველისათვის დაგვენახვე-
ბინა: „ყველა ერზედ უწმიდესად“
სარწმუნოების დაცვა უწიგნოდ არ
შეიძლებოდა, მერე ისიც იმისთანა
ქვეყანაში, რომლის ჩასაყლაპად ჯერ
პირი დაელოთ სარსებს, მერე
ჩრდილოეთ ველურებს და ბოლოს
არაბებს. სპარსნი ქრისტიანებად
აღიარებდნენ მხოლოდ ნესტორი-
ანებს, რისგამო მრავალგვარი მწვა-
ლებლობა მოსვენებას არ აძლევდა
ჩვენს საყდარს (მოიხსენეთ კათალი-
კოზის კირონის განქიქებანი, ნოხ-

*) სამოთხე გვ. 434.

პატელთა განდგომა მეექვსე საუ-
კუნეში და მათი მოქცევა წმ. არ-
ჩილის მიერ († 718 წ.).

შეცდომა არ იქმნება, ვსთქვათ,
თითქმის მთელ მერვე საუკუნის გა-
ნმავლობაში ერთად ერთი მართლმა-
დიდებელი ეკკლესია იყო მხოლოდ
მცხეთის საკათოლიკოსო საყდარიო.
ბიზანტიის ეკკლესიას არყევდა მრავალ-
გვარი მწვალებლობა. იქ უარ-
ყოფილიყო ხატთა თაყვანისცემა.
ხატებს ამსხვრევდნენ იმპერატორე-
ბიცა და პატრიარქებიც. მათს მსა-
სოებელთ სტანჯავდნენ, სდევნიდ-
დნენ. სამშობლოდგან გამოდევნილ-
მა წმ. მაქსიმე აღმსარებელმა თავის
მოწაფეებითურთ მყუდრო სავანე
მონახა მხოლოდ საქართველოში,
გუთთა სამწყსომ (აწ ყირიმი) საე-

პისკოპოსოდ ამოირჩია იოანე და წარმოგზავნა ივერიაში, „ერთად ერთს მართლმადიდებელ ქვეყანაში“

-89-

და მცხეთის კათალიკოზს სთხოვა ხელიდაესხა მისთვის. კურთხევა იოანესი აღესრულა 758 წელს.*)

მთელი აღმოსავლეთი ხომ ადრითგანვე, შეიქმნა აკვნად მრავალგვარ მწვალებლობისა. არიანოზნი, მაკედონიანოზნი, ნავატანოზნი, მეთევრამეტენი, მარცხენენი, აპოლონინარნი, ნესტორნი, იაკობისანი, „რომელეთაგან არიან სომეხნიცა, მარკიანელნი და უალენტინიანელნი და მსგავსნი ამათნი არყევდნენ აღმოსავლეთის ეკლესიას.

ასურთა შორის მონოფისიტობა გავრცელდა. ამ მწვალებლობის სულის ჩამდგმელი იყო ვინმე იაკობი, შიშველ-ტიტველა ბერი, რის გამო მას ეწოდა ალბარადა (ტიტლიკინა). ერთბუნებოვანთა ეპისკოპოსებმა იგი აკურთხეს ედესის ეპისკოპასად. იგი

*) Записк. имп. отд. одес. общ. исторіи и древн. т. XIII, გვ. 25.

-90-

მიმომგზავრობდა ასურეთსა და შუამდისარეს და ამრავლებდა მონოფიზიტებს. ალბარადა რომ გარდაიცვალა (578 წ.) დასტოვა დიდი და წესიერად გამართული საზოგადოება ერთბუნებოვანთა, რომლის მოთავე ანტიოქიის პატრიარქობას ჩემულობდა. მალე ეს მწვალებლობა მოედო ალექსანდრიასაც. ქრისტიანობა ორ ბანაკად გაიყო და მათ შორის ასტ-

ყდა ისეთი შუღლი, რომ, როგორც ამბობენ, ალექსანდრიის პატრიარქის ტახტის დაჩემებისათვის გაიმართა ბრძოლა და ერთს დღეში (551 წელს) მოკლულ იქმნა 200,000 ქრისტიანე. *).

სომხეთში მწვალებლობა გავრცელდა მე VI – V საუკუნეში. მწვალებლობა აქ დაამყარა პეტროს მკაწვრელმა. ამ პეტროსს, სომხეთის

*) ჯ. ს. რობერტსონ. Исторія христ. церкви, ტ. 1, გვ. 496.

-91-

პატრიარქს (და რომელიც ერთხანად ანტიოქიის პატრიარქადაც იყო) საქართველოს მიმხრობაც უნდოდა. იგი მოვიდა აგარანს (სომხეთშია) და ქართლის კათალიკოზს (ეპისკოპოსს!) შემოუთვალა: „ანუ სჯულსა ჩემსა ეზიარენ და ანუ საყდრისაგან განეყენენ“-ო. მიქელი დიდის დასით მიეგება პატრიარქს და ქვებით ჩაქოლა და განტვინა „მგელი“ იგი *).

აქვე უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ეკლესიას, რომელსაც აქამდე განაგებდა ანტიოქიის პატრიარქი, მიენიჭა კათალიკო-

*) სომხეთის ეკლესიის რყევა, ღვარძლი, რომელიც ითესებოდა აქ, აღნიშნა საქართველოს კათალიკოზმა არსენიმ, ჩინებულმა მოღვაწემ მეთე საუკუნისამ. (იხ. მისი შესანიშნავი წერილი „თქმული განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, თ. ჟორდანიას ქრ., I, გვ. 313 და სხ.).

-92-

ზობა (512 წელს). ხსენებული მი-

ქელ ეპისკოპოსი, რომელიც თავ-
განწირვით ებრძოდა მოსეულს მწვა-
ლებლობას, თვით ვხტანგ მეფესაც
წმ. ეკლესიის ორგულობას სწამებდა,
და, ამ აზრით გატაცებულმა, ერთხელ
შეურაცხებაც მიაყენა მას (ქოშით
კბილები ჩაუმტვრია!) ვახტანგმა ით-
ხოვა კათალიკოზი, ფიცხელი მიქელ
განაძევა და კათალიკოზად დასვა
პეტრე.

დროთა ვითარება ამას მოითხოვ-
და: ერთის მხრით სომხეთ-ასურეთის
მწვალებლობა და მეორე მხრით
ძლიერება სპარსთა, რომელნიც ქრის-
ტიანებად სთვლიდნენ მხოლოდ ნე-
სტორიანებს, ჩაყლაპვას უქადოდენ
საქართველოს მეფობას და ქართ-
ველთ მართლ-მადიდებლობას. კათალი-
კოზობა საჭირო იყო დედაბოძად
წმიდა ეკლესიისა!

გაონავრებული მწვალებლობავე

-93-

არის, ჩვენის აზრით, იმის მიზეზი,
რომ 13-ნი „ასურთა“ მამანი მოი-
ვლტიან საქართველოს. აქაური მა-
რთლმადიდებლობა მოიზიდავდა ამ
მამებს ქვეყნიდამ, რომელიც წაიპი-
ლწა უღვთო მწვალებელთაგან.

ყველა ეს ფრიად საგულისხმო
ამბებია: გუათია აქეთ იხედება
სასოებით. რომაელ-ბიზანტიელი მაქ-
სიმე აქეთ მოდის. „ასურნი“ მართლ-
მადიდებელნი მცხეთას ეფარებიან და
მოსვლისავე უმაღ ქრთულ ენაზედ
მეტყველებას იწყებენ!

რას მოასწავებს ყველა ეს, თუ
არა ჩვენის ეკლესიის სიმტკიცეს,
დამოუკიდებლობას და შინაგან გან-
წყობილებას!

თუ რაბამ ფხიზელი იყო ქართ-

ველთა სამღვდელოება წინააღმდეგ
წვალებელთა, ამას გვიმტკიცებს
შემდეგი გადმოცემაა.*).

*) შიო ღვიმელის ცხოვრება, გვ. 262-263.

-94-

სულთაობის წინააღმდეგ შიომღვი-
მეში შეიყარა მრავალი ერი. აქვე
იყო მეფე, ყოველი მთავარი და კა-
თალიკოსი სარმიანე ეპისკოპოსებით.
ჟამის წირვის წინად ტფილისიდგან
მღვიმესვე მივიდნენ ვინმე ეგვიპტელი
იაკობიტნი, რომელთაც კათალიკოსს
ძღვენი მოართვეს და სთხოვეს, გვაზი-
არეო. კათალაკოზმა არ იკითხა, ვინ
იყვნენ იგინი და რა, „რჯულის“
კაცები. წირვის დროს უხმო მათ
და აზიარა. იმავე დღეს სარმიანე
მცხეთას დაბრუნდა. ღამე გამოეც-
ხადნენ მას კირილე ალექსანდრიელი
და შიო მღვიმელი. კათალიკოსს
„მოძარცვეს ზეწარნი მისნი“, კირი-
ლე მიეფარა და განკვირვებულმა სა-
რმიანემ შიოს ჰკითხა:

- ვინ ხარ?
- შიო ვარ.
- იგი ვინ იყო, რომელ მიე-
ფარა?

-95-

– წმ. კირილე ალექსანდრიელი,
„რომელმან მრავალი ღუაწლი თავს-
იდვა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა-
თვის მართლ მადიდებელთასა“.

აქ შიოც მისგან „უჩინო“ იქმნა.

სარმიანე განჰკრთა და შეშფოთ-
და. უხმო ყველა ეპისკოპოსებს,
უთხრა ყოველივე და ჰკითხა, ვითარ
შევიწინაო ახლაო. შიოს მონასტერს

უნდა მიხვიდე და 40 დღეს ილო-
ცო დიდის მხურვალეებითაო და
ჩვენც ვილოცავთო, მოახსენეს მა-
მადმთავარს ეპისკოპოსებმა. ძღვენი,
რომელიც მიიღე „იაკობიტთაგან“.
უნდა დაიწვას მონასტრის ბჭეთა გა-
რეშეო.

ასრე ჰქმნეს და ღმერთმა შეუნ-
დოთ შეცივდება.

ყველა ზემორე თქმულიდამ რაიმე
აზრის დასასკვნელად საჭიროა აქვე
აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი.

ხსენებული იოანე, გუთის ეპის-

-96-

კობოსად სახელღებული, ვიდრე
მოვიდოდა საქართველოში, გაემ-
გზავრა ჯერ იერუსალიმს, მოილოცა
იქაურობა და მერე მოვიდა საქარ-
თველოში და ეკურთხა ეპისკოპოსად,
რათა წმიდად დაიცვას საქრისტიანო
დოღმატნი.

როგორც უკვე ვთქვით, საქართვე-
ლოს ძველის დროთგანვე დიდი
დამოკიდებულება ჰქონდა იერუსა-
ლომთან. ეს დამოკიდებულობა უფრო
განმტკიცდა ბაგრატონთა გამეფების
შემდეგ (გურამი აღვიდა ტახტზე
575 წ.). რადგან ბაგრატონები
თავის თავს სთვლიდნენ დავითისა
და ღვთისმშობელის შთამომავალად,
ამიტომ თვის პირვანდელ სამშობლოდ
პალესტინა მიაჩნდათ და მას ყოველ
წლივ, როგორც ამბობს იმპერატ.
კოსტანტინე ძოწითმოსილი, დიდს
საჩუქრებს უგზავნიდნენ. იქაური
ქრისტიანები, პატრიარქი და საფლავი

-97-

უფლისა მუდამ ულუფას იღებდნენ

ქართველთ მეფეთაგან. ამგვარ კავშირ-
რისა და მისვლა-მოსვლის წყალობით
უნდა აიხსნებოდეს შემდეგი გარე-
მოებაც.

იგივე კოსტანტინე ძოწითმოსი-
ლი ამბობს: *) „იერუსალიმი სპარ-
სებმა აიღეს 614 წელს და ტაძარი
უფლის საფლავისა დასწვეს. ამ საფ-
ლავის ადგილის საჩვენებლად, იმპერ.
ირაკლიმ, სპარსთა დამარცხების შემ-
დეგ, წაიყვანა ქართველნი, რომელ-
ნიც მის ჯარში მსახურებდენ, რად-
გან ქართველნი პალესტინაში სპარს-
თა შესვლამდე უფლის საფლავის მო-
სალოცავად დადიოდნენ ხოლმე და
პატრიარქსაც უგზავნიდნენ ფულს
წმიდა ადგილებისათვის, და ასრე იქ-
ცოდნენ იგინი შემდეგ მის დაწყ-
რობისა მაჰმადიანთაგანაც“.

*) იხ. გ. ფინლეე, Греція подъ рим-
скимъ владычествомъ, გვ. 432, შენიშ-
ვნა I).

ამიტომაც, ყველა თქმულის მიხე-
დვით, ვგონებთ, რომ უუძველეს
დროითგან ვიდრე ათონის ივერთა
მონასტრის დაარსებამდე (მე-X ს. ნა-
ხევარს) საქართველოსა და წმ. ქვე-
ყანას შორის მიმღებად არსებობ-
და ეკკლესიური და სამწერლო
კავშირი და ამ კავშირს განამტკი-
ცებდა პალესტინასა და სინას
მყოფი ქართველთა მონასტრები და
თავსაფარები (ჯვრის ტაძარი, გოლ-
გოთა, საგა წმიდის ქართველთა სატ-
ფურებელი და სხ.).

ხოლო როდესაც გაბრწყინდა ათო-
ნის ქართველთა მონასტერი, მთელი
ყურადღება ჩვენის მამებისა, რომელ-

ნიც მოღვაწეობდენ აღმოსავლეთის „მღელვარე“ ქვეყნებში, ათონისადმი მიიქცა, იქიდგან მოელოდნენ ქართულ მწერლობის „განწმენდას“ და „განმარცვლას“.

ამის ცხადს საბუთს იძლევა „კით-

-99-

ხვა-მიგება“ საბაწმიდელ ქართველ ხუცესის თევდორესი და წმ. ეფთვიმე ანელის შორის.

ამ თევდორე საბაწმინდელმა ეფთვიმეს მისწერა და ჰკითხა: „გევედ-ედ რები შენ, ღმერთ-შემოსილო მამაო, მაუწყე, თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა წმ. კათოლიკე ეკლესია არ შეიწყნარებს?“

ეფთვიმემ უპასუხა იმ წიგნებსო, რომელნი მწვალებელთაგან აღიწერნესო: ორიგინეს წიგნებიო, ევსევი პამფილიელისაო, რომელსაც თავის ფილოსოფიურს წიგნებში მრავალი წვალება შეუტანიაო.

ეს წიგნი ვისმე ქართველს ეთარგმნაო და ჭყონდიდის ეპისკოპოსს სტეფანეს უწინარეს მრავლისა ჟამისა სიცოცხლესა ჩემის მამის იოანესი მოეწერა ათონს და ეკითხა – ამ წიგნის შეწყნარება და კითხვა ჯერ არს თუ არაო. და ჩვენ მივუწერეთო,

-100-

რომ ამ წიგნში კარგთან ბევრი ღვა-რძლიც არის და მით უხმარ არსო. კვალად იგივე ეფთვიმე განაგრძობს:

„ანტიოქიას მოქცევაჲ“ ჭეშმარიტ არს მხოლოდ კლიმენტოსის დაწერილი და მეორე წიგნი „ანტიოქიის მოქცევაჲ“ ტყუილია.

„პავლეს ცათა მოხალვაჲ“ ნატ-

ყუარივე არს.

„თომას სახარება“ უცხო არს ეკლესიისაგან.

„აბოკროფა წიგნს“ საბერძნეთის ეკლესია არ შეიწყნარებს.

„ადამის ცხოვრება“-ს ეკლესია არ მიითვალავს.

„სიყრმე უფლისა“ შესაწყნარებელი წიგნი არ არის. *)).

*) ეს „სიყრმე უფლისა“ შეტანილია საეკლესიო მუზ. მე-IX – X საუკ. ხელნაწერში (№ 95, გვ. 568). ამავე წიგნთ-საცავში არის აგრეთვე ნაწყვეტი იოაკიმ და ანას „სახარებისა“, ვრცელი „ცხოვრება ღვთისმშობლისა“, „ადამის ცხოვრება“ და სხ.

-101-

„წმ. ანდრიას ცხოვრება“ გარყვნილია.

„მათე მახარებლის ცხოვრება“ გარყვნილია.

„წმ. გიორგის ცხოვრებაში“ უცხოონი რამე საქმენი სწერიან, იგი დადიანესი არის. ნამდვილი წამება წმ. გიორგისა იგი არის, რომელიც დიოკლიტიანეს მიერ იქმნა.

„წმ. კვირიაკეს წამება“ უცხო არს სჯულისაგან.

ყველა ეს წიგნები ხდი სხვებიც მწვალებელთ გარყვნესო, მეტადრე ივლიანე უღვთომო.

შემდეგ საბანწმინდელი ათონელს სთხოვს რჩევას შესახებ სომეხთა არაჯორის მარხვისა და სხვა-და-სხვა საეჭო კითხვებისა და ეფთვიმეც პასუხ უგებს.

ცხადია, ათონის გაბრწყინებამდე ქართველებს „წმიდა წყაროდ“ მიაჩნდათ მხოლოდ „საბა წმინდა“

-102-

და მის მერმეთ-კი ამ უკანასკნელის წყაროდამ მოდენილი ნაკადულის ამ-ღვრევა ყველასთვის თვალ-საჩინო შეიქმნა. და თანდათან ათონის ზავთი უფრო და უფრო გადიდდა. და შემდეგში ხომ არა ათონს წიგნების თარგმნა საბოდიშოც შეიქმნა. ესე დავწერეთო, ამბობენ 'შავმთელნი (შავმთა ასურეთისა, საცა იყო ქართველთა სატფურებელი მე V –VI საუკ.) მამები, ეფრემ და გაბრიელ, გარნა ნუ ჰგონებთ, თუ კადნიერებით ვყავით თარგმნა წიგნისა: წმ. გიორგის თარგმანს ჯერ ჩვენამდის არ მოელწია, თორემ ვერ გავბედავდით გვეთარგმნა თარგმნილი „დიდისა მოძღვრისა და ეკლესიის მნათობისა (გიორგი მთაწმიდელისა) რომლისა უმჯობესი ნუ უკუე და არცა თუ უპირატესისა მისისა! და ზოგადისა მამისა ჩუენისა ეფთვიმისაგან საგონებელ იყო მეორედ თარგმნაჲ?! *).

*) თ. ჟორდანიას. ქრ., 1,224.

-103-

განა საგონებელი იყო, რომ თუ მათს ნათარგმნს ჩვენამდე მოელწია, ჩვენ მეორედ იგივე გადმოგვეთარგმნაო!

სომხურიდამ თარგმნა კი იმოდენად საშიში შეიქმნა, რომ თვით მთარგმნელები ეჭობენ, ვად თუ ჩვენი მუშაკობა არ გამოდგესო! ამის ცხადი მაგალითი დაჩის მიერ სომხურიდამ ნათარგმნი დავითნია.

დაჩი სტეფანე მტბევარს (მე X საუკ. დამდეგს), სწერს: „ფსალმუნთა თარგმანი, კვპრელ ეპისკოპოსის ეპიფანეს დაწერილი, ქართულს ენაზე

ვერ ვპოვეო, ბერძულიც არ ვიცო-
დიო და ამიტომ იგი გადმოვიღე
სომხურიდამო, და წინაშე ღვთისა-
მოყუარისა შენისა განსაკითხავად
მიგიძღუანე, ხოლო შენ მსგავსად
მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენი-
სა განიკითხე და, ჯერ თუ იყოს,
შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესი-

-104-

ასა, და უკეთუ არა ღირს რაიმე
იყოს, წიგნი ესე დაწვ და სიუცბე
ჩემი დაფარე და მე მამხილეს და
შევიწინაო“.

ამასთან იგივე დაჩი არწმუნებს
სტეფანეს, რომ ამ წიგნის სომხური
თარგმანი არის „სრულიად მითვე
ბერძულითა განგებითა და მითვე რი-
ცხვითაო“.

აქ იბადება რალაც ეჭვი: თუ და-
ჩიმ არ იცოდა ბერძული, როგორ
გაიგო, რომ სომხური თარგმანი პირი
იყო ბერძულის დედნისა და რა სა-
ჭირო იყო ამდენი ბოდიში და თა-
ვის კატუნნი, თუ იგი დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ მისი თარგმანი სწო-
რედ ბერძნულ წყაროდამ მომდი-
ნარეობდა!

ვეჭობთ, რომ ეს დაჩი სომეხი არ
ყოფილიყო (და ანუ „გაქართველე-
ბული“ სომეხი) და აზრად არა ჰქო-
ნოდა ლაქუცითა და თავ-კატუნით

-105-

შემოეპარებინა წიგნი, რომელიც
სავსეა ბარბარისმებით. იგი წერილს
სწერს ანტონი მროველს და 13
სტრიქონის მანძილზე *) 6 – 7 სიტ-
ყვას სომხურს ხმარობს!!.

ბარბარისმების ხმარება არ იცოდა

ჩვენმა მწერლობამ. მხოლოდ წმიდა. ნების ცხოვრებას რომ სთარგმნი-
დნენ, სტოვებდენ მათის თანამდებო-
ბის აღმნიშვნელ სიტყვას: „დუკი
პალესტინისა“, „ზორვარი სომხეთი-
სა“, „კურატპალატი“ „მაგისტროსი“,
„მარზაპანი სპარსთა და სხ.

ვფიქრობთ, დაჩი იგეთივე მწვა-
ლებელი იყო, ვითარცა ზემორე ხსე-
ნებულნი ტფილისელი იაკობისნი,
რომელთაც შიომღვიმეში აცთუნეს
კათალიკოსი სარმეან.

წმ. გიორგის ცხოვრების აღმწე-
რელი შესანიშნავი სწავლული მე-XI

*) „სამი ქრონიკა“ ე. თაყაიშაილისა. გვ.
XIII.

-106-

საუკუნისა გიორგივე ცხადად ამბობს,
რომ რაოდენიმე წიგნი სომხებმა
თარგმნესო და გარყვნესო. აი მისი
სიტყვები:

„ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქვეყანი-
საგან საბერძნეთისა და ვითარცა ღუ-
არძლნი რადმე დათესულ იყვნეს ქვე-
ყანასა ჩვენსა, ბოროტნი იგი თეს-
ლნი სომეხთანი, გულარძნილი და
მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გვე-
ვნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი
წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგი-
ნი რეცა მიზეზითა წესიერებისათა,
რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და
რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს
მათგან თარგმნილნი“ *).

რაოდენად იერუსალიმ საქართვე-
ლოს გზა „ეკლიანი“ იყო მწყალე-
ბელთა მეოხებით, იმოდენად ადვი-

*) მამათეცხოვრ. (საეკლესიო მუზეუმის
№ 170, გვ. 213), „სამოთხე“, გვერდი
447.

ლი შეიქმნა ათონ-საქართველოს სულიერი დამოკიდებულობა, რადგან ამ დამოკიდებულობას ამ დროს არ აბრკოლებდა არც სიშორე, არც რაიმე მწვალებლობა და არც გარეშე მძლავრი მტერი. კოსტანტინოპოლ-მცხეთის პოლიტიკურმა და საეკლესიო კავშირმა განამტკიცა კანონიერება წიგნებისა, რომელნიც ითარგმნებოდნენ ათონისა და სოფია წმ. დის დედნებდამ. ძველად ნათარგმნები-კი „უკანონოდ“, „ხან-მეტად“ და „გარყვნილად“ ჩაითვალნენ.

აი რასა სწერს წმ. გიორგი მთაწმიდელი († 1066 წ.) თავის ანდერძში *) „წმიდანო და ღმერთ შემოსილნო მამანო და ძმანო! რომელნიცა წმიდათა ამათ „დავითთა“ მიე-

*) ეს ანდერძი ამოგვაქვს მზექაბუკის დავითნიდამ, რომელიც გადაწერილია ტყავზედ ქკსა: რპკ (= 1494 წ.) იხ. ფურც. 166 - 168.

მთხზნეთ, ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩემთადათა ვთარგმანენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად, მე გლახაკმან უღირსმან გიორგი, ხუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა. თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა და დავითის თარგმანთაგან შეგვწამებია, ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა.

„აწ გევედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვივნეთ წმიდათა ამათ და-

ვითთა, რათა ჩუენთჳს ლოცვაჲ ჰყოთ,
და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ,
ეგრეთვე შეუცვალებლად დასწერდეთ,
ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ.
ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვირ-
თავს და რომელი ჯერ იყო, დაგვ-
კლია, – ვითა ჩვენსა ენასა მოვიდო-
და და წესი საქმისა ეძიებდა. ნუცა

-109-

დონ-ანსა დააკლებეთ, ნუცა რამეთუ-
სა.

„და ესე ეგების გონიერისაგან გუ-
ლისწმის ყოფად, რომელ იგი დონ-
ანი ჩუენცა ვიცოდით; და თუმცა
რას ავნებდა გინა იგი, გინა სხუად.
რაიცა სიტყუად, არა დაუტეობდით,
არცა აღმოვჰკვოდით. ხოლო უკუ-
ეთუ ვინძი ამას ჩუენსა შრომით და
რუდუნებით ქმნილსა და ყოვლითა
ჭეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და
აღწერილსა არა ჯერ იყოს,

და კე იცოდის ანუ ღარ, გინა
ოტი, *) ანუ ღმერთი და უფალი, –
გინა თუ რიტორიცა იყოს ანუ ფი-
ლასოფოსი, – მაშა ჩუენსა ნაშრომსა
ზედა ნუ გრძნობს, ახლად თვთ, ვი-
თა გინდა, თარგმნეს სხუანი დავი-
თნი, – არას ვზრუნავ. და თუ ქართუ-
ლთა დავითთა დაიწერდეს, ჯერი აქუს

*) ბერძნულად: kai (კე), და, ღარ, რა-
მეთუ, oti (ოტი), ვინაითგან.

-110-

და კურთხევად. რომელმან კულა და-
ვითი გინა ზაკვით იძალოს, ბინა ესე
მრავლითა სისხლითა თარგმნილი წი-
ნა დაიდვას და მოსარყუნად და ზე-
ქულჳ ქცევად დაუწყოს, სასჯელი მი-

ჰკადენ დღესა მას საშინელსა სასჯელისასა; და ვინ ამა ჩუენთა დავითთა დასწერდეს და ესე ჩუენი დაწერილი ანდერძი არა დაწეროს, ღვერთსა მან გასცეს პასუხი. უკუეთუ მე გლახაკმან ესეოდენი ჭირი ვნახე და ესე უსასყიდლო მარგალიტი არა დავიცონე აღწერად განმანათლებლად მკითხველთა და მსმენელთა, მას ამა ორთა სიტყუათა დაწერა რად ზარ აც!-

„და წმიდასა მამასა ეფთჳმეს ნუვინ იმოწმებს. წმიდამან მამამან დავითი თარგმანა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განრყუნა და უჴმარყო. და მიერიტგან სხუად არღარად სთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნი

-111-

თანა ესხნიან და სადაცა სიტყუად ეკმარებოდის, მუნით იწამის. და ამათისა ჭემმარიტებისა მოწმედ და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველნი ბერძულნი დავითნი. ვის არა ჰრწმენეს, შეაწამენ“.

ეს არის ანდერძი წმ. გიორგისა და მასში ფრიად საყურადღებოა მისი სიტყეები:

ა) ვინც ჩემს ნათარგმნს დავითს არ დასჯერდეს, ქართულთა დავითთა დაიწეროსო.

ბ) წმ. ეფთჳმეს თარგმნილი დავითი რომ გაირყვნა, სხვა აღარ თარგმანა, ქართულნი დავითნი თანა ესხნიან დი... მუნით იწამის.

ცხადია, ქართველებს წმიდა ეფთჳმე და წმ. გიორგიმდე დავითნები ჰქონიათ. გარნა ამ დავითნებს რად ეძახის „ქართულებად“? ნუთუ ათონს ნათარგმნები კი „ქართულები“ არ იყო!

წმ. გიორგის რა სურს აღნიშნოს სიტყვით „ქართულნი დავითნი“, „ქართულთა დავითთაგან იწამის“? ის, რომ ეს, „ქათული დავითები“ უკანონო, ხან მეტი, ხან ნაკლები, ზოგან გარყვნილები იყო, თუ ის, რომ ძველადვე ქართველებს გვექონდა დავითთა თარგმანებიო! მგონია ორთავე ამას იგულისხმეს.

ოღონდაც რომ ძველი დროითგანვე ნათარგმნ დავითნებს დრო-ჟამის განმავლობაში მიეცემოდა ქართული ელფერი; სიწმიდე მათი, მიუხედავად თარგმანის ნაკლულევეანებისა და წარყვნისა, განმტკიცდებოდა ერში და მათი „სისრულე“ რწმენად გადაიქცეოდა. წმ. გიორგის ანდერძში ცხადად გამოსჭვირს შიში, რომ „ახლად, დიდის ჭირითა და რუდუნებით“ და „მამათა იძულებით“ თარგმნილს დავითს „რიტორნი და ფილოსოფოსნი“ ვინძი არ ერწმუ-

ნენო და ისევ „ქართულნი დავითნი“ დაიწერონო!

გულისხმაში გვაგდებს აგრეთვე „ეჭვი და შიში,“ რომელიც გამოსჭვირს ათონს ნათარგმნ სახარებათა ანდერძშიაც. ბერძულისაგან ქართულად ახლად გვითარგმნია სახარება, ძმათა ვიეთთამე იძულებითაო ღა თუ ჩვენი შრომა არ „გშვენდეს“, დაიწერეთ პირველითგან წმიდად, კეთილად და ხან მეტად თარგმნილ სახარებათაგან და საბა-წმიდურებიდამო! აი თვით სიტყვები წმ. გიორგისა: *).

ესე საცნაურ იყავნ ყოველთა,
რამეთუ წმ. ესე ოთხთავი ახლად
გვითარგმნია... და ბერძულთა სახა-
რებათადა შეგვიმოწმებია ფრიადითა
გამოწულილვითა... და თუ არა რად-
მე გშვენდეს ჩვენნი ყოველნი, სახა-
რებანი პირველითგან წმიდად თარ-

*) სამოთხე, გვ. 488.

-114-

გმნილნი და კეთლად, ხან მეტნიცა
და საბა წმიდურნიცა, – მუნით დაწე-
რეთ და ღვთისათვის ერთმანეთსა
ნუ გაჰრევთ“.

ამ თხოვნამ გასჭრა. კანონიერ
და წმიდა თარგმნად საქართველოში
აღვიარებულ იქმნა ათონური თარგ-
მანი. წმ. გიორგის დედნიდამ გად-
მოღებულს სახარებას (მე XI – XII
საუკ.) აწერია*) „გამლევთ სახარებასა
მართალსა და უფროდს მზისაჲ. ბრწყი-
ნვალესა, ახლად განწმედილსა წმი-
დისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმ-
დელისა, რომელსა შინა არა არს
ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული
და არცა მეტი.“

მართლაცა-და, მეათე საუკუნის
უწინარეს თარგმნილ სახარებებში
„მეტიც“ ბევრია და „დაკლებულიც“
არა მცირე. თვით ათონს ნათარგ-

*) ტყავზ. ნაწერი სახარება საეკლ. მუზ.
№ 257.

-115-

მნშიაც კი დარჩენილა „მეტი“, მაგ.
„მოციქულთა საქმის“ მე 2 თავის
მე 2 მუხლში გვხდება სახელი „უუ-
იკნი“, რომელიც სხვა ერთა სახა-

რებაში არ მოიპოვება.

ვგონებთ, მხოლოდ ამისთანა „მეტები და ანუ „დაკლებული“ დავითნსა და სახარებას შეჰქმნიდნენ „ქართულებად.“

და რომ ქართული საყდარი მონურად არ მიჰყვებოდა მეზობელ ერთა საყდრების წეს-წყობილებასა და გადმოცემას, ეს მტკიცდება თვით იმავე გიორგი მთაწმიდელის მოწმობით.

„თუესა ნოემბერსა: ი: ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა გიორგისი ურმის თუალსა შესვლად. რა ჟამს დაჰკრეს იგი ურმის თუალსა. – წმიდანო მამანო! ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისთვის არა დღესასწაულობენ, არა რაჲ არს

-116-

ყენებაჲ, რათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ: რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩვეულებაჲ.*)

ეს „ჩვეულება“ კი რომ მეტად ძლიერი იყო და მომდინარეობდა წმ. ნინოს დროითგანვე, მტკიცება არ უნდა. საქართველოს ყოველს ბორცვსა და ღელეს ამშვენებდა წმ. გიორგის საყდრები და ამ საყდრების გარეშემო ღამის თევით ლოცულობდნენ ქართველები ყოველ დღე: გალობდნენ, როკვიდენ და წინწილასა და ქნარზედ ფსალმუნობდნენ მსგავსად დავითისა. ასრეთი წეს-ჩვეულება, ალბად, შემოიღეს საქართველოსში იმავე ურიებმა, რომელთაც ეკუთვნოდნენ ნინოს თანამედროვე აბიათარ მღვდელი, სიდონია და სხ. 974 წელს გადაწერილი „დავითნი“ ტყუილად კი არ

*) ტყავზედ ნაწერი სვინაქსარი საეკკლ.
მუზ. № 222, გვ. 70.

-117-

ამბობს: „არიან ერთფერად და
სწორად იწრუსალიმელთაჲ და ქარ-
თველთაჲ კანონიცა და ფსალმუნნი.
ცა“ (ფურც. 260),

შედარება ძველ ქართულ „დავითნე-
ბსა“ და ქართულ ათონურ დავით-
ნებს შორის გვიჩვენებს დიდს გან-
სხვავებას:

„უწინდელ“ დავითნის გადმომ-
ღებელს არ უზრუნვია თარგმანი
ყოფილიყო „ზედგამოჭრილი“ დე-
დანი, მას ჰსურვებია ერისთვის მიე-
ცა „მარგალიტი შეწყობილი“,
„მდინარე“ მრწყველი მდაბიოთა,
დიდთა და მცირეთა.

ათონური თარგმანი კი სიტყვა-
სიტყვად და მარცვალ მარცვლად
ჩამოსხმულია თანახმად ბერძულის
ტექსტისა. გადმომთარგმნი არ ინაღ-
ვლის, მიუხედავად მისის ფიცისა,
რაოდენად უხდება მისი თარგმანი
ქართულ ენის თვისებას, მისი ცდა

-118-

ოღონდ ის არის, ქართულ თარგ-
მანს მისცეს აგებულება დედნისა.

ამგვარ განსხვავების აღსანიშნა-
ვად ქვემოთ ვბეჭდავთ ძველი დავი-
თნების რამდენიმე თავს, რათა მკი-
თხველს შეეძლოს შეუდაროს მას
დაბეჭდილი დავითნი, რომელიც
თარგმნილია წმ. გიორგი მთაწმიდე-
ლის მიერ.

აღსანიშნავია აგრეთვე თვით სა-
ხელწოდება ფსალმუნთა წიგნისა,
რომელსაც ძველს თარგმანებში ჰქვი-

ან „დავითი“ („დავითნი“ მრავლობითი რიცხვია).

უუძველესს დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესია ამ წიგნს თურმე „დავით“-ს უწოდებდა*). აბაშთა დავითნს ბოლოში აწერია: „დასასრული დავითისა“. ასურულად მას ჰქვიან დავიდა, ურიულად მიზმურ,

*) Н. Вишняковъ. О происхож. псалтири, გვ. 89, შენიშ. 1.

-119-

ბერძულად პსალტირიონ, სომხურად საღმოს, რომელიც არის დამახინჯებული ბერძულივე პსალმოს, ფსალმუნი.

ამ წიგნს დავით მეფის და წინასწარმეტყველის სახელი დაედვა, თუმცაღა შიგ მრავალი ფსალმუნია, რომელიც არ ეკუთვნის თვით დავითს, ეს მეფე ითვლება უდიდეს და უპირველეს მეფსალმუნედ. იგი ჯერ ყმაწვილი იყო და ცხოვარს მწყესიდა, რომ ქნარს უკრავდა და თან ფსალმუნებდა ტკბილად, ღვთიურად.

დავითნში უმეტესი ნაწილი დავითის ნათქვამი ფსალმუნია და დანაშუთენი-კი ეკუთვნით სხვა-და-სხვათ (იხ. ქვემო აღწერა 974 წლ. „დავითნისა“).

საჭიროა აქვე ორიოდე სიტყვა ვთქვათ თარგმანთა ენის შესახებაც.

წიგნთა სიძველის აღმოსაჩენად, ჩემის აზრით, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ უფლის ლოცვით.

-120-

ტყავზედ ნაწერ სახარებაში (საეკლ. მუზ. № 28), რომელიც დ. ბაქრაძეს მიაჩნია 610 წლისად და

ჩვენ-კი არა უგვიანეს 706 წლისა,
სწერნა (თავი მეექვსე):
მამაო ჩოვენო, რომელი ხარ ცათა შინა.
წმიდა იყავნ სახელი შენი. მოვედინ სუფე-
ვად შენი. იყავნ ნებაჲ შენი ვითარცა ცათა
შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა. პოვრი ჩოვე-
ნი არსობისაჲ მომეც მოდენ დღეს. და მო-
მიტევენ ჩოვენ თანა ნადებნი ჩოვენნი ვი-
თარცა ჩოვენ მოვტევენეთ თანა მდებთა
ჩოვენთა. და ნოვ შემიყვანებ ჩოვენ განსაც-
დელსა. არამედ მივსნენ სოვენ ბოროტისა-
გან. რამეთოვ შენი არს სოვფევაჲ და ძალი
და დიდებაჲ საოვკოვენეთა მიმართ ან.

სიტყვებში „მომეც“ (მოგუეცის
მაგიერ), „მომიტევენ“ (= მოგვიტე-
ვენ), „ნუ შემიყვანებ“ (= ნუ შეგ-
ვიყვან), „მივსნენ“ (= გვივსენ) პირო-
ვნებითნი ნაცვალ-სახელნი მ (= გუ
= გვე), მი (= გვი = გუი) უნდა იყოს
ნაშთი იმ დროისა, როდესაც მთელი

-121-

მოდგმა ქართველთა ერისა მეგრე-
ლებთან ერთად უბნობდა ყველასათ-
ვის გასაგებს კილოკავზედ.

უძველესს დროსვე უნდა ეკუთვ-
ნოდეს არსებითი ზმნის ფორმები
არიედ, რე, არნ, არნნ, ალი ანუ ლი.

ჩვენ დღეს ვამბობთ: უწინარე,
ქვემო რე და არ-კი გვესმის, რა არის
ამ სიტყვების დაბოლოება არე ანუ
რე, რომელიც მეგრულის გამოთქმით
ნიშნავს იმავე სიტყვას არი, არს.

ჩვენ ვამბობთ მამალი, დედალი,
და ვერ-კი ვგულისხმობთ, რომ აქ
„ლი“. ნიშნავს იმავე არის სვანურის
გამოთქმით.

მამა – ა (ე. ი. მამა არი).=

მუ – ლი (სვანურ.).

მუმა – რე (მეგრულ.).

მაშასადამე „მამალი“ და „დედა-
ლი“ რთული სიტყვებია: მამა არი

(და აქედგან „მამრი“), დედა არი
(და აქედგან „მდედრი“).

-122-

ეს „ლი“, „რე“ თუმცა დღესაც
გვხვდება მეტყველებაში, მაგ. „არა-
ფელი“ არაფერის მაგიერ, „არალი“
არარის მაგიერ, გარნა ჩვენთვის იგი-
ნი გაქვავებულია და ძველის ძველ
დროის ნაშთად ლა შენახულა.

ამგვარივე „გაქვავებული“ ნაშთად
მიგვაჩნია აგრეთვე არიედ (= ახლან.
დელს იყო, იყვნენ).

წმ. ნინოს სიტყვებში და მცხეთის
„ჯვრის ამალღებაში“ და სხვ. უუძ-
ველეს ნაწერებში გვხვდება ფორმა ედ:

„კაცნი იგი, რომელ მისრულ
არიედ, ჳუმილვედ.“

„რომელნი შორს არიედ გინა
თუ ბანაკსა, ხადიედ პატოოსანსა
ჯუარსა“.

მდაბიურად:

„კაცნი იგი, რომელ მისრულ იყვნენ, ხმი-
ლვიდენ“.

„რომელნი შორს იყვნენ... ხადოდენ“...

და, მართლაც, „არიედ“ წარსუ-
ლი დროის ფორმა ყოფილა.

-123-

სვან.	მეგრ.	ძველ. ქართ.
წარს. ხვ არდ	ვორდი	ვ-არიედ
უსრული ხ-არდ	ორდი	ხ-არიედ
დრო არდა	ორდ-უ	არიედ.

კიდევ ორიოდ ფორმა:

იგივე სწორეგა". rah,3'5, რაოდენცა იგი
არნ.

დგან ზეთი იგი

დღისი ჩანნ იგი

სხუა არნ იასპინი *) და სხ.

აი სიტყვის „ჩენა“-ს სახეები:

ა. ჩას (= ჩანს) ძალი იგი ცხო-
ველი.

ბ. საგონებელ მიჩს.

გ. ნუ უცხო გიჩნ.

დ. დღისი ჩანნ ბრწყინვალეაჲ.

ე. სჩანს საქმე ესე. ფესვი „ჩ“.

რაოდენადაც წიგნი ძველია, იმ-
დენად სიტყვაც მარტივია. თუმცა-
და მე-X და მე-XI საუკუნის წიგნე-

*) იხ. ჩვენი „Драгоцен. камни“, გვ,
57 – 58; „ივერია“ 1898 წ., № 191.

-124-

ბშიაც გხვდება ესრეთი ძველი ფორ-
მები, გარნა იგინი უკვე არხაიზმებია
და, უნდა ვიგულისხმობთ, რომ იხმა-
რებიან ანუ წინაპართა მიბაძვით, რო-
გორც იცოდა, მაგალ. ანტონი I-მა,
და ანუ იმგვარ მწერალთაგან, რო-
მელნიც ეგრისისა და სვანეთის შვი-
ლნი იყვნენ, ანუ აქ და ამათ შო-
რის მიეღოთ აღზრდა.

ყოველ შემთხვევაში ერთი უეჭვე-
ლია: ქართული სამწერლო ნაშთე-
ბის შესწავლა უუძველეს დროიდან
მე-XIX საუკუნემდე ცხად ჰყოფს
ქართულის ენის განვითარებასაც; ასე
რომ ნაშთების ენის შესწავლით ჩვენ
შეგვიძლია თითქმის უცდომლოდ აღ-
ვნიშნოთ თვით საუკუნე მათის და-
წერისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ხუთი
ძეგლი, რომელნიც ჰღაღადებენ, რომ
მეათე საუკუნემდე ქართველების მწი-
გნობრობა გაძლიერებული ყოფილა.

-125-

ა. 978 წელს გადაწერილს დაბა-
დებას, „მეფეთა წიგნის ბოლოსი,

შემდეგი წინასიტყვაობა აქვს (საეკლ. მუზ. №, გვ. 334):

„ვითარცა ზღუაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაეცემის, ეგრეთვე ეკლესიაჲ დღითი-დღე სწავლასა წმიდათა მოძღვართასა, და იგი აღსავსე წესსავე ზედა ჰგის და მარადის ქადაგებს და იტყვის: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ რომელი ეგოს ცხორებად საუკუნოდ“. რომლისათვისცა მე იოანე, თორნიკ ყოფალმან,*) ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდა ესე

*) ეს იოანე თორნიკ ყოფილო გამოჩეილი სარდალი იყო. იგი ათონს დასახლდა. უკვე ჩოხოსანი იყო, რომ ქართველთა ლაშქრით კოსტანტინეპოლი იხსნა განსაცდელი-საგან. თორნიკის შესახებ საუბარი გვექნება მე-II წერილში.

-126-

„წიგნი მეფეთაჲ“ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათვის და მოსახსენებელად სულსა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთასა. – აწ წმიდანო ლუთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ხსენებულმცა ვარ წმიდათა შინა ლოცვათა თქვენთა, რათა თქვენცა სასყიდელი ზეცისა მოგენიჭოს. კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი, მაღლი მსმენელთა. ამინ.

„დაიწერა წმიდა ესე წიგნი ჳელითა სამთა მწერალთაჲთა: მიქელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა. ჩუენთვსცა ლოცვა ყავთ, წმიდანო ლუთისანო. ამინ.

„ოდეს ნანდვილი ესე ბიბლია დაწერილან, ქორონიკონი ყოფილა

რჟჳ“ (= 978 წ.).

აქედგან სჩანს, რომ თორნიკს მოუგია მხოლოდ „მეფეთა წიგნი“ და

-127-

გადუწერინებია უკვე არსებული ბიბლია.

და რომ ბიბლია არსებობდა წინადაც, ამას ცხად ჰყოფს აბოსი და გობრონის ცხოვრება.

ბ. აბოს ცხოვრებაში არის შემდეგი საყურადღებო ადგილი:

„ესე არა თუ რადმე თავით თვისით განმიმარტე თქუენ, ქრისტჳს მოყუარენო და სწავლის მოლუაწენო, არამედ წამებითა წიგნთაგან საწინასწარმეტყუელთა და მოციქულთა ქადაგებისამებრ და წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოვებად“.

შემდეგ კიდევ: „ვითარცა იგი იტყვს წმიდასა სახარებასა შინა... და წარმოვიდა (წმ. აბო არაბეთით) აქა ნერსჳს თანა-მგზავრ ქრისტის სიყუარულისათ'7)ს, და რაჟამს მოვიდა იგი (აბო) ქართლად, ცხოვნდებოდა იგი

-128-

ნერსე ერისთავისათანა, და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა, და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა ჳსნილად.

„მაშინ იწყო ზედა-მიწევნილ და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენს წმიდათა სახარებათაგან საკითხავთა საწინასწარ-

მეტყუელოთა და მოციქულთასა და მრამალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავს- და ისწავებნ.

„ხოლო რომელნიმე რეცათუ ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლის ექმნებიან მას და ესრჷთ სრულ იქმნა იგი ყოველითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტჷს მიერ“.

რახან აბო, როგორც უკვე ვთქვით, ეწამა 786 წელს, განმარტება აღარ

-129-

უნდა, რომ ანდრომდე ამ წმიდანს ქართულ ენასთან ერთად შეუსწავლია აგრეთვე წიგნები ძველისა და ახლის შჯულისა: საწინასწარმეტყველონი, სახარება, სამოციქულო, მათათა მოძღვრებანი.*).

გ. ცხოვრება გობრონისა, რომელიც ეწამა 914 წლის ახლო ხანს, აშოტ-კუხის († 918 წელს) ბრძანებით აღწერა სტეფანე მტბევარმა. ეს ბრძენი მაკურთხეველი თავის უხრწნელს ძეგლში საღვთო წიგნებს ისე იხმარებს, თითქოდეს ყველა „მამაო-ჩვენოსავით გაზეპირებული აქვსო. სახელდობრ:

იტყვს იობ: „ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა უფალმან, და სწა-

*) წმ. აბოს ცხოვრება, რომელიც შედგენილია 820 წ., ჩვენ გადმოწერილი გვაქვს საეკლ. მუზეუმის მე IX – X საუკ. ტყავზედ ნაწერ ძმგლებიდან და დავბეჭდავთ ცალკე წიგნად.

-130-

ვლასა ყოვლისა მპყრობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან აღმის და კუალად აგის“.

სოლომონ იტყვს: „შელო, უკეთესი მიუხედავად მონებად უფლისა, თავი შენი განუმზადე განსაცდელსა“.

მოციქული იტყვს: „სულთათვის არს მტკიცე იგი საზრდელი“...

დავით იტყვს: „ამაღლდი, მსაჯულო სიმართლისაო, და მიაგე მისაგებელი ამჰარტავანთა“.

პავლე იტყვს „ამისთვის მოიწიოს რისხუა ღუთისა ნაშობთა ზედა ურჩებისათა, ვითარცა დასაბამსა დაბადებისასა ნოეს ზე აგებულებად თვისი ვერ ესწავა უმადლოთა მათ ნათესავთა“...

ელია იტყვს: „რად ძეს ჩემი და სახლისა მის აქაბისი“...

ვითარცა თქუა მოსე: „დავსდებ თქუენზედა კურთხევასა“...

ვითარცა თქუა ირემია წინასწარ-

-131-

მეტყუელმან გოდებათა მისთა: „სიტყვთა გმობისათა შეაწუხეს სული წმიდად“....

იტყს ესხია წინასწარმეტყუელი: „მისნა იგინი მახვილსა გოროტსა“...

სომეხთაო, შენიშნავს იგივე სტეფანე მტბევარი, მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლ-მადიდებლობისა იგი სარწმუნოებად კათოლიკე ეკლესიისა განაგდეს და მოძღუართა მიერ განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ-ჰყვეს“.

ცხადია, აშოტის სიკვდილამდე (918 წ.) და აბოს ცხოვრების დაწერამდე (820 წ.) ყველა აღნიშნული წიგნები თარგმნილი ყოფილა.

დ. „მამათა მოძღვრებად“ (იხ.. ზემო „ბ“ და „გ“) უნდა იგულისხმებოდეს „სვანური კრებულისთანა“ წიგ-

ნი. ეს ეტრატზე ნაწერი წიგნი მე-
IX – X საუკუნისაა (იხ. საეკ.

-132-

მუზ. № 19). მას თავი და ბოლო
აკლია. დანაშთენში არის განმარტე-
ბა სხვა და სხვა საეკლესიო კითხვათა
და წეს-კანონთა, ვითარება:

სიტყუა იოანე ოქროპირისა. – მამისა ჩუ-
ენისა ეპიფანეს თქმული სარწმუნოებისათვს.
წმ. იოანე კოსტანტინეპოლელ მთავარ-ეპი-
სკოპოსის თქმული ქრისტეს შობისათვს.
ათანასე ალექსანდრიელის თქმული ქრის-
ტეს განკაცებისათვს. – წმ. კლემენტოსის
თქმული წამებულთათვს. – გრიგოლ ღუთის-
მეტყუელის თქმული ქრისტეს შობისათვს.–
იმავე საგნის შესახებ გრიგოლ ანძიადორე-
ლის თქმული. – ისტვნიანეს მიწერილობა
იერუსალიმს მიგებებისათვს ხარებისა, შო-
ბისა და ნათლისღებისა. – პეტრე იერუსალი-
მელის თქმული შობისათვს უფლისა.– იმავე
საგნის შესახებ თქმული ევსევი ეპისკოპო-
სისა. – გამოცხადებად ზაქარიაძსი, სვმეონი-
სი, იაკობისი და სხ. – იოანე ოქროპირის
თქმული ტაძრის მწერალთათვს. – ჯსენება
სტეფანე პირველ მოწამისა. – წამებად პავლე
მოციქულისა რომს.– ქებად პავლესი და პე-
ტრესი ი. ოქროპირის მიერ. ცხოვრებად

-133-

დიონოსისი სოკრატის მოწაფისა. – ეპისტო-
ლე დიონოსისა. – წმ. იაკოვ ბატანანელ
ეპისკოპოსის თქმული ხარებისათვის. – საქ-
მენი და სწავლანი იოვანე მოციქულისნი და
მოწაფისა მისისა პროხორესი. – ბასილისა
და მისის ცოლის მოქცევა იოვანეს მიერ. –
მგლის გამოჩინებისათვის. – გამოცხადებისა-
თვის იოვანესად.–საკითხავი სახარებისათვის
იოვანეს თავისა: ვითარ გამოთქუა იოვანე,
და რადსათვის, და რომელსა ადგილსა და
რომელსა ჟამსა. – საკითხავი იოვანე ოქრო-
პირისა: იოვანესთვის. – ცხორება ბასილი
კესარიელკაზადუკიელისა თქმული ამფილო-

ოქი იაკონოელისა. – სიტყვა ეფრემისთვის, თქმული ბასილის მიერ. პეტრესი ხუცის შესახებ. სიტყუანდ ბასილისი და გრიგოლისი. – აღსარებად თევდორესი ჰურიათა მთავრისად, ნათლისღებისათვის თქმული: იოანე კოსტანტინეპოლელისა, იოანე ოქროპირისა, კვროილესი, წმ. ნინოსი, წმ. ევსებისი. – წამება წმ. ჰაზოდსი ტფილისს. – ცხორება მამისა ანტონისი. – ყოველთა წმიდათათვის იოანე კოსტანტინეპოლელისა. – თარგმანებად მარტულთად მისივე. – მოწამეთათვის იოანე ოქროპირისა. – ქალწულობისათვის მისივე. – გამოჩიწებისათვის ჯვრისა...

-134-

სტეფანე მტბევარი მამათა მოძღვრებადვე უწოდებს მსოფლიო კრებათა დადგენილებას: სომეხთ „მოძღურთა მიერ წმიდათა კრებათა, ღუთივ სულიერისა, განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ ჰყვეს.“

ამ დროს ეს „კანონებიც“, თუ ვრცლად არა, მოკლედ მაინც გადმოღებულ იქმნებოდა, რასაკვირველია.

ე. № 19-ზედ უფრო ვრცლად მამათა ცხოვრება შეტანილია ეტრატისავე მე X საუკ. წიგნებში (№ 95 და №144). მათში მოიპოვება, სხვათა შორის, წმ. ნინოს ქადაგებანი (დაიბეჭდა ჩვენს წიგნში „Исторія Груз. церкви“), ჯვრის ამაღლება მცხეთას, ცხოვრება აბოსი, შუშანიკისა, მოძღვრება ბოლნელ ეპისკოპოსისა და მრ. სხვა საგულისხმო წერილები.

№ 95- ის 1222 კაბადონზე (დიდის თაბახის ზომის წიგნია, თავი

-135-

აკლია და მაინც შეიცავს 1316 კაბადონს) გადამწერი შენიშნავს:

„დიდებად. შენდა, სამებაო წმიდაო. დასრულდა წამებად წმიდათა მოწამეთადა საკითხავები. თავი: ლწ.

„კურთხეულნო ერნო მომავალნო, რომელნი ჩუენსა შემდგომად ყოფად ხართ!

„პირველ ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრე მედვა გულსა, ვითა დედათა წამებად და ცხორებად ოდენ დავწერო და მით გავასრულო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა ვძებნე დედად და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემძლო ძებნად; მერმე ესე მამათა მოწამეთადა, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე.

„და ესე ცხოვრებანი დედათა და ღუთის მოყუარეთა მამათანი მიწყებით ამას ქუემოსა კერძოსა მოვაქციენ;

-136-

თუმცა პირველ გამეგონა, თავსა ზედა მამათა მოწამეთადა ჯამდა. განა დედათა წამებითა და ცხორებითა ოდენ ვლამობდე განსრულებასა...

„ჭირნი კულა დიდნი მინახიან. ღმერთმან დაგაჯეროს. სული გრიგოლ პატარაისა მოიხსენეთ წმიდათა ლთცვათა თქუენტა.

„გაბრიელ ჰსკაველი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა (ღმერთმან შეუნდვენ ცოდვანი!): ოდეს მიმჭირდის, მათ მივჰმართი, პურაი მციან.

„იოვანე გაცუეთილმან კუტალითა ღჯნოდ მომართუა.“

რახან დედნები უძებნია და ზოგი იშხნით მოუტანია, სჩანს ძველი თარგმანები უკვე ყოფილა...

ამ განხილვას ვასრულებ შატბერ-

დის კრებულის სიტყვით.

შატბერდის კრებული: „წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ..., ვითარცა

-137-

ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ“. (ეს კრებული შედგენილია მეათე საუკუნეში).

თუ მე X საუკუნეში გამწვანებულ იყო „ტალანტის“ პოვნა, ჩვენ, „მეოცე“ საუკუნის შვილთ, რად გვიკვირს, რომ VII საუკუნეზე უწინარეს წიგნს ვერ ვპოულობთ. თუ შატბერდის კრებული გუშინ მხოლოდ აღმოჩნდა, საკვირველი იქნება, რომ ზეგ ანუ მაზეგ კიდევ არ აღმოჩნდეს სხვა კრებული, უფრო უძველესი! ეს ძალიან შესაძლებელია და მოსალოდნელიც არის. ჩვენ ჯერ რიგიანად არა გვაქვს შესწავლილი ქართველთა მცირე აზიის მონასტრები, მაგ. კალიპოს მონასტერი, რომლის ერთი ტყავზე ნაწერი და საოცარ ხელოვნებითა და ცხოველ ფერადებით დახატული სახარება ეხლა ხელთა გვაქვს. (№ 455). ამაზედ უფრო შე-

-138-

სანიშნავი ძეგლი, მხატვრობის მხრივ, არის ტყავზედ ნაწერი სვინაქსარი, სახელოვანის მოღვაწის ზაქარია ვალაშკერტელისა (ალაშკერტის ეპისკოპოსისა). რამდენი რამ საუნჯე აღმოჩნდება ამის შემდეგ კიდევ, ამას თვალწინ გვიყენებს სივრცელე უკვე აღმოჩენილ ქართულ ნაშთებისა მეათე საეკ. დასასრულამდე.

„დავითნების“ განხილვა.

ა.

პროფეს. ა. ა. ცაგარელს განუხილავს ქართული დავითნები VII – VIII საუკუნისა, მე-VII – IX საუკუნისა, მე-IX – X საუკუნისა, მე-X საუკუნისა და სხ. ჩვენ დღეს ხელში გვაქვს დავითნის მეცნიერული გამოცემა 974 წლისა.

ეს არის საეკლ. მუზ. მკვიდრს ტყავზედ ასო-მთავრულით დაწერილი წიგნი (№ 38, in quarto, ფურც. 263).

წიგნის პირველ გვერდზე (მერმენდელის ხვეულით): კზი ბე (კათალიკოზი ბესარიონ).

მეორე გვერდზე (მე-XII – XIII საუკ. მხედრულით): ღმერთო:.. და: ყოვლად:.. წმიდაო:.. ღუთის:.. მშობელო:.. ნიკოლოზ(?):.. ლასურიძე-

-140-

სა *):.. მისნო. ცოდვანო:.. შეუნდვენ:.. და ვინცა:.. ბძანოთა:.. შენდობაი:.. თქუენცა:.. შეგინდვენს:.. ღმერთმან:.. თქუენნი:.. ცოდვანი:..

იქვე მეტად ძველის მხედრულით და გამოუცდელის კალმით ოთხ სტრიქონად:

ჟ ჯ**) შე(ნ)დამი ო (უფალო)
თოლანი (თვალნი)

ჩემნი შენ გესუ-
ენ და ნო მიე სოლ-
სა ჩემსა

ქს***) დადი პატიჟი.

ამას მიჰყვება (ფურც. მე-2) შვენიერის ფერადებით გამოყვანილი დიდი ჯვარი, რომლის ფრთებ შორის

*) ლასურიძე განთქმული გვარია ჩვენს ისტორიაში მე-X საუკუნიდგანვე და სამცხის სამწყსოს ეკუთვნის. სალასურიძეო სოფელია აჭარაში.

***) შ ჯ= შ ჯუარო.

***) ქრისტესო.

-141-

აწერია ძველის ნუსხურით და სხვადასხვა ხელით:

მწერალსა ატბელასძესა ნდრის შეუნდვნეს ღ ნ: –

მწერალსა ტბელასძესა გაბრიელს შნ ეს ღ ნ

ჯვრის თავსაც არის წარწერა, მაგრამ გადასულობით აღარ იკითხება. ამის ცოტა ქვემო (მხედრულად): საქართველოს პატრიარქი იოსებ ღმერთმან კურთხევით ამყოფოს“. *)

მე-243 ფურც. აშიაზე ძველის მხედრულით:

შალვა: ბასილი: დავით: მათნი: ცოდვანი: შეუნდვნეს: ღმერთმან: ამინ:.

მე-254 ფურცლის აშიაზე შვენიერის მე-XII – XIII საუკ. ხელით მხედრულად აწერია:

*) კათალიკოზი იოსებ ჯანდიერიშვილი (1755 – 1762 წ.)

-142-

სულსა: ხუცისძისა: იორდანესსა: შეუნდვნეს: ღმერთმან.

წიგნის ბოლო გვერდზე (ნუსხურად):

სულსა ტბელასძესა მანოელს შნ ს

ღნ:.

სულსა ტბელასძესა ლაზარეს შ ს
ღნ:.

სულსა ბაიასა (?) და მისსა მეულ-
ლესა შ ნს ღნ:.

მხედრულად (გამოუცდელის ხე-
ლით):

მოიჯსენე:.. უფალო:.. მეფე:.. გიორგი:..

წიგნს წინ უძღვის შესავალი (ფ.
1 – 21), ამას მიჰყვება 150 ფსალ-
მუნი (22 – 208). შემდეგ არის ფსალ-
მუნთა დამატება (209 – 238), ქო-
რონიკონი (239 – 248), ფსალმუნთა
განაწილება (249 – 251) და ბოლოს
განწესებაჲ (252 – 263).

შესავალში სამი წერილი: დავით
წინასწარმეტყველისა ათანასი ალექ-

-143-

სანდრიელისა და თვით ქართელ და-
ვითნის შემდგენელისა. აი ეს წერი-
ლებიც:

თქუმული დავითისი.

უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა
შორის და უმრწემეს სახლსა მამისა
ჩემისასა და ვმწყსიდი მე საცხოვარ-
თა მამისა ჩემისათა:

ჯელთა ჩემთა ქმნეს საგალობელი
და თითთა ჩემთა განაგეს საქებელი
და ვინმე მიუთხრას ესე ოფალსა ჩე-
მსა და თავადმან ოფალმან ისმინა ჩე-
მი: და თავადმან ოფალმან გამოავ-
ლინა ანგელოზი მისი და გამომიყვა-
ნა მე საცხოვართაგან მამისა ჩემისა-
თა: და მცხო მე ზეთითა ცხებულ
ბისა მისისაჲთა:

ხოლო ძმანი ჩემნი იყვნეს უკეთეს
და უმუენიერეს და არა სთნიდეს
იგინი ოფალსა: განვედ მე შემთხვე

მე სახელისდებით კერპთა მიმართ
თვსთა: ხოლო მე სახელითა ოფლი-
სა ღუთისა ჩემისაჲთა მოვიღე შახვლი
იგი მისი და მოვჰკუეთე თავი მისი
და აღვკოცე ყუელრებაჲ ძეთაგან ის-
რაწლისათა:

ქ თქუმული: ნეტარისა: ათანასი:
მთავარ: ეპისკოპოსისა: ალექსანდრიე-
ლისაჲ: ვითარ იგი დიდითა: წადიერე-
ბითა: გულს: მოდგინე: ყოფილარს:
გამოუღლევად: ძალსა: ფსალმუნთასა:
და უპოვნია: ვინმე: მოხუცებული: ერ-
თი: მარტოდ: მყოფი: სავსე: მად-
ლითა: სულისა: წმიდისაჲთა: და მის-
გან: ზედა: მიწევნულარს: ძალსა: ფსალ-
მუნთასა: დავითისთა: გულისხმის: ყო-
ფად:

და მან თვთ თავადმან ეპისკოპოს.
მან შემწყნარებელი გონებაჲ თვისი
მოიპოვა და გამოუცხადა ყოველთა
წიგნთა ფსალმუნთა დავითისთა გან-

მარტებაჲ და ჩუენ მოგვთხრობს და
გუასწავებს და იტყვს ესრეთ:

უმეტესადრე უფროდსითა შრომი-
თა და გულს მოდგინებითა გამოვი-
ძიებდი და გამომირჩიე გულისხმის
ყოფად ძალი ფსალმუნთაჲ და რო-
მელი სარგებელი არს მას შინა სა-
კურნებელად სულთა ჩუენტა.

აწ უკუე დიდითა წადიერებითა
წიგნთა მათ დავითის ფსალმუნთასა
უფროს ყოველთა წიგნთასა უმეტესი
შრომაჲ ვყავ:

და მივემთხვე მოხუცებულსა ვის-
მე სულიერსა მარტოდ მყოფსა: და

ვითარ იგი მან გულისსხმა მიყო მე
თითოეულად ძალი ფსალმუნთად ვი-
თარცა თვთ იგი თავადი ზედა მი-
წევნულ იყო. და ეცნა.

ესრევე მსგავსად მისა მნებავს მე-
ცა ღუთის მოყუარებასა თქუენსა მი-
თხრობად ყოველივე: რათა იყოს

-146-

თქუენდა. შესაძინელ და სარგებელ:
და ჩემდა მოსაგებელ ნიჭისა.

რამეთუ მრავალი შუენიერებად და
სარგებელი აქუს სიტყუათა მის მო-
ხუცებულისათა.

რამეთუ იტყოდა ესრწთ: ვითარ-
მედ ყოველნი წიგნნი საღმრთონი.
შვილო. რომელ მოგუმადლა ჩუენ
სულისა წმიდისაგან. ძუელისა და
ახლისა შჯულისა: მხოლოდ შობი-
ლისა მიერ ძისა ღუთისა. რომელ
თქუმულ არიან სარგებელად ნიჭნი
მოდღურებისა საკმარნი სულთა ჩვენ-
თა:

რამეთუ ძალი წიგნთად თითოეუ-
ლად გაუწყებს მხოლონი თვსსა
ოდენ სახესა. მოგვთხრობენ. ოდეს
მე ზრახვით იტყვედ: ოდესმე წინას-
წარმეტყუელებედ: ხოლო ფსალმუ-
ნი: ვითარცა თვსით სიტყვთ რეცა
თავისა ვედრებასა შესწირავნ და ლო-
ცვასა და ვითარცა სარკესა შინა ეგ-

-147-

რე იტივის გონებად თვსი ფსალმუნ-
თა თანა ლოცვითურთ გამოარჩევს
და წმიდა ჰყოფს და არათუ ვითარ-
ცა დაბადებასა შინა სხვსა სიტყუათა
მოგვთხრობს: ვითარმედ ღმერთი იტ-
ყოდა. მოსწ მიუგებდა: და კუალად
იტყოდა: ვითარცა აბრაჰამს: ხოლო

ფსალმუნთა ვითარმცა კაცი იგი ღმერთსა ჰზრახავნ თჳსით გონებით და ღმერთი კაცსა: და ესრჳთ ვითარცა თჳსით გონებით უგალობს ფსალმუნითა და იტყჳს მეთესა ფსალმუნსა „ოფალსა ვესავ ვითარ ეტყჳვის სულსა ჩემსა“. და მეერგასისა ფსალმუნსა: ვითარცა რეცა თუ თჳსთა ცოდვათათჳს და სინანულისათს იტყჳს ყოველთა ფსალმუნთა გამოაცხადებს და იტჳს:

მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა.

და ესრეთ ყოველთა ფსალმუნითა, ვითარმცა კაცი გალობით შეასხამნ

-148-

თავისა მაგიერ ერგასის დასაბამსა: ნ ე: ნ ვ: რ მა: რაჟამს ვინმე ფსალმუნებნ არათუ ვითარმცა ვინ სხუად განმებულ არნ და იტანჯებინ; გინათუ ჰმადლობნ და ევედრებინ და აკურთხევენ: არამედ თჳსით გონებით უგალობნ და ადიდებნ ღმერთსა. და თჳსი იგი სიტყუად ამსახურის და წინასწარმეტყუელებნ. და ესრჳთ მიწევნულ ყოველთა ფსალმუნთაგან უფროსსა გულისხმის ყოფად აღძრვად სულითა სიონითა (!) და გალობითა ლოცვად.

ეგრეთ შევჰრაცხოთ ვითარმცა ჩუენ ვართ რომელნი ღმერთსა ვჰზრახავთ მოსაცსენებელად საქმეთა ჩუენტა და წარმატებად საქმეთა ჩუენტა:

ესრეთ იტყოდა ნეტარი იგი ბერი. ვითარმედ მოვიღე ნიჰი ესე მათა სიტყჳთა მეცნიერებისადთა. ვითარცა ჩუენ მიერი ქებულო:

ამისთჳსცა მოსლვად თჳსი ჳელი-

-149-

თა ფსალმუნთადათა გუაუწყა ჩუენ:
რათა მათ მიერ სრულებად და ზეცი-
სა წარმატებულებად კაცთა უჩუე-
ნოს:

ესრეთ არს გამოძიებად ფსალმუნ-
თაგან გულისხმის ყოფად სიმართლი-
სად და სრბად სულიერებრისა ცნო-
ბისა: რომელსა უნდეს ზედა მიწევ-
ნად. ადვილად მიემთხვოს. პოვოს მას
თანაცა თითოეულად ფსალმუნსა ში-
ნა სულთა წამალი კურნებისად და
რათა ერთბამად აღწერილი სამართა-
ლი ვთქუათ:

ყოველნი სადმართონი წიგნნი სა-
მოდღურებელად და სასწავლელად არი-
ან: წარმატებად საქმეთა კეთილთადა.
რჩეულსა ჭემმარიტსა: ხოლო წიგნნი
ფსალმუნთანი გუსწავებენ თუ ვი-
თარ ჯერ არს მოყვანებად სულისად
სიმართლედ: ვითარცა იგი ვის უნებნ
წინაშე მეუფისა შესლვად: და თაუყუ-
ანის ცემად მისა: და ვიეთნიმე წინა-

-150-

მძღუარ ექმნნიან და ასწავიან თავყუა-
ნის ცემასა და სახედ-სახედი კარგი:
და სიტყვს გებად. ვითარ ჯერ არს
მეცნიერებით შჯულითა წესიერად აღ-
სწავლებად: და უკუეთუ მცირედ რად-
თმე დააკლოს და არა წინა მძღუა-
რისა მის მოძღურებისაებრ მივლოს:
ვითარცა უგუნური გახვარდეს პირი-
საგან მეუფისა:

ეგრეთცა წიგნნი ფსალმუნთანი ვის
უნდეს წარმატებულად სლვად: და
მიმსგავსებად მაცხოვრისა ჯორციე-
ლებრ სლვათა მისთა. ჯერ არს მო-
თმინებით ჳელის შეყოფით გალობით
შესხმითა ფსალმუნთადათა. ვითარ ზრა-
ხვით აღძრვად სულისა მეცნიერებად

ძალ უც. მას შინა შემთხუევად ოფ-
ლისა ჩუენისა ივსო ქრისტჳსა:

რამეთუ არს მას შინა გამოთქუ-
მად: არს მას შინა სწავლაჲ იგავთაჲ:
და წინასწარმეტყუელეზაჲ და ლოც-
ვაჲ და აღსარეზაჲ (ფურც. 5).

-151-

(ფურც. 7 ბ.): აწ უკუეთუ გინ-
დეს, რათამცა მოინატრე ვინმე, მო-
ილო სახედ და წინა მძღურად დავი-
თი და ისწაო მისგან, თუ ვითარ გი-
ნათუ რაჲსათჳს, გინათუ ვითარ ჯერ
არს სიტყუად, ისმინე დავითისაჲ და
მოგცეს წინამძღურად:

პირველი ფსალმუნი: ნეტარ არს
კაცი, რომელი არაა...

ლა ფსალმუნი: ნეტარ არიან, რო-
მელთა მიეტ...

ჟ ფსალმუნი ნეტარ არს, რომელ-
მან გულისჯ...

რია ფსალმუნი: ნეტარ არს კაცი,
რომელსა ეში...

რიჭ ფსალმუნი: ნეტარ არიან უბი-
წონი

რკზ ფსალმუნი: ნეტარ არიან. ყო-
ველნი, რომელთა ეშინის...

და თუ მთავართა გინა ჳელ მწი-
ფეთა: გინათუ მონათა უკთურთა გა-
ნიზრახონ ბოროტი შენი: სახედ მა-

-152-

ცხოვრისა: აღპყრობითა ჳელთაჲთა.
აყუედრი მტერთა და ფსალმუ-
ნი: ბ: რად აღიდრნეს წარმართნი დხ
ყოველმან აზრი...

და უკუეთუ განჳვარდე სახლეუ-
ლთა და მოყუარეთა თჳსთა გინა თა-
ნა ცხოვრებულისგან და მრავალნი
აღდგენ შენ ზედა, აღიპყრენ ჳელნი

შენნი ღუთისა მიმართ და თქუ ფსალ-
მუნი: გ: უფალო, რგდ განმრავლდეს
მაჭირვებელნი ჩემნი...

და ჭუვილი რაჲ შენი შეისმინოს
ღმერთმან და გილხინოს ურვასა, სი-
ხარულით აღუარე ღმერთსდა უფა-
ლობდ ფსალმუნსა დ: ხადილსა ჩემ-
სა ესმა ჩემი...

რიდ: შეგიყუარე, რამეთუ ისმინა
უფალმან ჳმად ლოც...

და უკუეთუ მტერი ვინმე დადა-
რანებული გიმზირდეს დათრგუნვად
და შენ აგრძნე, და გინდეს მადლისა
შეწირვად ღუთისა და განშოვრებად

-153-

შენგან ჭირი მტერისად აღიმსთუვე
ცისკარს და წართქუ ფსალმუნი: ე:
სიტყუათა ჩემთად ისმინე, უფალო.

და უკუეთუ რისხვად ღუთისად შენ
ზედა აგრძნე და მისთვის გული შენი
შეძრწუნებული იხილო უღაღადე
შენთვის ფსალმუნ:

ვ: უფალო, ნუ გულისწყრომითა...

ლზ: უფალო, ნუ გულისწყრო-
მითაჲ...

და უკუეთუ ვინ, იყოს, რომელმან
გითხრობს ჳნარცჳ..., დიდითა და
ვრცელითა ჳმითა თქუ ფსალმუნი:

იზ: უფალო, ღმერთო ჩემო, შენ
გ...

ამგვარადვე განაწილებულია ყო-
ველი ფსალმუნი მათდა შინაარსის
მიხედვით:

კაცთა ნათესავის ჳსნად ფსალმუ-
ნი ლ.

საწნებელსა ჳედა ღჳნისასა ფსალ-
მუნი ლ და ჳ.

-154-

უკეთუ გინდეს მტერთა წყევად
ფსალმუნი თ.

უკეთუ ვისგანმე შეშინებულიყო
ფსალმუნი ი.

უკეთუ ვინმე შეურაცხგყოს ნამე-
ტანად ფსალმუნი ია.

უკეთუ ვინმე შენზე ძვრს იტყო-
დეს ფსალმუნი იბ.

უკეთუ ვინმე ჰგმობდეს ქველის
საქმესა ფსალმუნი იგ.

უკეთუ გინდეს ცნობად მოქალა-
ქობისა ცათა შინა ფსალმუნი იდ.

ლოცვის მკდომთა და წინააღმდ-
გომ მტრისა ფსალმუნი ივ.

ვითარ ილოცვიდა მოსწ ფსალმუ-
ნი პთ,

უკეთუ განერე მტერსა და სძლე-
მას ფსალმუნი იზ.

დაბადებისა ფსალმ უნი იწ.

ჭირისაგან მოლხინე ყოფად ფსალ-
მუნი ით.

-155-

რომ უფალი გმწყის ფსალმუნი კბ.
აღთუდგეს მტერი შენზედა ფსალ-
მუნი კდ.

უშჯულო მტერი ამაოდ რომ
გხვემს ფსალუნი: კე, ლდ, მბ.

სიმრავლე ბანაკისა ბოროტებით
აღძრული შენზედა ფსალმუნი კზ, რ.

უკეთუ ურცხვნო და წარმდებ იქ
მნენ მაჭირვებელნი შენნი ფსალმუ-
ნი კზ.

უკეთუ ჰმადლობდე ღმერთსა და შე-
სწირვიდე მსხვერპლსა ფსალმუნი კწ.

უკეთუ გინდეს სატფური სახლისა
შენისა ფსალმუნი კთ, რკვ.

და ასრე აღნიშნულია სხვა ფსალ-
მუნებიც: საწინასწარმეტყველონი, სა-
მადლობელონი და სხ.

(ფურც. 19): ჰებრაელებრსა
წიგნსა ფსალმუნთასა, თჳნიერად რი-
ცხჳსა დართვისა, აღწერეს ფსალმუნ-

-156-

ნი მრავალ სახედ და რომელნიმე მა-
თგანნი არიან თანაშერთულ და რო-
მელნიმე განყოფილ, რამეთუ თავსა-
ვე პირველი და მეორე ფსალმუნი
თანა შეყოფილ არიედ ებრაელებ-
რად და მერმე კუალად მეცხრე ფნი
თანა შეყოფილ არს ჩუენებრ ფსალ-
მუნსა შინა, ხოლო ებრაელებრსა გან-
ყოფილ არს ორად. და ყოველთა
მათ ფსალმუნთა წიგნი ხუთად ნაწი-
ლად განიყოფის; ჩას უკუე, რამეთუ
არა მიწყებით ფსალმუნთად მათ უწყ-
ებისა ჟამი დაწესებულ არს, არამედ
ცვალებულ არს წესი მრავლთა მა-
თგან ჟამთა, ვითარცა მეფეთა წიგნი
გუაუწყებს. რამეთუ მრავლისა კერპთ
მსახურებისა შეპყრობითა, ნათესავისა
მის ჰურიათაჲსა, მიეცილა წიგნები
იგი მოსწეს შჯულისაჲ და სამთა მათ
სახეთანი არცა ერთი აქჳნდა და არ-
ცალა ჳსენებაჲ მამათაჲ მათ ღუთის
მსახურებისაჲ იქმნებოდა მათ შორის,

-157-

რამეთუ ესრეთ წინასწარმეტყუელთა
მათთა მოსწყუდიდეს, რომელნი იგი
ამხილებდეს მათსა მას ხენეშად მსა-
ხურებასა და მისთჳსლა პირველად
მიეცნეს ასურასტნელთა მათ წარსა-
ტყუენველად.

აწ უკუე არაჲ საკჳრველ არს ეგე
ვითართა მათ დაუწყნარებელთა ჟამ-
თა თუ წერილი იგი ფსალმუნთა მათ

წიგნისა განირყვნა მრავალთა მათგან
ჟამთა. ხოლო ამის შემდგომად გი-
ნა თუ ეზრა, გინა სხუად ვინ წინას-
წარმეტყუელი შეკრებისა მათისათჳს
გულსმოდგინე იქმნა სხუათა თანა და
წიგნები იგი შეკრიბა: ზ:

არათუ ერთად იპოვნეს ყოველნი,
არამედ ჟამად ჟამად. და რომელი
იგი წინადთ იპოვნეს, წინაცა დაი-
წერნეს. რომლისათჳს არცაღა დავი-
თისნი შეწყებით წერილ არიან ფსალ-
მუნნი, არამედ შუა განრეულ არიან
კორეს ძეთა ფსალმუნნი და ასაფის-

-158-

ნი და სოლომონისი და მოსწისი, ეთა-
მისი და ემანისი და იდიითომისი. და
მერმე კუალად დავითისნივე აღრუ-
ლად იპოებიან წიგნსა შინა განწესე-
ბულად. არათუ ვითარცა ჟამითი ჟა-
მად ითქვნეს, არამედ ვითარცა იპოვ-
ნეს, ეგრეთა დაიწერნეს ცვალებუ-
ლად. რამეთუ რომელნიმე უკუანად-
სჯნელისა ჟამისა თქუმულნი პირველ
იპოვნეს და ზემო კერძრცა დაიწერნეს
და რომელნიმე პირველისა ჟამისა
თქუმულნი უკუანადსკნელ იპოვნეს
და შემდგომად ადგილსა დაიწერნეს.
ხოლო ესრევე ყოფილად ჰპოო სხუ-
ათა შორის წინასწარმეტყუელთა.

წიგნსა მას ფსალმუნთასა. ესრე სა-
ხედ აქვს განყოფად, ვითარცა იგი
ჭემმარიტთა მათ ებრაელებრთა სახე-
თა შინა წერილა. ნუ თუ ვისმე ეგო-
ნოს, ვითარმედ ესე ყოველნი ფსალ-
მუნნი დავითისნი არიან! არამედ სსუ-
ათაცა წინასწარმეტყუელთანი, რო-

-159-

მელნი ფსალმუნებასა მას შინა წი-

ნასწარმეტყუელებდეს. რომლისათვის ყოვლისა მის აღწერილისად ებრაელთა მიერ ზედა წაწერილი არა დავითისად აუწყებს, არამედ განჩინებულად წიგნად ფსალმუნთად სახე ედების:

ორგელის მიერ განემარტების: მეხუთე იგი გამოჩინებად იპოვა ნიკოპოლისსა აკტიელთა თანა. კუალად ეოტიანოს ცვალა მათგან და მეექვსე სედ სხუად გამოჩინებად იპოვა ეგრევე ებრაელებრითა და ბერძულელებრითა, რომლითაცა გარწმუნო იერიქობისა ჟამსა, მეფობასა ანტონისსა, მისა სევირისსა ხუთად წიგნად განჰყოფენ იგინივე ებრაელთა ყრმანი პირველით ფსალმუნით. ხოლო კულა სთქუა ნეტარ არს სახე კეთილი მიცემად პირველად ფსალმუნდ, რომელ არს ებრაელებრითა ენითა ჩუენდა ენად ესრე არს: „ესრეა“, რომე-

-160-

ლი გამოითარგმნების „ნეტარ არს კაცი“ ვიდრე მეორმოცედ, რომლისა დასასრულად ესე არს: „იორიმის ქილალ დმ ლუებიან“, რომელი გამოითარგმნების: „ნეტარ არს, რომელმან გულისჯმა ყოს გლახაკისა და დავრდომილისა“. ერთ წიგნად ესე არს.

პირველ წიგნად: ა ფსალმუნითგან ვიდრე მ ფსალმუნამდე.

მეორე წიგნად: მა ფსალმუნითგან ვიდრე ოა ფსალმუნამდე.

მესამე წიგნად: ობ ფსალმუნითგან ვიდრე პჴ ფსალმუნამდე.

მეოთხედ წიგნად: პთ ფსალმუნითგან ვიდრე რე ფსალმუნამდე.

მეხუთე წიგნად: რვ ფსალმუნითგან ვიდრე რნ ფსალმუნამდე.

და ყოველნი მსე წიგნნი და საფ-
სალმუნენი განჰმარტნეს, რამეთუ ებ-
რაელნი ჰყოფენ დასასრულსა თი-
თოეულისა წიგნისასა ხუთთავე მათ

-161-

წიგნთა საფსალმუნეთასა დასასრულ-
სა მას ფსალმუნსა საგალობელი და-
სასრული არს წიგნად წიგნად ესრეთ:
„ტობარე ქადუნაი ისრაჴლ მეთლაო
ადლაოლა ამინაუ ამინ“, რომელ
არს: „კურთხეულ არს უფალი ღმე-
რთი ისრაჴლისად ამიერითგან უკუ-
ნისამდე. იყავნ იყავნ“.

„იყავნის“ შემდეგ ოდნავლა ირჩე-
ვა: „საბა წმიდა“, და ამის შემდეგ
ტექსტისავე ხელით:

ს ბუვი
თ ბუვი
ო ვარხვ
ს ოფოფი

დავითნი დაყოფილია თავებად,
მუხლებად და კანონებად. ფსალმუნ-
თა მუჯლები ცალკ-ცალკეც ითვლე-
ბა და ყველასი ერთადაც და ბო-
ლოს აღრიცხულია: ყოვლად შეკ-
რებით ფსალმუნნი: რ: ნ: და მუჯ-

-162-

ლთ ც: შ: (150 ფსალმუნი და 2900
მუჯლი) .

დავითნის დამატებაში სხვა და-
სხვა პირთა გალობანია ჩატანილი;
მაგალ.

ფ. 209: გალობად: გამოსლვათად:
მარიამისი: დისა: მოსესი: და აჰარო-
ნისი: ..

ფ. 211: გალობად: ანნაჲსი: დე-
დისა: სამოელისი: მეფეთად ა: თა-
ვისად: .. (დაბადების „მეფეთა“ წი-

გნის 1-ლ თავის გალობაო).

ფ. 212 მ: : ლოცვა: ამბაკუმ: წინასწარმეტყულისა: გალობით: ..

ფ. 215: გალობა: მეორისა: შჯულისა: მოსწსი: ბარაკიელისა: ლუთისა: ..

ფ. 232: გალობა: იონა: წინასწარმეტყულისა: მუცელსა: შინა: ვეშაპისსა:

ფ. 233: გალობა: სამთა: ყრმათა: საჯუმილსა შინა: აზარიადს: მიერ:

-163-

ფ. 236 მ. : (ვისია, არ აღნიშნულია.)

ფ. 237: გალობა მარიამისი: წი^ასა: ღ^ათის: მშობელისა: ლუკადს: თავისა: სახარება: ..

ფ. 237 მ. : გალობა: ზაქარია-სი: მამისა: იოვანწსი: სახარებისად-ვე: ..

ქორონიკონი (ამოვწერთ სრულად):

ცნობისათვის და უწყებისათვის ჭეშმარიტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთა, განსაზღვრებული გხეოძიებისათვის ჟამთა და წელიწადთა, მცხრალისათვის და ნაკისხთვის მთოვარისა ზედანადებისათვის, ხუთეულისათვის და ექვსეულისა, შვდეულისხთვის და დღისაძიებელისათვის ..

დასაბამითგან რომელ წელნი გარდასრულარიან, ესრჷთ იცნობების ჯუარცვამდე უფლისა ჩუენისა ივსო ქრისტესა წელნი: ჭ: ფ: ლიდ: შემ-

-164 -

დგომად ჯუარცვმისა ვიდრე მოაქამომდე: შ: ო: დ: (= 974).

ხოლო დადგომასა იანვარისასა წე-

ლითი-წლად დაერთვის 1*) ნიადაგად რიცხუსა მას ერთ რიცხუად ყოველნი წელნი:

რაჟამს გინდეს ძიებაჲ. 30-ეული-საჲ, იპყარნ დასაბამითგანნი წელნი ვიდრე მას წელიწადმდე, რომელსა ზედა დგეს, და 28-ეულად გაუტევე და, რომელ უმცრო დარჩეს, 4-ეულად აღრიცხუე, თუ: დ'დ (ოთხად!) ოდენ იყოს, ცანლა ნაკი არს მას წელსა, თუ 4-სა უმცრო იყოს, არა არს ნაკი; და რაოდენი 4 იყოს, ეგდენი თითოდ დაურთე და შვდეულად გაუტევე და, რაჲ დაგრჩეს, ეგდენი იყოს შვდეული მის წლისაჲ.

აბგ :5: ვზა :3: დევ". :1: ბგდ :6:

*) არაბული ციფირები ჩვენ ჩავსვით სიმოკლისათვის.

-165-

ზაბ :4: ევზ :2: გდე :7: ესე არს:

7-ეული:

დღისაძიებელი, რომელ დაერთვის თთუედ თთუედ ესრეთ არის: იანვარი: 31. დღესაძიებელი არაჲ: ფებერვალი საშწელ :28: მეოთხესა წელსა :29: დღისაძიებელი :3: მარტი :31: დღისაძიებელი :3: აპრილი: 30: დღისაძიებელი :6: მაისი :31: დღისაძიებელი :1: ივნისი :30: დღისაძიებელი :4: იულისი :31: დღისაძიებელი :6: აგუსტოსი :31: დღისაძიებელი :2: სეკდენბერი :30: დღისაძიებელი :5: ოკდონბერი :31: დღისაძიებელი არაჲ: ნოენბერი :30: დღისაძიებელი :3: დეკენბერი :31: დღისაძიებელი :5:

უკუეთუ გინდეს ცნობაჲ დღისაჲ, იპყარნ დღენი მის თჳსანი მას დღედმდე, რომელსა ეძიებდე და დაურთე

დღესამიებელი მის თთუისაჲ და შუ-
დეული მის წლისაჲ და შუდეულად

-166-

გაუტევე და რაჲ დაგრჩეს, იგი იყოს
დღჳ: თუ ერთი დაგრჩეს, კურიაკც
არს, თუ ორი, ორშაბათი. და ესრეთ
ყოველნი დღენი გულიჳმა ყავნ.

თუ ეძიებდე ზედანადებსა მთოვა-
რისასა, იპყრენ წელნი დასაბამითგან-
ნი, 19-ეულად გხუტევე და რაჲ დაგრ-
ჩეს, ერთი მისგანი გაუტივე და რაჲ
გაქჳნდეს მას ზედა 10 ეგდენი სხუაჲ
დაურთე, 30-ულად გაუტევე და
რაჲ დაგრჩეს, ეგდენ იყოს ზედანა-
დები მის წლნსაჲ. გარნა რდეს 7
იყოს, 8 ჰყვი 45. 5-ეული და 6-ეუ-
ლი მის წლისაჲ იპყარ ერთფერ და
30-ეულადდ გაუტყვე და რაი დაგრ-
ჩეს, ეგდენ იყოს ზედანადები მის
წლისაჲ.

თუ ეძიებდე 5-ეულსა და 6-ეულ-
სა მთოვარისისა, იპყრენ დასაბამით-
გან წელნი და 19-ეულად გაუტევე
და რაჲ დაგრჩეს, 1 მისგანი გაუტე-
ვე და სხუაჲ იგი 5-ეულისათჳს 5-იერ

-167-

აქციე და 6-ეულისათჳს 6-იერ აქ-
ციე, და ეგდენ იყოს მას წელსა.

თუ გინდეს ცნობაჲ მთოვარისაჲ,
იპყრენ დღენი თთუეთანი იანვართ-
გან მუნ დღედმდე, რომელსაცა ზე-
და სდგე, დაურთე 5-ეული მის წლი-
საჲ და 60-ეულად გაუტევე და რაჲ
დაგრჩეს 5 – 5 (ხუთ ხუთ) ჟამ ყავ
და ხუთსა რომელ უმცრო იყოს, მარ-
ცუალ ყავ და რაოდენი 60 გაგეტე-
ოს, ეგდენი თითოდ დაურთე და
6-ეული დაურთე მის წლისაჲ და

30-ეულად გაუტევე და, რად დაგრ-
ჩეს, ეგდენ იყოს მთოვარწ.

თუ ეძიებდე მცხრალსა და აღვ-
სებასა, იპყრენ დასაბამითგანნი წელ-
ნი, 19-ეულად გაუტევე და, რად დაგრ-
ჩეს 13 – 2-ითა გაუტევე, რომელ
უკუანა ხოლო დაგრჩეს, იგი არს
მცხრალი. უკუეთუ 20-სა უფრო
იყოს, მარტი არს, უკუეთუ 20-სა
უმცრო იყოს, აპრილი არს, და რო-

-168-

მელსაცა სცხრებოდის დღწ მოიძიოს
და მით დღითგან კვრიაკემდე მითუა-
ლე და ეგდენსა აღვსებად იყო და
თუ მას ზედა მარტი არა გაქვანდეს,
დაურთე და ფებერვალი დაურთე და
48-ეულად გაუტევე და, რად დაგრ-
ჩეს, ეგდენსა მარხვად დადგეს და
ოდეს ნაკი იყოს, ფებერვალი 29
ჰყვი და 30-ეული რავდენიცი იყოს,
იანვარსა და ფებერვალსა ერთი და-
აკლი, ოდეს ნაკი იყოს.

13: 2: 22: 10: 30: 18: 7: 27:

15: 4: 24: 12: 1: 21: 9: 29: 17:

5: 25: ესე არს 13: 2. (ცამეტორი

და განიწევის 19 წლადმდე და მერ-
მე კუალად იწყებს 5-ეული, გაიწე-
ვის 95 რიცხუად და კუალად იწყებს
30-ეული, გაიწევის 114 რიცხუად და
კუალად იწყებს 7-ეულად, გაიწევის
28 წლადმდე, და კუალად იწყებს.

ზედანადები მიაწევს 19 წლადმდე
და კუალად იწყებს

-169-

ქრონიკონი გაიწევის 532 წლადმ-
დე და კუალად იწყებს.

თუენი წელიწდისანი 12, კვრიაკე-
ნი 12, დღენი 365, ჟამნი დღეთანი

4,380, ღამითნი 4,380, ერთრიცხუ-
ად 8,760.

თუ გინდეს ცნობად ჟამთაჲ მზისა
მოქცევისაჲ: მარტსა 20-სა განის-
წურნიან დღენი და ღამენი: დღეთა
აქუს 12 ჟამი და ღამეთა 12. აწ იწ-
ყო ჯობნებად დღემან ღამესა 91
დღე რომელ არს სამ ჟამ და ერთ
დღე ვიდრე

ივნისა 19-სა: დღეთა აქუს 15 ჟა-
მი და ღამეთა 9. აწ იწყო უკმოლე-
ბად ღამენან დღისაგან 91 დღე,
რომელ არს 3 ჟამ და 1 დღე ვი-
დრე

სექტემბერსა 18-სა განისწორნიან
დღენი და ღამენი. აწ იწყო ჯობნებად
ღამემან დღისა 92 დღე. რომელ
არს 3 ჟამ და 2 დღე ვიდრე

-170-

დეკემბერსა 18-სა ღამეთა აქუს 15
ჟამი და დღეთა 9. აწ იწყო უკმო-
ლებად დღემან ღამისაგან ვიდრე მარ-
ტსა 20-მდე.

თუ გინდეს ცნობად მთოვარისა
თუ რავდენსა თთუესა მოიქცევის,
იპყრენ ყოვლად 30 და მიუტევე ზე-
და სადები მის წლისაჲ და ანაკრები
თთუეთაჲ და, რაჲ დაგრჩეს, ეგდენსა
თვსასა მოიქცეს.

უკუეთუ გინდეს ცნობად თუ რა-
ვდენსა თუისასა სავსებით იყოს მთო-
ვარს, იპყარ ყოვლად 44 და გაუ-
ტევე ზედანადები მის, წლისაჲ და
ანაკრები თუეთაჲ და, რაჲ დაგრჩეს,
ეგდენსა თთუესა სავსებით იყოს და
თუ 30 უფრო დაგრჩეს, 29 სხუად
გაუტევე და, რაჲ დაგრჩეს, ეგდენსა
იყოს.

უკუეთუ გინდეს ცნობად მთოვა-
რისაჲ თუ დღისი სცხრა ანუ ღამე,

იპყარ იანვართგან მუნ დღედმდე,

-171-

რომელსა ზედა სდგე და დაურთე 5-ეული და 6-ეული მის წლისაჲ და ესე ორად შეკეცე და 60-ეულად გაუტევე და რავდენი სამოცი გაგეტეოს, ეგდენი თითოდ მარჯუენესა ჯელსა იპყრ და 60 უმცრო რომელ დაგრჩეს, 5:5 (ხუთხუთ) ჟამ ყავ და 5 უმცრო რომელ იყოს, მარცუალი ყავ და 60 ანაკრებსა რომელ მარჯუენესა ჯელსა გაქზნდეს გაუტეობდ, ჰკითხევდ ღამწ დღწ და თუ ღამწ გითხრას, ღამც სცხრეს და თუ დღც, დღისით სცხრეს.

თუ გინდეს ცნობაჲ და ეძიებდე წარმოსა თუ რავდენსა ჟამსა ვლოს ნათელსა გინა რავდენსა ბნელსა, იპყარ რიცხვ მთოვარისაჲ რავდენ იყოს და ოთხად შეკეცე 30 ეულად გაუტევე და რომელ უმცრო დაგრჩეს, 5:5 ჟმ ყვგ და უმცროდსი მარცულ ყავ, ოდეს უკუნი მოიწიოს, ბნელი წინა მოაქციე და უკუნი ეგ-

-172-

რე იპყარ ვიდრე ახლად მოქცევადმდე ეგრევე სცნა.

დასაბამი დაბადებისაჲ მარტსა 20-სა, დღესა ოთხშაბათსა დაებადნეს მზწ და მთოვარწ და განიწვალნეს დღენი და ღამენი და დადგა ზაფხულისა არც და რბის მზწ ვერძსა ზედა ვიდრე აპრილსა 20-ამდე და დადგების პირველი თუე, რომელსა ჰქვან ებრაელებრ ნისან და რბის მზხ ვერძსა ზედა ვიდრე აპრილსა 20-ამდე.

დადგების თუე იარედ და შევალს მზწ კუროსა ზედა ვიდრე მაისა 20-

ამდე.

დადგების თუჯ სივან და შევალს
მზჯ ტყუბსა ზედა ვიდრე ივნისა
20-ამდე.

დადგების თუჯ თამუთ და შევალს
მზჯ კირჩხიბსა ზედა ვიდრე ივლისა
20-ამდე.

დადგების თუჯ აბდა და შევალს

-173-

მზჯიაც ლომსა ზედა ვიდრე აგვისტოსა
20-ამდე.

დადგების თუჯ ილოლ და შევალს
მზჯ ქალწულსა ზედა ვიდრე სექტენ-
ბერსა 20-ამდე.

დადგების თუჯ თემრიბ და შევალს
მზჯ სასწორსა ზედა ვიდრე თკდონ-
ბერსა 20-ამდე.

დადგების თუჯ მრუშვალ და შე-
ვალს მზჯ ღრიაკალსა ზედა ვიდრე
ნოენბერს 20-ამდე.

დადგების თუ ქასილე და შევალს
მზჯ მშჯლდოსნსა ზედა ვიდრე დე-
კენბერსა 20-ამდე.

დადგების თუჯ ტებელ და შევალს
მზჯ თხის რქასა ზედა ვიდრე იანვარ-
სა 19-ამდე.

დადგების თუჯ შბატ და შევალს
მზჯ წყლისაქანელსა ზედა ვიდრე ფე-
ბერვალსა 18-ამდე.

დადგების თუჯ ადარ და შევალს

-174-

მზჯ თევზსა ზედა ვიდრე მარტსა 20-
ამდე.

და აქა დაესრულების სრბაჲ მზი-
საჲ და მოქცევაჲ წელიწადისაჲ. *)

22-ნი **) მამად-მთავარნი არიან ადა-
მისითგან ვიდრე იაკობისამდე. ამის-
თჯსცა 22 ნი არიან ანბანნი ებრაელ-

თა შორის, რომელ არიან ესე: ალფე.
ბეთ. გიმალ. დალ. ედ. ვა. ზაან.
ჭეთ. ტეთ. იოდ. ქაქვიფა. ქაფში-
ტა. ლამად. მამთილა. მამსდიმა. ნუფ-

*) ამ ქორონიკონის „დამატება“ იხ. ქვე-
მო „სახე აღმოსავლისა მთოვარისა და
შთასვლისა და ღამით“, გადაწერილი 1210 წ.
და, როგორც ეტყობა თარგმნის ენას, გად-
მოდებული არაბულიდამ.

**) ეს წერილი დიდის ცვლილებით შე-
ტანილია შატბერდის კრებულშიაც, რომ-
ლიდამაც გადმოვწერეთ და უკვე დავბეჭდეთ
ჩვენს წიგნებში: „მწერლობა, მეათე საუკუ-
ნისა“, გვ. 33 – 38. იგივე დავბეჭდეთ „აღ-
ვადგინეშიაც“.

-175-

ნაქფითა. ნუნაფშიტა. სმაატ. ფექვი-
ქა. ფეჰშიტა. კოვ. რე. შინ. თავ.

ამისთვის 22-ნი წიგნნი არიან ძუე-
ლისაგან შჯულისა. ესე მუკლნი ებ-
რაელთა შორის 20 და შუდნი, ხო-
ლო ოცდა ორად აღირაცხებიან და
ხუთნი იგი ასონი მათ შორის ორ-
კეც არიან: ქაფ მრჩობლარს და მე
და ნუნ და აფჰ და წადე. ესრეთცა
წიგნნი აღირაცხებიან.

ა: ბერექო, რომელსა ჰრქვან შო-
ბათაჲ.

ბ: ჰელისმუდ, რომელსა ჰრქვან
გამოსლვად ძეთა ისრაჴლისათაჲ.

გ: ვადკურაჲ, რომელი გამოითარ-
გმნების ლევიტელთაჲ.

დ: ვადდებერ, რომელი გამოითარ-
გმნების რიცხვთაჲ.

ე: ეთათვარიმე, რომელი გამოი-
თარგმნების მეორჴ შჯული.

ვ: დეისუ, რომელ არს ისუსი.

ზ: დიიუბ, რომელ არს იობი.

-176-

ფ: დასოპტიმ, რომელ არს მსა-
ჯულთაჲ.

თ: დირუთ, რომელ არს რუ-
თისი

ი: სვერთი მარიმ, რომელ არს და-
ვითი.

ია: დიბრიანე, რომელ არს ნემ-
ტაჲ.

იბ: დიბრიამნიმ, რომელ არს ნემ-
ტივე.

იგ: ვისმოილწ, რომელ არს მეფე-
თაჲ.

იდ: დისმუელ, რომელ არს მეფე-
თაჲვე.

იე: დამალაქიმ, რომელ არს მე-
ფეთაჲვე.

ივ: დიმალაქიმა, რომელ არს მე-
ფეთაჲვე.

იზ: დმასათუთ, რომელ არს იგავ-
თაჲ.

იწ: ტკუელეთ, რომელ არს ეკ-
ლესიასტწ.

-177-

ით: კინდრასიმ, რომელ არს ქე-
ბაჲ ქებათაჲ.

კ: თარასრაჲ, რომელ არს ი ბ
წინასწარმეტყუელთაჲ.

კა: ესაია.

კბ: იერემია.

კგ: ეზეკიელი.

კდ: დანიელი.

კე: ეზრაჲ.

კვ: და კვლა ეზრაჲ.

კზ: ესთერ. მარდორქწ და გოდე-
ბაჲ. იერემიამსი შეერთვის.

რათა უკუე რიცხვ ესე წიგნთაჲ.
ამათ გაუწყო ჭიმმარტითა სიტყვთა.
ხოლო სიტყვსა შემოდებისაჲ არს სა-
ხწ ესე: 4-ეულად და 5-ეულას გაჰ-
ყოფენ ებრაელთა ყრმანი ძუელისა-

განთა ხუთეულად დააწესებენ მოსეს წიგნთა, რამეთუ შემდგომთაცა მათ ესრეთვე დააწესეს, რომელ არიან წიგნნი ესე:

შობათაჲ. გამოსვლათაჲ. ლევიტე-

-178-

ლთაჲ. რიცხუთაჲ. მეორე შჯული. მეორედ ხუთეულად სტიქერონნი, როაელ არიან წიგნნი ესე:

იობი. ფსალმუნაჲ. იგავთაჲ. ეკლესიასტე. ქებაჲ ქებათაჲ. ხოლო სიბრძნე სოლომონისი და ზირაქი იგიცა სტიქერონნივე არიან და სარგებელვე არიან. აისანი (?), რომელ არს გინობანი (?), ხოლო ებრაელთა არავე დადვეს ძუელისა შჯულისა თანა. და სამხუთეულად არიან წიგნნი ესე:

იბ წინასწარმეტყუელთანი. ესაჲა. იერემია. ეზეკიელ. დანიელ რომელთა (!) იწყო წინასწარმეტყუელებად უწინარე ეზეკიელისა. ხოლო დაყო ცხორებასა მისსა მრავალ ჟამ, მიიწია ვიდრე მეორედ წლადმდე დარიოზისა, რომელ იყო უწინარეს პირველსა წელსა კოროზ მეფისასა. ხოლო შემდგომად ჟამთა წინასწარმეტყუელებდა ანგელოზ (!) დასაბამსა

-179-

შენებისა მის ტაძრისასა იჭრუსალემს წინასწარმეტყუელებდა ზაქარიაცა შემდგომად 45 სა დღისა ანგეაძისა. დასასრულსა შენებისათვის მისვე ტაძრისა. ხოლო ჟამთა მათ წინასწარმეტყუელებდა მალაქიაცა და ზოგად დაიწერნეს ესე 12-ნი წინასწარმეტყუელნი 4-ეულად დააწესნეს. წიგნსა, რომელსა ჰრქვან დეგლუბედ, რო-

მელი გამოითარგმნების დაწერილად. ესე წიგნნი არიან ისო ნავესნი, პირველი წიგნი მსაჯულთაჲცა მასვე შეერთვის და რუთისი ამისთვის, რამეთუ ერთი იგი ასოდ ორკეც არს, რომელ არს ქააფ. ნეშტთაჲ პირველი და მეორე ამისთვის, რამეთუ ორკეც არს მიმ, ხდა მეფეთაჲ წიგნი პირველი და მეორე, რამეთუ ორკეც არს ნუუნ. და მესამე და მეოთხე მეფეთაჲ, რამეთუ ორკეც არს ფც.

ესე არიან ოთხნი იგი ხუთეულნი, რომელნი აღირაცხებიან 22 წიგნად:

-180-

არიან 24-თავ რიცხუად ამისთვის, რამეთუ ოთხკეც არიან ოთხნი იგი ასონი. ხოლო შემდგომად ოთხთა მათ ხუთეულთა არს 21: პირველი და მეორე წიგნი ეზრადსი ერთ წიგნად შეირაცხების ებრაელთა შორის, ამისთვის, რამეთუ წადეცა ორი კეცადვე შეირაცხების. რომელ არს 27-თავ წულილ წვლილად თქმული. ხოლო ესთერის წიგნი 22 შეირაცხების და 27 თავად იპოების. ესე 22 ნი სადავე იპოებიან და მრავალ ფერთა სახითა აღრაცხილ არიან 22-თა მათ საქმეთათვის, რომელ ქმნა ღმერთმან 6-თა მათ დღეთა სოფლისა შესაქმისათა და 22-თა მათთვის ნათესავთა ადამისითგან ისრაელისამდე 22-თა მათთვის ასოთა ალფითგან ვიდრე თავადმდე და 22-თა მათთვის წიგნთა შობათაჲთგან ვიდრე ესთერისამდე.

უკუეთუ გინდეს ცნობის თუ მზც

-181-

რომელსა ეტლსა ზის *), იპყარ მარ-

ტისაგან 11 და ყოველნი თთუენი ვიდრე მუნ დღედმდე, რომელსა ზედა სდგე და იგი თანა შეათუალე და 30 გაუტევე და ცან, რავდენი 30 იყოს, ვერძისაჲ თავ ყავ და ყოფელსა 30:30 მისცემდი და რომელსაცა ზედა მიგიყვანოს, მას ეტლსა ზედა ჯდეს მზღ.

უკუეთუ გინდეს თუ მთოვარღ რომელსა ეტლსა ზედა ზის, იპყარ რიცხვ მთოვარისაჲ, თუ რავდენ იყოს და 12 შეკეცე და გაყავ 30 და რად მზესა აკლდეს, 30-ეულსა მთოვარი. საძთა გაასრულე და მზისა ეტლითგან წაღმართ ყოველსა ეტლსა 30:30-სა მიცემდი და რომელსა ეტლსა ზედა მიგიყვანოს, მასცა ეტლსა ზედა ჯდეს მთოვარღ. დაჰყოფს მზღ ეტლსა ზედა 30 და დაჰყოფს მთოვარღ ჟამსა 30.

*) იხ. „დამატება“.

-182-

უკუეთუ სხუებრ გინდეს ცნობად მზისაჲ, თუ რომელსა ეტლსა ზედა იყოს: სეკდენბერიტგან თუენი აიპყარნ მუნ დღედმდე რომელსა ზედა სდგე და იგი თანა შეათუალე და დაურთე მას ზედა 164 და გაუტეობდ 30 სახელებსა ზედა ცხოველთ სახილველთა: ვერძი თავ ყავ და რომელსა ეტლსა ზედა დაგელიოს 30-ეული, ცან ჭემმარიტად მას ზედა იყოს მზღ.

უკუეთუ სხუებრ გინდეს ცნობად მთოვარისაჲ, თუ რომელსა ეტლსა ზედი იყოს მთოვარღ, რავდენ იყოს, ეგდენ ჯერ 12 იპყარ და ჟამი რავდენდი გაქვნდეს, ეგდენი თითოდ დაურთე და მზღ რომელსა ეტლსა ზე-

და დაგეტოს და აკლდეს 30-ეულად
მთოვარისადთა გაასრულე და მერმე
გაუტეობდი 30:30-ეულსა სახელებსა
ზდა ცხოველთ სახილველთასა; ვერ-
ძი თავ ყავ და ყოველსა ეტლსა ეგ-

-188-

რევე 30:30-ეულსა მისცემდი და რო-
მელსა ეტლსა ზედა დაგელიოს, მას
ზედაცა იყოს მთოვარწ. იცოდე ესე
არიან 12-ნი ეტლნი: ვერძი. კუროდ.
ტყუბი. კირჩხიბი. ლომი. ქალწული.
სასწორი. ღრიაკალი. მშვლდოსანი.
თხისრქაჲ. წყლისაქანელი. თევზი.

შემდეგ ჩართულია 532 წლის ცხრი-
ლი სათაურით „ესე ქრონიკონი გა-
მოკრებით დღენი ოდენ არიან მცხრა-
ლისანი ფლბ *)“. და აქვე შვენიერად
დახატულია აგრედ წოდებული არა-
ბული ციფირები ტექსტის ხელით:
9 8 7 6 5 4 3 2 1 †

შემდეგ ფერადებით გამოყვანილია
შვენიერი კამარები და მათში მოქ-
ცეულია სახელმძღვანელო ცნობები.

*) ცხრილის ასოები ბევრგან მეტად მქრა-
ლი შექმნილა და ამიტომ აღარ გადმოვწე-
რეთ. გარნა აღვნიშნავთ, რომ ეს ცხრილი
არ განსხვავდება შემდეგი დროის ცხრილი-
საგან (იხ. ბაქარის „დაბადებაში“).

-184-

პირველ კამარაში აღნიშნულია ში-
ნაარსი დავითის იმ ფსალმუნთა, რო-
მელნიც მათ წარმოთქმისა კვალობა-
ზედ დავითნში რიგზედ არ შეუტა-
ნიათ, არამედ პოვნისა დაგვარად აქა-
იქ ჩაუწერიათ: ესე:

ნწ: *) რაჟამს მიალინნა საულ მოკ-
ლვად დავითისა.

ლბ: რაჟამს მოვიდა დავითი ნო-

ბამდ აბიმელიქისა.

ნვ: ქუაბსა მას ოდოლამისასა.

ნა: რაჟამს დოიკი (!) შეასმენდა
დავითსა.

ებ: რაჟამს ივლტოდა დავით უდა-
ბნოსა მას იდუმიადსსა.

ნგ: მზიფელნი ისმენდეს დავითს,
იყო რად ქუაბსა მას შინა.

ნე: რაჟამს იყვნეს უცხო თესლნი
გეთს.

ნთ: შემდგომად სიკუდილისა საუ-
ლისა.

*) მე-58-ე ფსალმუნი.

-185-

ნ: რაჟამს ამხილა ნათან წინასწარ-
მეტყუელმან დავითს.

გ: რაჟამს ივლტოდა პირისაგან
აბესალომისა.

ზ: სიტყუათათჳს ქუსისთა, ძისა
იემინისთა.

† უწყებასა მას ფსალმუნთასა
შედგებად ესრჳ აქუს, არამედ
ცვ-ლებულ არიან ჟამთა მათ პოვ-
ნისაგან. *)

მეორე კამარაში აღნიშნულია თუ
ფსალმუნები ვისი წარმოთქმულია.
ესე:

დავითისნი ფსალმუნნი: გ. დ. ე. ვ.
ზ. ზ. თ. ი. ია. იბ. იგ. იდ. იე. ივ.
იზ. იწ. ით. კ. კა. კბ. კგ. კდ. კე.
კვ. კზ. კწ. კთ. ლ. ლა. ლბ. ლდ.
ლე. ლვ. ლზ. ლწ. ლთ. მ. მბ. ნ.
ნა. ნბ. ნგ. ნდ. ნე. ნვ. ნზ. ნწ. ნთ
ე. ეა. ებ. ეგ. ედ. ევ. ეზ. ეწ. ეთ.
ჰე. ჟ. ჟბ. ჟვ. რ. რბ. რწ. რთ.

*) დედნის შენიშვნაა.

-186-

რლა. რლწ. რლთ. რმ. რმა. რმბ.

რმგ. – ერთობით: ობ (= 72 ფს.)

ზედაწარუწერელნი: ა. ბ. ლბ. ო.

ჟ. ჟდ. ჟე. ჟწ. რგ. რდ. რე რვ.

რზ. რიზ.რლ. რლბ. რლგ. რმდ.

რმზ. – ერთობით: 19.

ძეთა კორესთად: მა. მგ. მდ. მე.

მვ. მზ. მწ. პგ. პდ. პვ. პზ. – ერთობით: ია.

ასაფისი: მთ. ობ. ოგ. ოდ. ოე.

ოვ. ოზ. ოწ. ოთ. პ. პა. პბ. – ერთობით. იბ.

მესამე კამარაში ამისივე გაგრძობაა.

სახელუდებულნი: იე. ჟა. ჟზ. რა.

რით. რკ. რკა. რკბ. რკგ. რკდ. რკე.

რკზ. რკწ. რკთ. რლვ. რლზ. – ერთობით: იზ

რომელნი აღ' მთა (აღილუდთა!):

რ. რია. რიბ. რიგ. რიდ. რიე. რივ.

რიწ. რლდ. რლე. რმე. რმვ. რმწ.

რნ. – ერთობით: იე.

-187-

სოლომონისი: ოა. რკვ.

ეთამისი: პწ.

მოსწსი: პთ. (ყოვლად შეკრებით ფსალმუნნი: რნ).

ზედაწარუწერელნი: ით.

ზედაწარწერილნი: რლა. ხოლო ზედა წარწერილთად მათ განყოფად ესრეთ არს:

დავითისნი: ობ; კორწსძეთად: ია;

ასაფისი: იბ; სოლომონისი: ბ; ეთამისი;

ა; მოსესი: ა; სახელუდებულნი:

იზ; რომელნი აღილუდთა: იე. – ერთობით

ყოველნი ფსალმუნნი: რნ.

† არამედ არიან სახელუდებელნი

ზედაწარწერილიცა თუ აქუს,

ხოლო აუწყებენ არათუ ვისნი

თქუმულნი არიან: ზედაწაუწერე-
ლნი.

მეოთხე კამარაში აღნიშნულია კანონნი და ბოლოს „სოფლივისა გალობისა ბრძანებაჲ“.

მეხუთეში: „დიაფსალმად, რომელ

-188-

რს განსუენებაჲ და დიაფსალმასა ამას ებრელებრ შელეზა ჰრქვან, რომელი ვიეთგანმე მარადის და რომელთაგანმე მოვლინება ითარგმნების. ხოლო დიაფსალმადსა ძალა ესე არს.

(ფურც. 260 მ.): რაოდენ არიან კანონნი და რაოდენი აქვს თითოეულსა ფსალმუნი და შუკლი ქართულითა ენითა ესრჳთ არს:

კანონი ა, ფსალ: ჳ. ა. ბ. გ. დ.
ე. ვ. ზ. ჳ. მუკლი: რიბ.

კ-ნი გ, ფს. 8: თ.. ია. იბ. იგ.
იდ. იე. ივ. მუკლი რკა.

კ-ნი გ, ფს. 7: იზ. იჳ. ით. კ.
კა. კბ. კგ. მუკლი რდბ.

კ-ნი დ, ფს.8: კდ. კე. კვ. კზ.
კჳ. კთ. ლ. ლა. მუკლი რნდ.

კ-ნი ე, ფს. 5: ლბ. ლგ. ლდ. ლე.
ლვ. მუკლი რლზ.

კ-ნი ვ, ფს. 7: ლზ. ლჳ. ლთ.
მ. მა, მბ. მგ. მუკლი რმვ.

-189-

კ-ნი ზ, ფს. 7: მდ. მე. მვ. მზ.
მჳ. მთ. ნ. მუკლი რლთ.

კ-ნი ჳ, ფს. 9: ნა. ნბ. ნგ. ნდ.
ნე. ნვ. ნზ. ნჳ. ნთ. მუკლი რმგ.

კ-ნი თ, ფს. 8; ძ. ძა. ძბ. ძგ.
ძდ. ძე. ძვ. ძზ. ძჳ. მუკლი რმვ.

კ-ნი ი, ფს. 6: ძთ. ო. ოა. ობ.
ოგ. მუკლი როთ

კ-ნი ია, ფს. 7: ოდ. ოე. ოვ.
ოზ. ოწ. ოთ. პ. მუკლი რე.

კ-ნი იბ, ფს. 8: პა, პბ. პგ. პდ.
პე. პვ. პზ. პწ. მუხლი რდგ

კ-ნი იგ, ფს. 9: პთ. ჟ. ჟა. ჟბ.
ჟგ. ჟდ. ჟე. ჟვ. ჟზ. მუკლი რმგ

კ-ნი იდ, ფს. 6: ჟწ. ჟთ. რ. რა.
რბ. რგ. რდ. რე. ვუკლი რით

კ-ნი იე, ფს. 3: რვ. რზ. რწ. მუ-
კლი რლზ.

კ-ნი ივ, ფს. 11: რთ. რი. რია.
რიბ. რიგ. რიდ. რიე. რივ. რიზ.

მუკლი რდგ.

კ-ნი იზ, ფს. 1: რიწ მუხლი როგ

-190-

კ-ნი იწ, ფს. 15: რით. რკა.
რკბ. რკგ. რკდ. რკე. რკვ. რკზ.
რკწ. რკთ. რლ. რლა. რლბ. რლგ.
მუკლი რიე

კ-ნი ით, ფს. 10: რლდ. რლე.
რლვ. რლზ. რლწ. რლთ. რმა (!)
მუკლი რლგ.

კ-ნი კ, ფს. 10: რმბ. რმგ. რმდ.
რმე. რმვ. რმზ. რმწ. რმთ. რნ. მუ-
კლი რკე

ერთ რიცხუად კანონნი ყოველნი:
კ, ფსალმუნნი: რნ. მუკლნი: ცშ
(= 2,900).

ხოლო განყოფად კანონთად სამად
გალობასა შინა სადა დიდებად. ითქვ-
მის ესრწთ ცან, ვითარ ქართველნი
განჰყოფენ. სადა წერილიყოს ესე,
ვითარმედ: თაყუანისცემად, ცანლა
მუნ დიდებად ითქუას და მუნვე წით-
ლითა წილქანი ზის და ესე ფსალ-
მუნთად ხოლო კანონთა თავი თვთ
საცნაურ არს და თანავე ჩამოწერი-

-191-

ლი არს. ხოლო ვითარ ბერძულნი და იწრსალიმელნი განჰყოფენ ესრჳთ იხილუ და ცან: სადა ჰყოფენ თავსა კანონთასა, წითლითა ზის თავი და სადა ფსალმუნთა დიდებასა ჰყოფენ და არიან რომელნიმე ერთ ფერად და სწორად იწრუსალიმელთად და ქართველთად კანონიცა და ფსალმუნიცა. კანონი მათიცა: კ, ფსალმუნნი: რნ, მუჯლი: წქჰბ (= 4682).

ამას მიჰყვება ყოველი ფსალმუნის დასაწყისის აღნიშნვა („თავი ყოველთა ფსალმუნთად, აღწერილი მიწყებით სრულად“) (ფურც. 261 მ.).

ჩვენი წინასწართქმა გაბროლდა. ყ დ სამღვდელო კირიონთან ჩვენ ვნახეთ ორი ფურცელი დაბადებისა, რომელიც, ჩვენის აზრით, მეშვიდე საუკუნაშია. იგი დაწერილია ტყავზე, მეშვიდე-მერვე საუკუნის ასომთავრულით, და კვალად ამტკიცებს როგორც უკვე ჩვენც აღვნიშნეთ ზემოთ

-192-

და როგორც 974 წლის „დავითნის“ განხილვაც გვიჩვენებს, რომ მეათე საუკუნეზე უწინარე ჟამსვე თარგმნილი გვქონია მთელი დაბადება, და ამ დაბადების ერთი წიგნაკი – დავითნი, არათუ თარგმნილი ყოფილა, არამედ მეცნიერულადაც შესწავლილი და კანონებადა და მუხლებადა დანაწილებული, გაწეს-რიგებული.

ხსენებული ორი ფურცელი ქართულ დაბადებისა ყ დ სამღ. კირიონს გადმოსცა ერთმა ტფილისელ სომხის მღვდელმა, რომელიც დიდი ხანია მოღვაწეობს სამეცნიერო ასპარეზზე. რაც ამ ორ ფურცელზე ტე-

ქსტია, იგი საკმაოდ გაირჩევა ეგრედ წოდებულ „ათონურ დაბადების“ ტექსტისაგან. ფოტოგრაფია ნაპოვნ ნაშთისა და მისი წაკითხვა გამოცხადებულ იქმნება ამ დღეებში.

ბ.

მაგარს ტყავზედ ნუსხურად ნაწერი წიგნი (№ 135, in quarto. გვ. 514) არის თარგმანება ფსალმუნთა.

თარგმანება (428 კაბადონამდე) ეკუთვნის ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარ-ეპისკოპოსს, ხოლო მისი გადმოღება ქართულს ენაზედ წმ. ეფთვიმე მთაწმინდელს; 428 კაბადონიდგან 498-მდე ნათარგმნია უცნობ პირისაგან. წიგნი გადაწერილია 1035 წელს, ე. ი. მეშვიდე წელს ეფთვიმე მთაწმინდელის († 1028) გარდაცვალებისა. უქანასიტყვაობა, რომელიც გადმოვწერეთ (იხ. ქვემო) დაწერილია მეტად წვნიკის ნუსხურით. შიგა და შიგ ფურცლები ამოხეულია, ზოგან მელანი გადალეულა და ესეთი ადგილები გაუცხოველებია იო-

-194-

სებს (გვ. 258). ამ იოსებს და დომენტი კათალიკოზს თვისი სახელები ხვეულად წარუწერიათ წიგნის ყდაზე.

გადამწერნი:

გვ. 92: ესე ივანესია წერილი (აშიაზე)

გვ. 109: ქე შე დთ = ქრისტე, შეიწყალე დავით (ტექსტში, ასომთავრულით).

გვ. 146: უფალო შეუნდვე: დავითს (ასომთავრულით)

გვ. 156: უფალო ივსო, ქრისტე
ადიდე სულითა მამად დავით (ესეც).

გვ. 214: უფალო შეუნდვე და-
ვითს და განუსუენე სულსა ივანესსა
და შუშინისსა: გაბრიელისა (ესეც)

გვ. 258: უფალო შეუნდვე და-
ვითს. ამინ იყავნ (ესეც):

გვ. 269 (ასომთავრულით, აშია-
ზე): ესე :ვ: რვეული: ივანეს წე-
რილია. ლოცვა ყავთ: .:

-195-

გვ. 428 (ასომთავრ.): აქუეს და-
სრულდა დავითისა ფსალმუნთა თარ-
გმანი ბასილი კესარიელისა ბრძანე-
ბული და ბერძენთა ენისაგან ეფთჳ-
მეს მთაწმიდელისა მიერ თარგმნილი:

ესე აქეთგან წალმართ დავითთა ში-
გან ვპოე ევთო მუკლსა ზედა თა-
რგმანი: ხოლო სახელი არა ეწერა
თუ ვისი თარგმნილი არს მეცნიერთა
უწყინ:.

მე დავით ჯიბისძემან ტვრ (= ტვირთ)
მძიმემან. ცოდვითა ულებმან საქმიითა
და უგუნურმან გონებითა. ამის წი-
გნისა ბოლოსა ჩავწერე ვისცა მოგ-
ხუდეს და გულის ჳმის ყოფით იკი-
თხვიდეთ და სიტყუად სიტყუასა წი-
ნა აღუდგეს. ნუ შაორგულდებით: და
ვითი მდინარე არს წყლისა ცხოვე-
ლისად და თარგმანნი შუშანია დაუძ,
ძინებელნი: დაუსაბამოისა დამბადე-
ბელისანი. მის მდინარისაგან ზოგი
ვენაჳსა შეუგდებს და ზოგი ყანასა

-196-

და სხუად სათიბესა. ხოლო ძალი
თქუმულთა მათთაჲ ერთარს.

ამას მიჰყვება „დავითის“ (დავით-
ნის) თარგმანი იმ ავექსონის მიერ,

რომლის სახელი დავით ჯიბისძის ხელში მყოფ დავითნებში არ წერებულა.

გვ. 497 (ნუსხურად) უფალო შეუნდვენ დავითს. განუსუენე სულსა ივანესსა: შუშანისსა: გაბრიელისსა და მარიემისსა. ამენ:

ამას მიჰყვების (გვ. 498-507) წერილი: ქება და შესხმა წმიდისა ღუთის მშობელისა: თქუმული წმიდისა იოვანე დამასკელისა: რომელი იკითხვის ყოველთა ოთხშაფათთა:

ეს წერილი სრულდება ლოცვით (გვ. 507): უფალო ივსო ქრისტე მეოხებითა მშობელისა შენისა: ადიდე სულითა დავით ჯიბისძე: და ლოცვითა მისითა უფალო მეცა შემეწ-

-197-

ყალე მშრომელი ივანე და რეცა თუ მწერალი:

გვ. 508 (ტექსტისავე ხელით): ფრიადი კეთილი კაცთ მოყუარისაგან კაცთადა მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებად არს. მზღ და მთოვარე ჯორცთა ჩუენთა საკმარად დაჰბადნა. ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებელად მოგუმადლნა:

რომლისათვისცა წ' მ ფსალმუნი ღუთისი თავი არს და პირი ყოველთა წიგნთად შემამკობელი ყოველთა მორწმუნეთად. რომელსა გალობდა დავით ათ ძალითა მით ფსალმუნისათა და წინასწარმეტყუელებით მოასწავებდა მოსლვასა მისა ღუთისასა უყნად და განჯორციელებასა წმიდისაგან ქალწულისა: ვითარცა იტყვს: გარდამოჰდეს ვითარცა წჷმად საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რად

ცურინ ქუეყაეასა ზედა და შემდგომი ამისი.

და კუალად თქუა: წმიდა ყო სთ ყოფელი თვისი მაღალმან: ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას ოკონისამდე. ღმერთი იშვა ქალწულისაგან და ქალწული ქალწულებისაგან არა შეიძრა. დავით მეფე და წინასწარმეტყუელი ყოველთა წინასწარმეტყუელთასა უმეტესად ადიდა. რამეთუ ნათესავისა და შვილისა მისისაგან სათნო იყო განჯორციელება. ვითარცა იტყვს: ეფუცა უფალი დავითს და არა ეცრუა მას ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა იგი სიყდართა შენთა. ვითარცა იგა ჰქუა ხარებასა მას გაბრიელ ქალწულსა: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ ამის თვისცა შობილსა მას შენსა ეწოდოს წმიდა და ძე მაღლის. და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი მა-

მისა მისისაჲ და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ და სუფევისა მისისაჲ არა არს დასასრულ:.

და კუალად თვთ თავადი ეწამა დავითს: ვპოვე დავით მონაჲ ჩემი და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვსცხე მას: რომლისა თვისცა სულისა წმიდისა წუენითა იტყოდა გალობასა ამას სულიერსა შესხმასა ღუთისასა და განშუენებასა ყოველთა წიგნთასა რომელ არს მოძღუარი ყოველთა მოძღუართაჲ და მასწავლელი ყოველთა ახალ მოსწავლეთაჲ:

რომლისა სწავლად მეფეთაცა გუ-

ლი უთქუამს და წადიერებით და სარ-
წმუნოებით უპყრია საწურთელად თა-
ვისა თვისსა. რათა წურთითა მისითა
სათნო ეყვნენ ღმერთსა.

ამისთვცა მე დავით ჯიბისძემან
ტვრთ მძიმემან ცოდვითა და უღებმან
სინანულითა დავწერე ესე წიგნი.

ბრძანებითა ეზრა მამად მთავრი-

-200-

სა *) შემოქმედისა და მწყალობელი-
სა ჩემისაჲთა. რომლისადა მეკადრა
და მერწმუნა საწყალობელი სული
ჩემი:

დავწერე კელითა სულიერთა ძმა-
თა ჩემთაჲთა საბადსითა მიქაელისითა
და გაბრიელისითა და გავასრულე კე-
ლითა შვილისა ჩემისა ივანესითა.

და შევმოსე უღირსითა კელითა
ჩემითა და დავდევე შემდგომად სიკუ-
დილისა ჩემისა შატბერდს საყოფელ-
სა წმიდისა ღუთის მშობელისასა სა-
მოდურებელად მორწმუნეთა სალხი-
ლებელად ცოდვათა ჩემთა: და სალ-
ხინებელად საწყალობელისა სულისა
ჩემისა:

და სადიდებელად: ეზრა მამად მთა-

*) ეს ეზრა ერთი იმ მამათაგანია, რო
მელთაც მე-XI-ე საუკუნის დამდეგს აღმარ-
თეს სვეტი ტბეთს და საქართველოს მიანი-
ჭეს თავისუფლება. მათ შესახებ ცნობა იხი-
ლე შემდეგს წერილში.

-201-

ვრისა და მამისა ეფრემისთვის. და მი-
ცვალებულთა პირველთა მოძღუარ-
თათვის და სვმეონისთვის და მშობელ-
თა ჩემთა ივანესთვის და შუშანისთვის:.

სულიერთა ძმათა და ჩემთაჲთა აღ-

სარებულთა ყოველთათჳს ჳორციელთა და ძმათა ჩემთა გაბრიელის და მარიემის თჳს შატბერდისა და ხანძითსა ცოცხალთა და მიცვალებულთა და ყოველთა თჳსთა ჩემთათჳს: აწ გევედრები ყოველთა მომავალთა ნათესავთა. რომელნი მოხუალთ გამოსაციელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალსა ცხორებასა. რაჟამს მოგეცეს ფლობად ყოფად ხილულსა ამას მზესა ქუეშე და ჩუენ მტუერ და ნაცარ ქმნილ ვიყვნეთ, მოგჳკსენენით წმიდათა ლოცუათა თქუენთა: რომელნი ესე ამას წიგნსა ჳსენებულ ვართ და შთაწერილ მოკლედ. მოვლენან ჟამნი დაუსრულებელნი და ჩუენ არღარა ჳელგუეწი-

-202-

ფებოდის აღმოკითხვად ვითარცა ჩუენსა პირველთა წარსრულთა მამათა და ძმათა:

და ესე ჳემშარიტად უწყი და ვერ დავარწმუნე სინანული განლიგებულსა გულსა ჩემსა და სძლია მარცხენითმან სასწორმან და დღითი დღედ დამძიმდების: ამისთჳსცა კუალადცა გევედრები მოთხოვეთ ლხინებად მის გან. რომელმან ჳქუა განრღუეულსა მას: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდეო. და მიჳმადლა მეძავსა მას: მიგეტევენენ მრავალნი ცოდვანი შენნიო. მან ასმინა ჳმაჲ სანატრელი ავაზაკსა ვითარმედ დღეს სამოთხეს ჩემთანა იშოო. რომლისაჲ არს დიდებაჲ და არა არს დასასრული სუფევისა მისისაჲ მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუენითი უკუენისამდე ამენ.

ამის წიგნისა ეტრატი კახაისა საფასოდთა ვიყიდე. ლოცვასა გვედია

(გვედრია!). ღმერთმან დაგაჯეროს. ვინ ესე წიგნი ამას ეკლესიასა გამოაჯუას, წმიდადმცა ღუთის მშობელი არს მოსაჯული მისი და არსმცა ცოდვათა ჩემთა მზღველი წინაშე ღუთისა: დაიწერა ქრონიკონსა :სნე: (780 + 255=1035 წ.).

გვ. 433: ჳიონ*) ჳქჳან და მის გამო მრავალთა თარგმანთა სომეხთაცა და ქართველთაცა რომელთამე ღორისად უთქუამს და რომელთამე იგი სიტყუად რეცა სატოხე უჩნდა და ზე სიტყუად იწმიეს და ჳამად გამოთარგმნეს სომეხთაცა შორის და ქართველთაცა შორის.

ხოლო ჩუენ ღუთისა მოწყალეებითა ოსჳქის ნეტარისა, რომელი ხუცეს

*) ჳიონ ბერძულსა ენასა ზედა ღორისად სახელი არს.

შენიშ. დედნისა.

ყოფილიყო წმიდისა იწრუსალიმისა ეკლესიასა, რომელმან დავითი გამოთარგმნა უთხად წიგნად სავსედ მისსა თარგმნილსა წიგნსა შინა ესრე სახედ ვჳოეთ, ვითარცა ესე დავწერეთ კრძალულად.

რომელსა *) ენებოს შენგან სესხების, ნუ გარე მიაქცევ მას. ვეცხლის მოყუარემან , რაჳამს იხილის კა-

ცი ჭირისაგან შეიწრებული, ფერ-
კთა მისთა შეუვრდებიან და ყოველ-
სავე სახესა და სიტყუასა სიმდაბლი-
სასა უჩუენებნ მას: არა შეიწყალოს
იგი ესე ვითართა მათ საქმეთათჳს:
არა ეულისჴმა ჰყოფნ, ვითარმედ იგი-
ცა მისვე ბუნებისად არს, არა მოდრ-
კის ვედრებისა მის მიმართ, არამედ
დგან მოუდრეკლად და უწყალოდ:
არცა ვედრებასა ისმენ, არცა ცრემ-

*) გვ. 85 – 108.

-205-

ლთა მისთა სწყალობნ, არამედ დგან
უვარისყოფასა ზედა, ფიცავნ და შე-
აჩუენებნ თავსა თვისსა, ვითარმედ
„არა მეპოვების მე ყოვლადვე საჴმა-
რი, არამედ იწროვებასა შინა ვარო
და ვეძებდეცა, უკეთუმცა ვინმე ვპო-
ვე, რომლისაგანმცა ვისესხე“, და
სარწმუნო ჰყოფნ ტყუილსა მას ფი-
ციტა ბოროტი სავაჴროდ უწყალო-
ვებისად მოიგის ფიცი იგი ტყუილი-
სად, ხოლო რაჴამს რომელ იგი სეს-
ხსა ითხოვნ, ვახში აჴსენის და აღნა-
დგინებსა სახელ სდვის, მაშინ დაამ-
დაბლნის წარბნი თჳსნი, განილიმნის
და იწყის სიტყუად მისა, ვითარმედ:
„მახსოვს მე სიყუარული მამისა შე-
ნისად“, – და მეგობრად და მოყუა-
რედ უწოდის მას, – და ვიხილო,
უკუეთუ სადა იყოს ჩუენთანა ვეცხ-
ლი, რამეთუ ვაგონებ, თუ არს ნა-
მარხევისი მეგობრისად, რომელმან აღ-
ნადგინებად მომცა იგი, არამედ მან

-206-

ფრიად დამიმძიმა აღნადგინები იგი,
ხოლო მე შენ უსუბუჴესად მოგცე

და უმცირეს ვყო აღნადგინები იგი.“
ესე ვითართა სახითა და ესე ვითარითა სიტყუთა აცთუნის უბადრუკი იგი და შეაკრის ჳელისწერილებითა, და სიგლახაკესა მასთანა თავისუფლებაჲცა კაცისაჲ მის მიიღის, და წარვიდის. რამეთუ რომელმან მისცეს თავი თუსი (თჳსი) თანამდებებათა აღნადგინებისა, რომლისა მიცემად ვერ ძალუცნ, ესე ვითარსა მას მიუცემიეს თავი თუსი მონებად:.

მითხარლა, ჳ კაცო, საჳმართა და სიმდიდრესა ეძება გლახაკისა მისგან და ჳირვეულისა! და უკუეთუმცა ძალედვა შენი განმდიღრებაჲ, რასამცა ეძებდა ანუ რადსათუსმცა დგა წინაშე შენთა კართა? ეჳა საჳურველი: შემწისა მიმართ მოვიდოდა და მბრძოლი იპოვა, წამალსა განსაკურნებელს ეძებდა, მოსაკუდიინებელსა

-207-

მიემთხუია! ჳერ იყო, რათამცა ნუგეშინის ეც სიგლახაკესა მას ჳირვეულისასა, არამედ შენ უფროძსად განამრავლაჲ ჳირსა მისა, რამეთუ ნაყოფსა ეძიებ უნაყოფოძსა მისგანდა მოოჳრებულისა! ვითარმცა მკურნალი ვინმე მივიდა უძლურისა მიმართ და სიმრთელედ მოყვანებისა წილ მცირედიცა იგი ნეშტი ძალისაჲ, რომელ არნ მისთანა, მიიღის მისგან. განსაცდელთა მათდა ჳირთა გლახაკისათა მიზეზად სიმდიდრისა შენისა ჳყოფა? ვიათარცა მუშაკნი ილოცვენ წუმისთუს, რათა განმრავლდენ ნაყოფნი მათნი, ეგრეთვე შენ ნაკლულევანებასა და უღონობასა კაცთასა ეძიებ, რათა საჳმარნი შენნი უმეტესად განმრავლდენ, და არა უწყი, რამეთუ აღნადგინებისა მისგან ცო-

დვათა შენთა უმეტესად შეემატების
ვიდრე-ღა სიმდიდრესა მას შენსა და
რომელი იგი სესხსა მას ეძებნ, შე-

-208-

ჰყრობილ არნ ორკერძოვე უღონო-
ებითა: ოდეს სიგლახაკესა თვსსა მი-
ხედნეს წარიკუეთს სასოებასა მი-
ცემისასა, ხოლო რაჟამს ჭირსა მას
მის ზედა მოწევნულსა მიხედნეს,
კადნერ იქმნების სესხისა მის მილე-
ბად; მერუ უკუანადსკნელ იძლის
ჭირვეული იგი და მიიღის სესხი;
ხოლო მან იგი განამტკიცის კელთ
წერილებითა და თავსდებებითა, და
ესრეთ წარვიდის:

მიიღის უკუე კაცმან მან სესხი იგი,
და პირველად ბრწყინვალ არნ იგი
და მხიარულ, უცხოთა ყუავილითა
იმკვებინ, ტაბლაძცა მისი უმდიდრე
არნ. არამედ რაჟამს საკმარნი იგი
წარკდებოდინ და აღნადგინები იგი
ჟამთა თანა აღორძნდებოდის, მერმე
არღარა ეპოების მას ჟამი განსუენე-
ბისაჲ, არცა ღამე, არცა დღე; არა
არნ მას ზედა დღე ბრწყინვალე, არ-
ცა მზე შუენიერი, არამედ მძიმედ

-209-

უჩნ ცხოვრებაძცა თუსი, მოსძულ-
დიან დღენიცა ჟამთა მისთანი, რო-
მელთა მიერ მიეახლებინ ჟამსა მას
მიცემისა სესხისა მის მისისასა: ეში-
ნინ თუეთაგან, ვითარცა აღნადგი-
ნებისა მამათაგან; უკუეთუ სძინავნ,
ძილსა შინა ხჭდვინ მოსესხესა მას
თუსა, და ვითარცა ბოროტი სიზმა-
რი თავსა ზედა მისა დგან; უკუეთუ
ელუიძის, კუალად მასვე იგონებნ და
ზრუნვაჲ იგი აღნადგინებისაჲ გულსა

შინა მისა დამკუდრებულ არნ; ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: მოსესხე და მოვალე ურთიერთას შეიმთხუნეს და ორთავე ხედვიდა უფალი; რამეთუ ერთი იგი, ვითარცა ძაღლი, მირბინ ნადირისა მიმართ, ხოლო მეორე იგი, ვითარცა ნადირი განმზადებული შესაპყრობელად ესრეთ ძრწინ უბნობისაგან მისისა, რამეთუ მიიღებს მისგან კადნიერებასა სიგლახაკე იგი, და ორნივე იგი გა-

-210-

მოწულილვით თუალვიდიან ჟამთა, ერთსა მას უხარიან აღორძინებასა მას ზედა აღნადგინებისასა, ხოლო მეორე იგი მწუხარე არნ, სულთ-ითქუამნ სიმრავლესა მას ზედა განსაცდელთასა.

„სუემდი წყალსა ჭურჭელთაგან შენთა“, ესე იგი არს თუსთა საქმეთა ხედავდით: ნუ მიხუალ წყაროსა მიმართ უცხოდა, არამედ თუსთა მონაგებთაგან შეიკრებდი ნუგეშინის საცემელსა ცხორებისა შენისასა; უკუეთუ გაქვს რვალი გინა სამოსელი, გინა კარავლი, გინა სსუაჲ რადმე, – ყოველივე წარაგე, ინებე ყოვლისავე განსყიდაჲ, თუინიერ თავისუფლები-სა ოდენ შენისა.

ანუ გრცხუენისა ესრეთ ყოფაჲ და წარგებაჲ მონაგებთა შენთაჲ? რადჰყო, უკუეთუ შემდგომად მცირედისა სხუამან წარაგოს მონაგები შენი და უცხო გყოს მისგან და წინაშე

-211-

თუალთა შენთა იტყოდის ფასსა მონაგიგთა შენთასა, ვითარცა მას ენებოს. ნუ მიხვალ კართა მიმართ უც-

ხოთა, რამეთუ ჭემმარიტებით ჯურ-
ღმული არს იწროდ, უცხოდ იგი
წყაროდ უმჯობეს არს დღითი-დღე
ღონისძიებითა აღსრულებად საჯმრისა
თუსისად, ვიდრელა მეყსა შინა ამა-
ღლებად უცხოდასა მონაგებს ზედა
და უკუანადსკნელისა გან ერთბამად
გამოკუებად, უკუეთუ გაქუს მონაგე-
ბი, რომლისაგან მისცე მას სესხი
იგი, რა და რა ნუგეშინისცემ სიგლა-
ხაკესა მაგას შენსა ესე ვითარისა მის
მონაგებისაგან! უკუეთუ კულა ვერ
ძალგიც აწვე მიცემად ვალისად მის,
ვითარ ჰკურწებ ბოროტსა ბოროტი-
თა! ნუ გნებავნ მოგებად მოსესხისად,
წარმტყუენველისა შენისა; ნუ თავს
იდევ, რათამცა გეძებდა შენ იგი, ვი -
თარცა ნადირსა რასმე. სესხი დასა-
ბამი არს ტყუილისად, მიზეზი არს

-212-

უმაღლოებისად უგულისკმოებისა და
ტყუილით ფიცისად; სხუანი არიან
სიტყუანი მოსესხისანი და სხუანი
მოვალისა, რამეთუ მწუხარე არნ,
რაჟამს აჭირვებნ მას მოსესხე იგი და
ეძიებნ მისგან თხვისა მას ვალსა, ხო-
ლო იგი ეძიებნ მიზეზთა და სიტყუ-
ათა მრავალთა, რომლითამცა განერა
მას: „ნეტარ, თუმცა არა შემთხუეულ
ვიყავ შენდაო მას ჟამსა, რამეთუ
აწმცა მაქუნდა ნუგეშინის ცემად ჭი-
რისა მისგან ჩემისა“, ანუ „არა მაი-
ძულეა მოღებად სესხისა მის, ხოლო
ოქროდ შენი შერეული იყო რვალი-
სა თანა და დრაჰკანი შენი სუბუქ
იყო!“

უკუეთუ მეგობარი შენი იყოს,
რომლისაგან ისესხებდე, ნუ დაიჭირ-
ვებ მეგობრობასა მისსა და უკუეთუ
მტერი იყოს, ნუ უყოფ თავსა შენ-

სა მონა მტერისა შენისა, რამეთუ
მცირედ ჟამ შეიმკო სამკაულითა მით

-213-

უცხოთა, ხოლო უკუანადსკნელ მა-
მულისაგანცა მონაგებისა შენისა გან-
ჰვარდე! აწ დაღაცათუ გლახაკ ხარ,
არამედ თავისუფალ ხარ; უკუეთუ
კულა ისესხო გავერველამდიდრდე და
თავისუფლებად მოგელის შენგან, რა-
მეთუ მოვალჴ მონად არს მოსესხი-
სად და მონად სყიდული, რომლისა
მსახურებად თანა წარუვალ არს: ძალ-
ღმან მიიღის რად საზრდელი, დაახ-
ხრის გულის წყრომისაგან მისისა,
ხოლო ვახშისა მიმღებელმან დაღა-
ცათუ მიიღოს, უმეტესისა მიმართ
სურის და არა სადა დასცხრების აღ-
რევისაგან, არამედ უმეტესსა ეძიებს;
უკუეთუ ჰლოცვიდე, არა ჰრწამს,
საუნჯეთა შენტა გამოიძიებნ, მონა-
გებთა შენტა იწულილვინ; უკუეთუ
გარეგან სახლისა განხვდე, მიგიზი-
დავენ თავისა თვისისა მიმართ და გაწ-
ყინებნ; უკუეთუ შინაგან იყოფოდო
მოგადგის კარსა და ჰრეკნ, წინაშე

-214-

მეუღლისა შეგარცხვნის, წინაშე მე-
გობართა გაგინის, უბანთა ზედა გაშ-
თობნ, დღესასწაულსა არა გიტევებნ
განსუენებად.

ხოლო უკუეთუ იტყვ: „ფრიად
დიდ არს ჭირი ესე, რომელი მაჭირ-
ვებს და სხვთ ვერ სადადთ ვჰპოებ
საწმარსა“, – გეტყვი შენ, ვითარმედ:
რად სარგებელ არს უკუეთუ დღესა
განაგდო სიგლახაკე შენგან და კუა-
ლად მოგიჯდეს შენ სიგლახაკე, ვი-
თარცა კეთილად მსრბოლი მავალი

და ეგევე ჭირი, რომელი აწ გაქუს
უმეტესად მოიწიოს, რამეთუ სესხი
არა სრულიად განარინებს კაცსა
ულონობისა და ჭირისაგან, არამედ
მცირედ ჟამ, და კუალად იგივე ჭი-
რი მოიწის: თავს ვიდვათ დღის ჭი-
რი იგი სიგლახაკისად და ნუ დავი-
უნჯებთ მას ხვადისათვს!

უკუეთუ არა ივასხო, იყო შენ
სიგლახაკესა მაგას შინა დღესცა და

-215-

ხვალე და მერმეცა, უკუეთუ კულა
ივასხო, უძვრესსა ჭირსა მიეცე, რა-
მეთუ აღნადგინებმან მან სიგლახაკე
იგი უმეტესად განგიმრავლოს და აწ
არავინ გაბრალებს შენ სიგლახაკისა-
თვს, რამეთუ უნებლიად-ღა არს ჭი-
რი ეგე, უკუეთუ კულა თანამდე
აღნადგინებისა იყო, არადვინ იყვნ,
რომელიმცა არა აბრალებდა განზ-
რახვასა მას შენსა უგუნურს ნუმ-
თკუე მოიწიოს(?) წინაშევე თავთა
ზედა ჩუენთა უნებლიოდთთა მათ
ჭირთა ზედა სხუათაცა ჭირთა ნებ-
სით ჩუენითა უგულისხმობი შენგან,
რამეთუ საქმე ესე ჩჩვლებრივისა გო-
ნებისასა... კაცი არა განარენდეს თავ-
სა თვისსა თუსთა საქმეთაგან, გინა
თუ იწროებითა, გინა თუ ვასხებითა,
არამედ უცნაურითა სასოებითა ცხა-
დსა და უსიტყუელსა გინებასა შეაგ-
დოს თავი თვისი.

აწვე განიზრახე, თუ სადამთ მის-

-216-

ცე თანანადები იგი საკმართა მათ-
გან, რომელთა მოიგებნ, მათგანვე
მოსცეა, არამედ არა კმა არს საკმა-
რისაცა შენისა აღსრულებად და კუ-

ალად თანანადებისა მისაცემლად. უკუეთუ კულა აღნადგინებიცა მოიგონო, სადადთგან მრავლდეს ვეცხლი იგი ესრეთ მრავალ წილად, რათამცა შენცა განერი მათგან და კულად მისცნე თავნი კიდე და კულად აღნადგინებიცა მიუმატო; ანუ სხუაგნით მისცემა თანანადებსა მას და არა მისგანვე, რომელსა ივასხებ! მას უკუე სასოებასა მოელოდე აწვე და ნუ მიხუალ, ვითარცა თევზი სამჭედურისა მიმართ, რამეთუ ვითარცა თევზი საზრდელისათანა სამჭედურსაცა შთანთქამს, ეგრეთვე ჩვენ საკმართათვს აღნადგინებსა შთავკარდებით.

სიგლახაკე არცა ერთისა სირცხვისა წინამძღუარ ვის ექმნების! რად-

-217-

სათვს უკუე დავიდებთ თავთა ზედა ჩუენთა ყუედრებასა მას თანამდებობისასა, რამეთუ ვითარცა ვერვინ განჰურნებს წყლულებასა წყლულებითა, ვერცავინ ულხენს ბოროტსა ბოროტითა, ეგრეთვე სიგლახაკესა ვაშხითა (ვახშითა!) ვერვინ განერების. უკუეთუ მდიდარ ხარ, ნუ ივასხებ და უკუეთუ გლახაკ ხარ, ნუვე ივასხებ, რამეთუ უკუეთუ გაქუს, არა გეკმარების სესხი და უკუეთუ არად გაქუს, ვერ ძალ გიც მიცემად სესხისად მის. ნუ მისცემ ცხორებასა შენსა ესე ვითართა საქმეთა, ნუ უკუე ინატრიდე დღეთა მათ უწინარესთა სესხებისა!

ერთითა საქმითა უმჯობეს არიან მდიდართასა გლახაკნი: უზრუნველობითა; და ეცინიან მათ, რაჟამს ზრუნვთა მათ მრავალთაგან არა ეცალებინ დაძინებად და იგინი უზრუნ-

ფრიადისა ზრუნვისაგან შეშფოთებულ იყვნინან. ხოლო გლახაკთა არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნ.

არამედ რომელსა თანანადები აქუნდეს, იგი გლახაკცა არს და მრავალ მოშურნე უძილ არნდა მით და უძილ დღისი და მჭმუნვარე მარადის. ოდესმე თვისსა მონაგებსა აღჰფასავენ და ოდესმე ეოცებინ გონებასა შინა და იგონებნ ტაძართა მათტვს დიდთა და აგარაკებსა მდიდართასა და უკუეთუ ვისთანამე იხილის სამოსელი ბრწყინვალე და იტყვიან: „უკუეთუმცა ესე ჩემნი იყვნეს, განვიყიდენმცა ეზო მისი (?) და განვთავისუფლდე ვახშისა მისგან!“

ესე ვითარნი ესე გულის სიტყუანი ღამითაცა არიან გონებასა შინა მისსა და დღისიცა მათ მიერვე შეჰყრობილ არიან; უკუეთუ ვინმე კარსა ჰრეკის, მოვალემან მან იწყის და მალვად; უკუეთუ მეყსა შინა ვინმე

შევიდის სახედ *) მისა, განჰკრთის გული მისი; უკუეთუ ესმის ყეფად ძაღლისად, შეძრწუნდის და ეძიებნ, თუ სადა ივლტოდის, რამეთუ ჰგონებნ, ვითარმედ მოსესხე მიხი მოვალს; რაყამს ჟამი იგი მიცემისად მოიწიის, იგონებნ, თუ რაჲ თქუას სიტყუად ტყუილისად ანუ რომლითა ღუნისძიებითა თანა წარიკადოს მოსესხე იგი ანუ თუ რაჲ მიზეზი დაუდვას მას.

რაჟამს მიიღებდე სესხსა, ნუ მას ოდენ ჟამსა გულისგმა ჰყოფ, არამედ

უკუანადსკნელიცა იგი ჟამი მოიგონე, რაჟამს გაჭირვებდეს შენ და ითხოვდეს თანანადებსა მას შენგან და გაწყონებდეს. რად შთააგდე, კაცო, თავსა შენსა ჯელთა მრავალ ფერისა მის მჯეცისათა?!

იტყვან ყორყდელთათჳს, ვითარმედ ერთსა ჟამსა შობენცა და ზრდი-

*) სახლსა

-220-

ან მართუეთა მათთა და კუალად სხუასა მუცლად იღებენ: რამეთუ ვიდრელა შობამდე მისა სხუად მუცლად იღის. ეგრეთვე მოვახშეთა საჭმარნი ერთბამად მიეცემიან სესხად და იშვებიან და მასვე ჟამსა კუალად აღმოეცენებიან, რამეთუ რაჟამს იგი გავასხის, არღა მოგელის ჯელთა და თჳსა მის, რომელსა შინა იყვნით, აღნადგინებსა გთხოვს და კუალად იგი მეყსა შინა მისცის სესხად და კუალად აღორძინდებინ ბოროტი იგი და მის ბოროტისა მიერ სხუად ბოროტი იშვის და ბოროტი იგი დაუსრულებელ არს. ამისთჳსცა ესე ვითარი სახელი წოდებულ არს სახესა ამას ზედა ანგაჰრებისასა, რამეთუ აღნიდგინები ეწოდების მას და მე ვჰგონებ, ვითარმედ ამისთჳს ეწოდების აღნადგინები, რამეთუ აღდგომად არს ესე და გარდამატებად უკეთურებისად, რამეთუ სადაითმცა ეწოდა აღ-

-221-

ნადგინები? გარნა აღდგომისა მისთჳს ბოროტთა და მწუხარებათა და სალმობათაჲსა, რომელნი მოიწევიან კაცთა მათ ზედა თანამდებთა აღნადგი-

ნებისათა. რამეთუ ვითარცა სალმობად შობადისად მოიწევის დედაკაცსა ზედა ჟამსა შობისასა, ეგრეთვე თანამდებსა ზედა მოიწევის ჟამი იგი მიცემისად თანანადებისად მის ვაშხი აღნადგინებსა ზედა ბოროტთა მშობელთა ბოროტი ნაშობი, აღნადგინებისა ნაშობთა ეწოდებოდენ ნაშობიქედნეთა. იქედნეთათჳს იტყვან, ვითარმედ საშოთა მშობელთა მათთასა შეშჳამენ და განაღებენ და ესრეთ იშვებიან. ეგრეთვე ვახში სახლთა თანამდებთასა შეუჳამს და ესრეთ იშვების. ყოველივე თესლი, დათესული ქუეყანასა ზედა, შემდგომად ჟამისა რამდენისამე აღმოეცენების და ყოველივე იძრვისი ჟამითი ჟამად აღორძინდების მცირედ-მცირედ, ხოლო

-222-

ვახში დღეს იშვების და დღესვე იწყებს შობად; ყოველნი იძრვისნი, რომელნი ადრეცა დასცხრებიან შობისაგან, ხოლო ვახში ადრე იწყებს განმრავლებად და დაუსრულებლად მიიღებს უმეტესისა მიმართ წარმატებასა.

ყოველივე აღორძინებადი, რაჟამს თჳსისა საზომისა სიმდიდრესა მიიწიოს, დასცხრების აღორძინებისაგან, ხოლო ვეცხლი იგი ანგაჳრთად მარადის ორძის ყოველსავე ჟამსა.

იძვრისნი რაჟამს დაბერდენ, მისცემენ შობასა ნაშობთა მათთა და თჳთ შობისაგან დასცხრებიან. ხოლო მევახშეთა ვეცხლი მომსვალსაცა შობს, დაუძღურებულსა განაახლებს. ნუ მიეცემი შენ გამოსაცდელად მძჳნვარესა ამას მჳეცსა! აწ თავისუფლებით ჰხედავ მზესა, რად ეშურები კადნიერებასა მაგას ცხორებისა შენისასა!

წყლულებსაგან და ეკრძალების, ვითარ მოვალე უბნობისაგან მოსესხისა თვისისა და ეძიებნ ადგილსა სამალავად!

და უკუეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვითარ განვერე უკუეთუ არა ვივასხო“; ანუ „ვითარ გამოვიზარდო!“ აჰა ეგერა მოცემულ არიან შენდა ჰელნი და ჰელოვნებანი, შურებოდე, სასყიდელთა ჰმსახურებდე! არიან მრავალნი ღონენი, ანუ ვერცა ერთი ძალ გიცა, ითხოვდი უკუე სხუაგან, ანუ სირცხულ არს თხოვად? განა უსირცხულეს არს სესხებდ და მერმე ჭირვებად მოსესხისა მიერ!

არათუ რჩულსა *) დაგიდებ, რათამცა არავინ ივასხა, ანუ ვიტყვ თუ ცოდვად არს. ნუ იყოფინ! არამედ ცოდვად და წარწყმედად მას ვიტყვ, რომელი მიიღებდეს აღნადგინებსა! ხოლო თქუენთვის არათუ ცოდვად

*) წესს, კანონს.

ვიტყვ სესხებას, არამედ უფროძასად ხორციელად განგაკრძალებ სრულად დაცემისაგან სიგლახაკესა შინა და გიჩუენებ, ვითარმედ ყოველივე ჭირი უადვილესზ სესხებისა.

რამეთუ ჭინჭველს არა ძალ უც თხოად, არცა სესხებად, არამედ თჳნიერ ამათსა განრომად. და ფუტკარი ნეშტსა თვისისა საზრდელისასა მეფეთა მიანიჭებს, რომელთა და არცა ჰელნი, არცა ჰელოვნებად მიუცემიეს ბუნებასა. და შენ, კაცო, მრავ-

ვალ ღონე ეგე ცხოველი, ერთსა
რასმე ღონესა ვერ იღონება განსა-
რომელად თავისა შენისა? და უფ-
როდსად ვხედავთ, ვითარმედ არა ესე-
თნი კაცნი ივასხებენ, რომელთამცა
არა რად აქუნდა ყოვლადვე, რამეთუ
ესე ვითართ ავასხებსცა არავინ, არ-
ცა ვინ მიენდვების! არამედ ავასხე-
ბენ კაცნი, რომელთა მიუცემიან თა-
ვნი მათნი წარსაგებელთა ურგებთა

-225-

და სივრცესა უნაყოფოსა, რომელნი
გულისთქუმათა ამაოთა ჰმონებნ ნუ-
თუ წარწყმედასა სიძვისასა, და რო-
მელი ესე ვითარი არნ, იტყვნ იგი
ვითარმედ: „კეთილ არს ჩემდა, რა-
თა მაქუნდეს სამოსელი მრავალ სა-
სყიდლისაჲ და ოქროქსოლი და
შვილთა ჩემთა სამკაული შუენიერთა
სამოსელთაჲ და მონათა ჩემთა თვთო
სახენი სამკაულნი და ტაბლასა ჩემ-
სა სიმდიდრე ფრიადი!“ რომელი ესე
ვითართა საქმეთა შინა იყოს, იგი
მივალს სესხებად და ვიდრელა მიღე-
ბული იგი არა გარდამჭადის, სხუაჲ
სხვსა ზედა მეუფე მოიგის და სირც-
ხვლით მარადლე მოსესხვთა მათგან
ივლტინ ყუედრებ ისა მისთვის ულო-
ნოებისა მისისა სიმრავლითა მით ბო-
როტისაჲთა და ვითარცა განსივე-
ბულთა თანა იჰვ სიმსუქნისაჲ არს,
ეგრეთვე ესე ვითარსა მასთანა იჰვ სი-
მდიდრისაჲ არს, რომელი იგი მას

-226-

ივასხებნ და მას მისცემნ და მოა-
ტყვს თავსა თვსსა(?) სარწმუნოებაჲ
სესხებისაჲ ზედაჲს ზედაუბითა *) მით
და ჩუეულობითა ბოროტისაჲთა, და

მერმე ვითარცა მიიღიან აღმოსაგდე-
ბელი წამალი, რათამცა განწმდეს
შინაგან მათსა დამკვდრებული იგი
ნივთი, უკუეთუ უწინარეს განწმედი-
სა მათისა ნივთისა და წამლისა მის-
გან მიიღონ სხუად ჭამადი, მეყსეუ-
ლად მასცა სალმობით აღმოაგდებენ.
ეგრეთვე ამათ აღნადგინები აღნად-
გინებსა ზედა მიიღიან და ვიდრელა
პირველისაგან არა განთავისუფლე-
ბულ იყვნინან, სხვსა სესხსა შეიკრე-
ბდიან, მცირედ ჟამ უცხოსა სიმდი-
დრესა ზედა ზუაობდიან და უკუა-
ნადსკნელ თვსისაგანცა გამოიჯუნინან.

ეჰა, რავდენნი წარწყმიდნა უცხო-
მან კეთილმან, რავდენნი განმდიდრ-
დეს სიზმრითა და აღივსნეს ზღვევი

*) ზედიზედაობით.

-227-

თა და დაჭირვებითა! ანუ იტყვ შენ,
ვითარმედ: „მრავალნი სესხებისა მი-
ერ განმდიდრდეს!“ ხოლო მე გეტყვ,
ვითარმედ: უმრავლესთა შიშთვილი
შესცა. არამედ შენ, რომელნი იგი
განმდიდრდეს, მათ ხედავ და რომელ-
თა თავნი მოიშთვნეს, მათ არა აღ-
ჰრაცხავ, რომელთა იგი მოვასხე-
თა მათ წყინებად და სირცხვლი
ვერ თავსიდვეს და აღირჩიეს სიშთვი-
ლით სიკუდილი, ვიდრელა ყუედრე
ბით ცხორებად.

ვიხილე ოდესმე ხილვად საწყალო-
ბელი: ყრმათა თავის უფალთა თანა
ნადებთათვს მამულთა მიიყვანებდეს
განსყიდად! არა გაქუს სიმდიდრე რა-
თამცა დაუტევე შვილთა შენთა, ნუ
მიუღებ *) მათგან აზნაურებასა; ესო-
დენ დაუმარხე მათ მონაგები იგი თა-
ვის უფლებისად, ნამარხევი ეგე, რო-

*) ნუ გამოსწირავ, წაართმევ.

-228-

გლახაკისათვის მამულისა არავინ სადა ყუედრებულა, ხოლო თანანადები მამული საპყრობილედცა შეაგდებს შვილთა! ნუ დაუტუობ ჳილით წერილსა, ვითარცა წყევასა, შვილთა და ნაშობთა შენთა ზედა მიმავალსა!

ისმენეთ, მდიდარნო, თუ რასა განვაზრახებთ გლახაკთა თქუენისა უწყალოებისათვის: რათა მოისმინონ უფროდსად ჳირსა შინა და სიგლახაკესა, ვიდრელა შევიდენ განსაცდელთა მათ შინა ვახშისათა. ხოლო უკუეთუმცა ერჩლით, თქუენტანა რად საკმარ იყვნეს ესე სიტყუანი! ანუ არა უწყითა განზრახვად იგი მეუფისად, რომელი იტყვს ვითარმედ: „ავასხებდით, რომელთაგან არა ესვით მიღებად“.

ანუ სთქუა შენ, ვითარმედ: „და რომელი არს იგი სესხებად, რომლისა თანა არა იყოს სასოებად მიღებისად?“ არამედ გულისკმა ყავ ძალი

-229-

სიტყვსად ამის განგიკვრდეს კაცთმოყვარებად რჩულისმდებელისად მის. რაჟამს გეგულვებოდის მიცემად გლახაკისად და უფლისათვის საფასე იგი ძლუენიცა არს და სესხიცა. ძლუენია მისთვის, რამეთუ არღა რა გაქუს სასოებად მიღებისად, ხოლო სესხია მისთვის, დიდთა მათთვის ნიჭთა მეუფისათა, რომელმან მოგაგოს მის წილ, რომელი იგი მცირედსა მიიღებს გლახაკისა მის მიცემითა და

დიდნი კეთილნი მიგაგნის მის წილ,
რამეთუ რომელი სწყალობდეს გლა-
ხაკსა, იგი ავასხებს ღმერთსა.

არა გნებავსა, რათამცა ყოველთა
მეუფე გყვა თავისა შენისა თანა
მდებად თანანადებისა მის. თუ უკუე
ვინმე მდიდართაგან ქალაქისათა გრქუ-
ას შენ მიცემად თანანადებსა მას სხვ-
სასა, გრწამს თავსმდებებად მისი და
ლუთისა თავსდებად გლახაკთა არა
შეიწყნარება? მიეც ამაოდ მდებარე

-230-

ეგე ვეცხლი და ნუ დაამძიმებ მას
განმრავლებითა და ორთავე კეთილი
გეყოს, რამეთუ შენ დასდვა იგი სა-
უნჯესა შენსა უცთომელსა სამარხა-
ვად, და რომელსა იგი მისცეს, ეყოს
მასცა სარგებელი იგი საჯმარისად.
უკუეთუ კულა აღნადგინებსაცა ეძიებ,
განმრავლებად მისა კმა იყავნ შენდა
ნიჭი იგი უფლისად და მან მოგცეს
აღნადგინები იგი გლახაკთათვს; ჭე-
შმარიტად კაცთმოყუარისა მისგან
მოელოდე კაცთმოყუარებასა, რამე-
თუ აღნადგინებსა, რომელსა აწ მიი-
ღებ, კაცთმოყუარებითა და უწყა-
ლოებითა სავსე არს, რამეთუ განსა-
ცდელთაგან სხუათადასა შენ სიმდიდ-
რესა მოიგებ, ცრემლთაგან ჭირვეუ-
ლისათა ვეცხლსა შეიკრებ, შიშუელ-
სა აშთობ, მშიერსა სცემ, წყალობად
არა სადა არს ყოვლადვე, არა მოი-
გონებ, ვითარმედ შენისავე ბონები-

-231-

სად *) არს, რომელსა იგი აჭირვებ
და ესე ვითართა ამათ საქმეთაგან შე-
ძინებასა კაცთმოყუარებად სახელ-
სდებ! ვად არს მათდა, რომელნი იტ-

ყვან მწარესა ტკბილად და რომელი
კაცთ მოძულებასა კაცთ მოყუარებად
სახელსდებენ! არცა თუ საფსონის
იგავნი ესე ვითარნი იყვნეს, რომელ-
ნი უთხრნა მეპურისტეთა მისთა: „მჭა-
მელისაგან გამოვიდა ჭამადიო და
ძლიერისაგან ტკბილი“. და კაცთ
მწიპულისაგან გამოვიდა კაცთ მოყუა-
რებად? ვითარცა არა შეჰკრებენ ეკალ-
თაგან ყურძენსა, არცა კუროდს თავ-
თაგან ლელუსა, ეგრეთვე არცა ვახ-
შისაგან იპოების კაცთ მოყუარებად,
რამეთუ ყოველი ხე ხენეში ხენეშსა-
ცა ნაყოფს გამოიღებს.

მეასეულენი**) იგი და მეათეულე-

*) ბუნებისა.

**) ასი %-ის ამღებელნი.

-232-

ნი *) სახელნი სასმენელადცა საში-
ნელნი თუეულნი იგი აღნადგინების
მეძიებელნი, ვითარცა ცნობისა მიმ-
ლებელნი იგი ეშმაკნი, ეგრეთვე ესე-
ნი მოქცევასა მთუარისათა მივიდიან
გლახაკთა ზედა. ეჰა, მიცემად ორ-
თა თვსვე ბოროტი, – მიმცემელისა
თვსცა და მიმღებელისა რამეთუ ერ-
თსა მას მოატყუებს ზღვევასა საწმარ-
თასა, ხოლო მეორესა მას ზღვევასა
სულისასა. მუშაკმან ვინადთან თა-
ვი ჯვლისად**) მიიღის, თესლსა ძირ-
სა ქუეშე მჭელეულისასა არ აფასი-
ებნ, ხოლო შენ ნაყოფიცა მიგიღე-
ბიეს და პირველისა მის თესლისა ძი-
ებისაგან არა დასცხრები, თვნიერ მი-
წისა ჰნერგავ, თვნიერ თესლისა ჰმკვი,
არა უწყი, თუ ვისთვის შეჰკრებ! რო-
მელი იგი აღნადგინებისა მისთვის ცრე-

*) ათის %-ის ამღებელნი.

**) ხიულისა (ხუარბლისა), ყანისა.

-233-

მლოის *), საცნაურ არს, ხოლო თუ რომელსა ეგულებს სიმდიდრისა მის ღამკვდრებად, იჭუეულ არს, რამეთუ არა უწყი, თუ არა სხუათა დაუტეო შენ მიერ შეკრებული იგი სიმდიდრე და შენ გაქუნდეს სუნჯე იგი ოდენ უწყალოებისა და უკეთურებისად, რომელი დაიუნჯე თავისა თვს შენისა ნეფსით.

ამისთვს უკუე, ნუცა რომელსა ენებოს სესხების შენგან, მიაქცევ გარე, და ვეცხლსა შენსა ნუ მისცემ აღნადგინებად*), რათა ძუელისაგანცა და ახლისა შჯულისა უმჯობესი ისწავოს და სასოებითა კეთილისადათა უფლისა მიხვდე და მუნ მიიღო აღნადგინები კეთილთა საქმეთად ქრისლეს ივსოს მიერ ღუთისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდებაჲ და სიმტკიც-

*) ცრემლებს ღვრის, აფრქვევს.

**) აღნადგინები = სარგებელი.

-234-

ცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ა ნ.

ეს ძლიერი მოძღვრება საგულისხმოა ყოველ მხრივ: წმიდა მამა ჰგომოს არათუ მეასეულობას („ურიულ სარგებლის“ აღებას) და მეათეულობას (10 %-ად ფულის გასესხებას), არამედ თავნის გასაზრდელად ფულის გასესხებასაც! მქონელმა უქონელს ისე უნდა მისცესო. „ავასხებდით, რომელთაგან არა ესვით მიღებად!“

ასრეთი კანონი ყოფილა საქართველოში მე-X – XI საუკუნეს. დღეს-ღა?!

ბ.

ნიმუში 976 წლ. (იხ გვ.189 – 192)
დავითნის ტექსტისა

ქ: ფსალმუნი: ა:

1 *) ა. ნეტარარს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა:.

2. ბ. საჯდომელსა ურჩულოთასა არა დაჯდო:.

3. გ. არამედ რჩულსა უფლისასა არს ნებაჲ მისი, რჩულსა მისა ზრახვენ იგი დღე და ღამე:.

4. დ. იყოს იგი ვითარცა ხე და-ნერგული თანა წარსა დინელსა წყალ-თასა:.

5. ე. რომელმან გამოსცეს ხილი

*) არაბული ციფრით აღნიშნულია მუ-კლნი ყველა 150 ფსალმუნისა. დედანში ესეც ანბანითვე აღირიცხება.

-236-

თვისი ჟამსა თვისსა და ფურცელი მი-სი არა დასცვკეს:.

6. ვ. ყოველივე, რაჲცა ყოს, და წარემართენ მას:.

7. ზ. არა ესრე უღთონი და არა ესრე:.

8. ლ. არამედ ვითარცა მტუერი, რომელ აგავის ქარმან პირისაგან ქუე-

ყანისა:.

9. თ. ამისთვის არა დადგენ უღ-
თონი სარჯელსა, არცა ცოდვილნი
ზრახვისა მართალთასა:.

10. ი. რამეთუ უწყის უფალმან
გზად მართალთად და გზად უღთო-
თად წარწყმდეს მუკლი: ი:.

ფს ა ლ მ უ ნ ი: ბ:

11. ა. რად აღიძრნეს წარმართნი
და ერმან იზრახა ცუდი:.

12. ბ. შეითქუნეს მეფენი ქუეყა-
ნისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად:.

-237-

13. გ. უფლისათვის და ცხებული-
სა მი თვის.

† დიაფსალმად, რომელ არს გან-
სუენებამ.

14. დ. განვხეთქნეთ აპაურნი მათ-
ნი და განვაგდოთ ჩუენგან უღელი
მათი.

15. ე. იგი, რომელ დამკვიდრე-
ბულ არს ცათა შინა, ეცინოდის მათ
და უფალმან შეურაცხყვნეს იგინი.

16. ვ. მაშინ იტყოდის მათ რის-
ხვით მისითა და გულისწყრომითა მი-
სითა შეძრწუნნეს იგინი:.

17. ზ. მე დავდეგ მეფედ მის
მიერ ზედა სიონსა, მთასა წმიდასა
მისსა:.

18. ლ. თხრობად ბრძანებათა უფ-
ლისათა:.

19. თ. უფალმან მრქუა მე: მე
ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშო-
ბიე შენ:.

20. ი. ითხოვენ ჩემგან და მიგცნე

-238-

შენ ყოველნი წარმართნი სამკვდრე-
ბელად შენდა:.

21. ია. და პერობად შენდა ყო-
ველნი კიდენი ქუეყანისანი:.

22. იბ. ჰმწყსნე იგინი კუერთხითა
რკინისაძთა და ვითარცა ჭურნი მე-
კეცეთანი შეჰმუსრნე იგინი:.

23. იგ. აწ, მეფენო, ესე გულის
ხმა ყავთ და განისწავლენით ყო-
ველნი მსაჯულნი ქუეყანისანი:.

24. იდ. ჰმონეთ უფალსა შიშით
და უგალობდით მას ძრწოლით:.

25. იე. მიიღეთ სწავლაჲ, ნუ
უკუე განრისხდეს უფალი და წარს-
წყმდებოდით თქუენ გზისა მისგან
მართლისა:.

26. ივ. რაჟამს აღატყდეს მყის
გულისწყრომაჲ მისი, ნეტარ-არიან
ყოველნი, რომელნი ესვენ მას. მუჯ-
ლი: ივ.

-239-

ფსალმუნ ი: დ.

დასასრულსა განწილვისათჳს. ფსალ-
მუნი დავითისი.

37. ა. ხადილსა ჩემსა, ესმა ჩემი
ღმერთსა სიმართლისა ჩემისასა:.

38. ბ. ჭირსა ჩემსა მილხინე, მი-
წყალე მე, შეგესემინ ლოცვისა ჩე-
მისა:.

39. გ. ძენო კაცთანო, ვიდრემ-
დის გულფიცხელ ხართ, რაღ გი-
ყუარს ამაოებაჲ და ეძიებთ სიცრუ-
ვესა:.

40. დ. გულისხმა ყავთ, რამეთუ
საკვრველ ყო უფალმან წმიდაჲ
თჳსი:.

41. ე. უფალსა შეესემინ ჩემი
ლაღადებასა ჩემსა მისა მიმართ:.

42. ვ. გულისწყრომასა თქუენსა
ნუ ჰსცოდავთ, აწ, რად თქვან გულ-
თა თქუენთა სარეცელთა თქუენთა
ზედა, შეინანეთ.

-240-

43. ზ. შეწირეთ მსხუერპლი სი-
მართლისად და ესევდით უფალსა:.

44. ც. მრავალთა თქვან: ვინ გვჩუ-
ენოს ჩუენ კეთილი? გამოგვჩნდა ჩუ-
ენ ნათელი პირისა შენისდ, უფალო.

45. თ. მოეც სიხარული გულ-
თა ჩუენთა ნაყოფისაგან: იფქლითა,
ღუინითა, ზეთითა მათითა განამრავ-
ლენ შენ იგინი:.

46. ი. მშვიდობით მას ზედა დავ-
წევ, დავიძინე. რამეთუ შენ, უფალ-
მან მხოლომან, სასოებით დამამკვდ-
რე მე. მუკლი: ი.

ფს. 5, მუკ. იბ (დაბეჭდ. 8): უფა-
ლო, მიძელუ მე სიმართლითა შენი-
თა და მტერთა ჩემთა თვს წარჰმარ-
თე ჩემ წინაშე გზად შენი.

– მუკ. იგ. (დაბეჭდ. 9): რამე
თუ არა არს პირსა მათსა ჭეშმარი-

-241-

ებად, გული მათი ამაო არს, სამა-
რე ზეადებულ არს ჯორჯი მათი.

– მუკ. იდ. (იქვე): ენითა მათი-
თა ზაკუვენ, დასაჯენ იგინი ღმერ-
თო.

– მუკ. იე. (10): დაეცნენ იგი-
ნი ზრახვათა მათთგან ღიდძალითა
უღთოებისა მათისადთა.

– მუკ. იზ. (11): იხარებდენ შენ-
დამი ყოველნი, რომელნი გესვენ შენ

უკუნისამდე.

– მუჯ. იწ (იქვე): იშუებდენ შენ-
დამი და შენ დაიმკვდრო გესვენ შო-
რის.

– მუჯ. კ (12): რამეთუ..., უფა-
ლო, რამეთუ შენე ვითარცა საჭურ-
ველითა სათნოებითა შენითა, გვრ=
გვნოსან მყვენ ჩუენ.

ფს. 6. აღსასრულსა კურთხევად
მერვისათჳს ფს. დავითისი.

-242-

მუჯ. ბ: მილხინე (დაბეჭ. განმ-
კურნე).

მუჯ. ვ: დავშუერი მე..., დავბანე მე
მარადის ღამე ცხედარი ჩემი და სა-
რეცელი ჩემი დავალტვე ცრემლითა
ჩემითა; განმირისხნა მე (დაბეჭ. განჰ-
რისხდა).

მუჯ. ი. (9): ისმინა უფალმან ჳმად-
ლოცვისა ჩემისად, უფალმან თაყუა-
ნისცემდ ჩემი შეიწირა:.

ფს. 7: ფსალმუნებად დავითისი, რო-
მელი თქუა სიტყუათათჳს ქუშისთა,
მისა იემენელისათა.

80. ა. უფალო ღმერთო ჩემო,
შენ გესავ, მაცხოვნე მე და ყო-
ველთა მდევართა ჩემთაგან მიჰსენ
მე:.

81. ბ. ნუ სადა წარიტაცოს, ვი-
თარცა ლომმან, სული ჩემილ არა-

-243-

ვინ იყოს მკსნელ ჩემდა, არცა მაც-
ხოვარი:.

82. გ. უფალო ღმერთო ჩემო,
უკუეთუ ვყავ ესე, არს თუ ურჩუ-
ლოებაჲ ჰქელთა ჩემთა.

83. დ. ანუ თუ მისა და ვაგე მე
ბოროტი მათ, რომელთა მომაგეს
მე ბოროტი:.

84. ე. უკუე განსამევარდე მეცა
მტერთა ჩემთა მიერ ცუდი:.

85. ვ. დევნოს სამე მტერმან სუ-
ლი ჩემი და ეწიოს:.

† განსუენებაჲ.

86. ზ. დათრგუნოს ქუეყანასა
ცხორებაჲ ჩემი და დიდებჲ ჩემი
მიწასა დაამკუიდროს:.

87. ლ. აღდეგ, უფალო, ამაღლდი
რისხვითა შენითა მოსრულებად ყო-
ველთა მტერთა ჩემთა:.

88. თ. განიღვძე, უფალო, ღმერ-
თო ჩემო, ბრძანებითა მით, რომელ

-244-

მამცენ ჩუენ და კრებული ერისაჲ
გარემოგადგეს შენ:.

89. ი. ამისთჳს მალლად მოიქეც
უფალო, უფალმან განსაჯოს ერი
თჳსი:.

† განსუენებაჲ.

90. ია. მისაჯე მე, უფალო, სი-
მართლითა შენითა და უბიწოები-
თა შენითა ჩემდამო:.

91. იბ. აღესრულნენ ძურნი (ძო-
ჯრნი) ცოდვილთა ზედა და შენ წა-
რუმართა მართალსა, უფალო:.

92. იგ. რომელი განიკითხავს
გულსა და თირკუმელთა ღმერთი მა-
რთალი:.

93. იდ. ჭემმარიტარს შეწევნაჲ
ჩემი ღუთისა მიერ, რომელმან გა-
ნარინნის წრფელნი გულითა:.

94. იე. ღმერთი მართლ მსა-
ჯულ, ძლიერ, სულგრძელ, რომელმან
არა მოავლინის რისხვად მისი მარა-
დღე:.

-245-

95. ივ. არათუ მოიქცეთ, მახვლი
მისი ლესულ არს:.

† განსუენებად.

96. იზ. მშოვლდსა მისა გარდაუ-
ცუამს და განუმზადებებს იგი:.

97. იწ. მის თანა განუმზადებთან
ჭურნი სიკვდილისანი და ისარნი მის-
ნი შემწუველად ქმნა (დაბეჭდ. 17,
12).

98. ით. აჰა ესერა არა ძლებულ
იქმნა სიცრუვით, მუცლად ილო სა-
ლმობად და შვა უმჯულოებად:.

99. კ. ჳნარცუ თხარა, აღმოჰკუ-
ეთა; შთავარდა იგი მთხრებლსა მას,
რომელიცა ქმნა:.

100. კა. მიექცა სალმობად მისი
თავსა მისა და სიცრუვე მისი თხემსა
მისა ზედა დაუჭდა:.

101. კბ. ხოლო მე აუვარო უფა-
ლსა და უგალობდე სახელსა უფლისა
მადლისასა: მუჭლი კა (კბ?).

-246-

ფს. 8: დასასრულსა: საწნეხელთათჳს:
ფსალმუნებად დავითისი:.

მუჭლი გ. (დაბეჭ. 2): პირითა
ყრმათა ჩჩვლთა მწოვართაფთა დაემ-
ტკიცოს ქებად:.

მ. დ. (იქვე): მტერთა შენთათჳს,
რათამცა განირყუნა მტერი იგი და
შურის მგებელი:.

მ. ე. (3): რამეთუ ვიხილენით
ჩუენ ცანი, ქმნილნი ველთა შენთანი,

მთოვარე და მასკულავეები, რომელ შენ დაჰბადე:.

მ. ვ. (4): რად არს კაც, რამეთუ მოიქსენე იგი იგი ანუ ძჳ კაცისად, რამეთუ მოხედენ მას მას:.

მ. თ. (7): ცხოვარი და ზროხად ყოველივე უფროდს მკეცნიცა ველისანი.

ფსალმუნი ნ:

აღსასრულსა: ფსალმუნი: დავითისი:

ფსალმუნი: ნ

(ამ ფსალმუნის მუკლები ამოგვაქვს შა-

-247-

მოსლვასა: მას: ნათან: წინასწარმეტყუელისა: რაჟამს: შევიდა: დავით: ბარსახს .

961. ა. მიწყალე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე უსჯულოებად ჩემი:.

962. ბ. უფროდს განმბანე ურჩულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე:.

363. გ. რამეთუ ურჩულოებად ჩემი მე უწყი და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის:.

964. დ. შენ მხო-

ტბერდის მე-X საუკ. კუებულიდან).

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე ურჩულოვებად ჩემი.

უფროდს განმბანე ურჩულოებისა ჩემი-საგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე.

რამეთუ უშჯულოვებად ჩემი მე უწყი და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის.

შენ შეგცოდე, უფა-

ლოსა შეგცოდე, უფა-
ლო, და ბოროტი
შენ წინაშე ვყავ:

ლო, და ბოროტი
შენ წინაშე ვქმენ.

-248-

935. ე. ვითარ მარ-
თალ ხარ სიტყვთა
შენითა და, სძლევ
სჯასა შენსა:.

რათა გაჰმართლდე
სიტყვთა შენითა და
სძლო შჯასა შენსაი

966. ვ. ესერა უსჯუ-
ლოებასა მიუდგა და
ცოდვასა შინა მშვა
მე დედამან ჩემმან:.

ესერა უშჯულოვე-
ბით მიუდგა და ცო-
დვით მშვა მე
დედა-
მან ჩემმან.

967. ზ. უფალო ჭე-
შმარიტებად შეიყუ-
არე, გამოუჩინებელ-
ნი და დაფარულნი
სიბრძნისა შენისანი
გამომიცხადენ მე:.

968. ლ. მასხურე მე
საკურებელითა შე-
ნითა და განვწმიდ-
ნე, განმბანე მე და
უფროდს თოვლისა
განვსპეტაკნე:.

969. თ. მასმინე
მე გალობაი და სი-
ხარული და იხარებ-
დენ ძუალნი მდაბა-
ლნი:.

არამედ მასმინე მე
გალობად და სიხა-
რული და
იხარებდენ
ძუალნი ჩემნი მდა-
ბალნი.

-249-

970. ი. გარე მი-
აქციე პირი შენი
ცო-
დვათა ჩემთაგან და

გარჯ მიიქციე პირი
რი შენი ცოდვათ-
ჩემთაგან და ყოველ-
თანი

ყოველნი
უსჯულოე-
ბანი ჩემნი აკოცენ:
971. ია. გული წმი-
დად დაჰბადე
ჩემთა-
ნა, ღმერთო, და სუ-
ლი წრფელი
განმია-
ხლე გუამსა ჩემსა:
972. იგი ნუ გან-
ვადებ მე პირისა
შე-
ნისაგან და სულისა
წმიდასა შენსა ნუ
მი-
მიღებ ჩემგან:!
973. იგ' მომეც მე
სიხარული მაცხოვ-
რებისა შენისა.ი. და
სულითა წმიდითა
დაჰამტკიცე ჰჰ:
974. იდი მასწავლ
წე უსჯულოთა
გზბ-
ნი შენნი და უღმრ.
თონი შენდა მოიქ-
ენ:.

-250-

975. იე. მივსენ მე
სიტყუათაგან, ღმე-
რთო, ღმერთო ცხო-
რებისა ჩემისაო; გი-
გალობს ენაჲ ჩემი
სიმართლესა შენსა:
976. ივ. უფალო,
ბაგენი ჩემნი აღახ-
ვენ და პირი ჩემი
იტყოდის
ქებულება-

ურჩულოვებანი
ჩემნი აკოცენ,
გული წმიდაჲ და-
ბადე ჩემთანა, ღმერ-
თო, და სული წრფე-
ლი განმიახლე გუა-
მსა ჩემსა.
ნუ განმაგდე პირი-
სა შენისაგან, უფა-
ლო, და სულსა წმი-
დასა შენსა ნუ მიმი-
ღებ ჩემგან.
მომეც მე სიხარუ-
ლი მაცხოვრებასა
შენისაჲ და სულითა
მთავრობისა შენისა-
თა დამამტკიცე მე-
ასწყვენ უშჯულო-
სა გზანი შენნი და
უღმრთონი შენდა
მოიქცენ.

მივსენ მე სისხლთა-
გან, ღმერთო, ღმე-
რთო ცხოვრებისა
ჩე-
მისაო.

უფალო, უკუეთუ
ბაგენი ჩემნი აღახუ-
ნე, პირი ჩემი გით-
ხრობდეს ქებულება-

სა იძენსა:

977. იზ. უკეთუმცა გენება, მსხუერპ - ლი შევწირეთ შენ- და, საკუერთხი არა გთნდა შენ

978. იწ. მსხუერპლი ღუთისაჲ არს სული მდაბალი, გუ- ლი წმიდაჲ და სუ- ლი მდაბალი ღმერ- თმან არა შეურაცხ- ყოს:.

979. ით. კეთილი უყავ, უფალო, ნები-

სა შენსა.

უკუეთუმცა გენებს მსხუერპლი შეწირ- ვად შენდა, საკუერ- თხი არა გთნდა შენ.

არამედ მსხუერპლი ღუთისა არს სული მდაბალი და გული და სული მდაბალი და წმიდანი უფალ- მან არა შეურაცხყვ- ნის.

კეთილი უყავ, უფა- ლო, ნებითა შენი-

-251-

თა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუ- დენი იწრუსალიმი- სანი“.

980. კ. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ, შესა- წირავი და საკუერ- თხი:.

981. კა. მაშინ შე- იწირნენ საკურთხე- ველსა შენსა ზედა ზუარაკნი:.

თა სიონსა წდა აღა- შენენ ზღუდენი იწ- რუსალიმისანი.

მაშინ გთნდა მსხუ- ერპლი სიმართლი- საჲ შესაწირავი და საკუერთხი.

მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენ- სა ზედა ზუარაკბ.

ფსალმუნი: რნ

2890. ა. აქებდით ღმერთსა სიწ- მიდითა მისითა:

1891. ბ. აქებდით მას სამყაროდთა
ძალისა მისისადთა:

2892. გ. აქებდით მას ძლიერებითა
მისითა:.

2893. დ. აქებდით მას მრავლითა
სიმდიდრითა მისითა:

2894. ე. აქებდით მას ჳმითა ნეს-
ტვისადთა:

-252-

2895. ვ. აქებდით მას ფსალმუნითა
და ქებითა:

2896. ზ. აქებდით მას სიხხრულითა
და გალობითა:

2897. ლ. აქებდით მას სიტყვითა
ტკბილითა:.

2898. თ. აქებდით მას ჳმითა სა-
სმენელითა:.

2899. ი. აქებდით მას ჳმითა ღა-
ღადებისადთა:.

2900. ია. ყოველი სული აქებდით
უფალსა: მუჭლი: ია:

† თაყუანისცემად: უფალო: შე-
გესემინისად: მუჭლი: ერთ: რიც-
ხუად: რკე:

ყოვლად შეკრებით ფსალმუნნი:
რნ, მუჭლი: ცშ.

აქვე ძველის-ძველ და ოდნავდა
დასანახ მხედრულით: „მწერალსა (თუ
სულსა!) საბას წმიდასა(?) შეგინდებს
ღმერთი“.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ცხოვრება არჩილ II-ისა

თუესა მარტსა ოცსა († 718 წ.)

შესხმა და წამებად: წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი: მეფისა მის ქართველთასა. რომელი იყო ნათესავი და ტომი ხუასროვანთა სპარსთა მეფისა: და იწამა ქართლს შინა ჭიჭუმ მძლავრისა მიერ: რომელსა ეწოდა ასიმ:*)

ბრწყინვალე არს და დიდებულ კსენებად ყოველთა მოწამეთა: რამეთუ მათ ადიდეს ღმერთი ასოთა თვისთა მიერ: რაჟამს იგი განიცადებოდეს ცეცხლითა და მახვლითა. და სხვთა

*) ეს ვარიანტი არჩილ II-ის ცხ – ებისა ამოვიღეთ საეკლ. მუზ. 1737 წ. გადაწერილ „მამ. ცხოვრებიდამ“ (№ 170, გვ. 451).

-254-

ფერად - ფერადითა სატანჯველითა: და მოსწყდებოდეს სიყვარულისათვის ღთისად: ამისთვის ღმერთმანცა ადიდნა იგინი თავისა თვისისა თანა დიდებითა მით ჩუენგან მოუგონებელითა და მოუთხრობელისა: თქუმულისაებრ წინასწარმეტყველისა: ვითარმე დ მე მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე: და შეურაცხის მყოფელნი ჩემნი შეურაცხ ვყუნე: მოდით ჩუენცა მარტვლთ მოყვარენო უფროსად დროის მოყვარენო და უფროსად ღთის მოყვარენო ვეზიარებოდეთ კსენებასა მოწამეთასა: ნუ უკუწ და ჩუენ მიერცა არა უღირს იჩინონ. დიდებად და ქებად: რამეთუ დაღაცათუ იგინი საუკუნოდ დიდებულ არიან არამედ ჩუენცა თანამდებ ვართ დიდებად მათდა და ქებად ძალისაებრ: რამეთუ ძალისაებრნი გულს მოდგინებანი მათ მიერცა მი-

სათვალველ არიან: რამეთუ ზემთა
სახიერისა მჭფისა მსგავსთა. ესენიცა

-255-

სახიერნი და ტკბილნი არიან: რამე-
თუ ნებავს წმიდათა რათა სადაცა
მეუფე მათი იდიდებოდის ეგრეთვე
მსგავსად ესენიცა მის თანა იდიდე-
ბოდენ: და ჩუენ შემსხმელთა და მა-
დიდებელთა მათთა. ნიჰთა უხრწნელ-
თა უხუჭებით განგვყოფდენ. და მაღლ-
თა უმჟურველთა მდიდრად მოგუფენ-
დენ: რათა მობაძავად სიმჰნეთა მათ-
თა გამოგუაჩინენ: ბრძოლად უხილ-
ველთა მათ მტერთა: და სურვილად
საუკუნეთა მათ კეთილთა მოსწრა-
ფედ აღგუადგინებს:.

რამეთუ ქუეყნისა მეფეთაცა თვს
ეყვის. რათა საკუთარნი მეგობარნი
მათნი ყოველთა მიერ. იპატივებო-
დინ: რამეთუ პატივნი მათნი თვსად
პატივად შეურაცხიეს: აწ ვინათგან
ესრეთ თანამდებ ვართ. მოწამეთა
თვს ქებისა შეწირვად: მოდით მორ-
წმუნენო განვაწყოთ ხორო შემსხ-
მელთა და მედღესასწაულეთა. და

-256-

უბნობდეთ დიდსა ამას მოწამეთა
შორის მნათობსა: რამეთუ ვინ არს
ესრეთ დიდებულ და სახელოვან
ბრწყინვალეებითა ღუაწლთათა. და
წარჩინებულ გვრგვნოსნობითა. ვი-
თარ ჩუენი ესე მოწამე: ვიტყვ უკუე
ჩვენსა ამას სახელოვანსა მეფეთა შო-
რის. და წარჩინებულსა თვთ მპყრო-
ბელთა შორის. და უფროსად ბრწყი-
ნვალესა გუნდსა შორის მოწამეთასა
სამგზის სანატრელსა არჩილს: ვიც-
რამეთუ ყოველნი მეწამნეთ. სიმჰნე-

სა და სიქველესა მისსა. შუწნიერე-
ბასა. და ახოვნებასა მისსა. ტომ-ქარ-
თლობისა და შარავანდედით. მეფო-
ბისათა ზემთა ქმნულებასა მისსა: და
სხუათა მრავალთა რათმე უხუჭბასა
სიკეთეთა მისთასა:.. არამედ ესე არა
რად არს მისთანა. არცა რადდ საჯ-
მარ: ხოლო ესე ყოველი დაუტევა
და შერაცხა: საუკუნოსა მისთვს დი-
დებისა და წარუვალისა მეფობისა-

-257-

თვს. სივრცე ქუეყნისა, სიმდიდრე
ზღვსა. საუნჯეთა სიმძიმენი: სამეუ-
ფონი ტაძარნი და გვრგვნი: თვსნი
და ტოლნი. ცოლი და შვილნი: და
სხუად რომელიცა ითქმის და მოიო-
ნების: სოფლისა ამის საშუჭბელთა-
განი. ვითარცა მტუჭრი უნდოდ ეგ-
რეთ განყარა. და ვითარცა ნაგევი
განაზნია: სიყვარულისათვს ქრისტე-
სა და იგი მხოლოდ შეიყვარა. და
ყოვლისა განმსყიდელმან იგი მხო-
ლო ვითარცა ბრძენმან ვაჭარმან
მოიყიდა. და მისთვს დადვა სული
თვსი:..

არამედ ჩუენ ძალისაებრ ვიტყო-
დით ღუაწლთა მიმართ სიმჭნით გან-
წყობასა მისსა მძლავრისა მიმართ სი-
ტყვს გებასა, და სიკუდილისა მიმართ
უშიშოებასა:.. და თუ ვითარ ახოვ-
ნად გვრგვნოსან იქმნა: დაღაცათუ
ყოველნი მაქებელნი თვსნი ძლეუ-
ლად გამოჩინებულ არიან: რამეთუ

-258-

ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე
ქმნილარს:.. თვნიერ მის ჟამისა წმი-
დისა ეპისკოპოზისა ლეონტი მროე-

ლისა: რომელსაცა მისი სანატრელი ცხორებად და ღუაწლი ვრცელად აღუწერია: ვითარცა მოგვთხრობს მატთანე ქართველთა ცხორებისა: არამედ იგი ჟამთა მომყოვრებითა ვიდრე ჩუენდამდე არა მოწევნილ, არცა გვზილავს: არამედ მისვე ქართველთა ცხორებისაგან, რომელი მისთვის სულ მცირედ წერილ არს: ანუ თუ ზეპირით საჩინობს ჟამთა სივრცისაგან ვერ დაფარული ბრწყინვალება ღვაწლთა მისთა. და საფლავიცა მისი ჩუენ შორის მყოფი დუმილით მღალადებელი სიმკნეთა მისთა: ამისთვის მცირედისადა რაფსამე და კნინოდენისა ვიკადრე მეცა უნდომან და გლახაკმან ამანაღწერად მისთვის ძალისაებრ ჩემისა და არა თუ სიდიდისაებრ სიმკნეთადა მისთასა და ბრწყინვალებისა: რათა

-259-

არა უმეტესმან დუმილმან უღრმესსა დავიწყებასა მისცეს ბრწყინვალე იგი ღვაწლი მისი: და ჩუენ დაგუჭირდეს დიდი იგი შესაძინელი ორკერძოთა ნიჭთა უხუჭზისნი:.

აწ მოდით ღთის მოყვარენო მოყვენით ყურნი თქუენნი და გულს მოდგინედ ისმინეთ: ესე სამგზის სანატრელი არჩილ იყო, ვითარცა უწყით ყოველთა, მეფე ქართველთა, რომელსა სრულიად ეპყრა საზღვარნი ყოვლისა საქართველოდსანი: ანაკოფსით ვიდრე ღარუბანდამდე: იყო ნათესავი დიდთა მეფეთა ხუასროვანთა: დიდისა მეფისა ვახტანგის ძეთა ძე მეხუთე შვილისშვილი: ძე სტეფანოზ მეფისა: ამისთვის ვაჰსენე ნათესაობადა მეფეთა. და თვთ მპყრობელიობადა, რათა ამით უმეტესად გამოვაჩინო დიდებულებადა მისი, თუ ვი-

თარ ესრეთ ნაგევად შერაცხა ესე
ოდენნი ესე დიდებანი. და საწუთ-

-260-

როსა ამის სიმდიდრენი და სუფე-
ვანი:.

მომეცით კადნიერებაჲ, რათა ვთქუა-
რაჲმე მცირედი. არა უცხოოდ აღსა-
ჩენელი თქუენისაცა გულის ჳმის ყო-
ფისა: დაღაცათუ უცხო არს ესე, რო-
მელსა მეგულების თქუმაღ:.

რამეთუ რავდენნი გასმიესთ ყო-
ველსა ქუეყანასა შინა. დიდნი იგი
წმიდანი. მოწამეთა საჩინონი ბრწყი-
ნვალეზანი: ვითარ იგი დიდებულ
არიას და ქეგულ ანგელოზთა და კა-
ცთა მიერ. არამედ მე ესრეთ ვჰგო-
ნებ, ვითარმედ ესე მათ ყოველ-
თა შორის უმეტესითა საჩინოებითა
ბრწყინავს: რამეთუ არა სადა სმე-
ნილ არს თჳს მჰყრობელთაჲ მეფე-
თა მოწამეობაჲ ვითარ ჩუენი ესე
მოწამე სამგზის სანატრელი არჩილ:.
დაღაცათუ დიდნი არიან და საჩინო-
ნი სხუანი მოწამენი სასწაულთა და
საკვრველებათა მიერ ზემთა გამოთ-

-261-

ქუმისაჲ: არამედ სხუაჲ არს სისხლი
მეფისა და სხუაჲ მჰედრისა. სხუაჲ
მთავრისა და სხუაჲ მონისა. არამედ
რომელი იგი არს აღმწონელი და
ყოვლისა გამომემძიებელი თუალ უხუ-
ვითა მით განკითხვათა მაჯავრითა,
მან უწყის ესე ყოველი: არამედ
თქუენ მცირედ მელოდეთ, რათა უწი-
ნარესნი და დასაბამნი ღუაწლისა მი.
სისანი წარმოგითხრე და მერმე გა-
მოგისახო დიდი იგი ღვაწლი მისი.
თუ ვითარ აღირჩია ნეფსით თჳსით

დადება თავისა თვისისა, და თვთ უწოდებელად იქმნა მსხუწრპლ წმიდად და საკუწრთს უბიწო: და თუ ვითარ სისხლითა თვისითა განაშუწნა ეკლესიანი ჩუენნი, და ვითარ მძლე ექმნა ხილულთა და უხილავთა მტერთა, და ხისხლითა თვისისთა ყო მშუდობად ქართველთა შორის: ანუ პირველ ანუ უკუანასკნელ:.

რამეთუ ჟამსა მას, ოდეს მიშვები-

-262-

თა ღთისადთა გამოსაცდელად ქრისტეანეთა, გამოჩნდა ცრუ იგი მოციქული სარკინოზთა შორისა. ბილწი იგი სჯულის მდებელი. მოჰამედ: ვითარცა იტყვს მისთვის მოციქული პავლე: ვითარმედ ვინათგან არა შეიწყნარესთ სიყვარული ცხორებისა. ჭეშმარიტი იგი სიბრძნე: მოუვლინოს სული საცთურებისა. რათა რწმენესთ მისი და მით დაისაჯნენო:.. ესე ვითარი რად უკეთურებისა საცთური გამოჩნდა თანა შეწევნითა ეშმაკისათა:.. მყის განეფინა გესლი იგი საცთურებისა მისისა მრავალთა თესლთა შორის. რომელთაცა წმიდათა მოციქულთა ქადაგებად არა შეეწყნარა: რომელთა იგი სიტყუად ცხორებისა უქადაგეს ყოველსა სოფელსა:.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა ცრუსა მის მოციქულისა. დისწულმან მისმან ყრუმან, რომელსა მურვანცა ეწოდებოდა: აღიზახა ყოველთა

-263-

ქრისტეანეთა ზედა ვითარცა ლომმან მძვნვარემან. და ვითარცა მჯეცმან ბოროტმან:.. და პირველად მოიწია საქართველოსა ზედა ფრიადითა რისხვითა

და გულისწყრომითა დიდითა, რომელსა ყვად ლაშქართა სიმრავლე ურიცხვ, რომელსა ვერ იტევდა ქუეყანა ესე: მაშინ წმიდაჲ ესე ჯერეთ ჭაბუკ იყო ჰასაკითა: ძმისა მისისა უხუცესისა თანა, რომელსა ეწოდა მირ. რამეთუ ორნი ესე ძმანი მირ და არჩილ მეფობდეს სრულად საქართველოსა ზედა: ხოლო მოწევნასა მას მურვან-ყრუსასა: ივლტოდეს აფხაზეთად. რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინა დადგომად სიმრავლისათჳს ლაშქართასა. ამისთჳს შიში დიდი მოიწია ყოველთა ქრისტიანეთა ზედა: ხოლო შემორავიდა ქართლად. შემუსრა ყოველივე შენებული და სიმაგრენი საქართველოსნი. და გარდავიდა იმერეთად და აღავსნეს ყოველნივე არე-

-264-

ნი იმერთანი და ვერღარა იტევდა სიმრავლითა: ხოლო ესე ორნი ძმანი მიელტოდეს აფხაზეთად, და მუნ შეწყუხეულნი, იმაღვოდეს და უსჯულო იგი დაბანაკებულიყო ეგრის წყლით ვიდრე ცხენის წყლადმდე: ხოლო წმიდაჲ იგი არჩილ და მირ ევედრებოდეს ღმერთსა და უბიწოსა დედოფალსა ღთისმშობელსა, რათა მოუვლინოს მათ შეწევნა მის მიერი და იკსნეს იგინი ჳელთაგან მათთა: მაშინ ისმინა ღმერთმან ლოცვაჲ მართალთა რომელი იგი განმზადებულ არს შეწევნად მოშიშთა სახელისა მისისათა:.

ღამესა ერთსა გამოუჩნდა წმიდაჲ დედოფალი ღთის მშობელი წმიდა არჩილს და ჰქუა. აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ. რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ წინა წარგიძღვეს თქუენ, და თქუენ წილ უფალი

ბრძოდის:.. მაშინ აღდგეს ორნი ესე

-265-

ძმანი მირ და სანატრელი არჩილ,
მცირედითა ტაძრეულითა კაცითა. და
რავდენიმე სხუანიც კაცნი ეპოვა მათ:
და მიჰმართეს მათ ზედა მინდობითა
ღთისათა. და შეწევნითა ყოვლად
წმიდისა ღთის მშობლისათა: და და-
ესხნეს ღამე იგი და მონანი მისნი
მათ ზედა: მასვე ღამესა მოუვლინა
ღმერთმან უსჯულოთა მათ ქარი სა-
სტიკი და წჳმა მძაფრი. ვითარცა იგი
პირველ მეგვიპტელთა ზედა: და აღ-
დგეს მდინარენი იმიერ და ამიერ.
და ერთმან მან მდინარემან წარილო
მკედრობაჲ იგი, რომელი მიერ და-
ბანაკებულ იყო: და მიერთგან ეწო-
და მდინარესა მას ცხენის წყალი: და
მეორემან მან – მკვრცხლი ერისა და
ეწოდა მდინარესა მას აბაჲშა:.. და მა-
თცა რაოდენი ძალედვა დაიწყეს ჳო-
ცად და სრვად: არამედ სიმრავლისა-
გან არა დააკლდა, რამეთუ მსგავს
იყუნეს ფურცელთა ხისათა:..

-266-

ესე რაჲ იქმნა ვერლარა დადგეს
მუნ. არამედ აღიძრნეს მუნით. ჩავ-
ლეს გურია და წარვიდეს მისლვად
სამეუფოდ ქალაქად კოსტანტინეპო-
ლედ: არამედ მუნცა რისხვითა ზე-
გარდამოთა ზღუასა შინა დაინთქნეს:..

ხოლო ესე ორნივე ძმანი, მეფენი
ქართლისანი, მოიქცეს მშჳდობით: და
იწყეს შენებად საქართველოსა თემ-
თაჲ: რამეთუ ძლიერად განერყვნა
უსჯოსა (უსჯულოსა?) მას:..

შემდგომად ამისა წარჳდეს რაჲ
ორმეოცდა ათნი წელნი, კუალად

მოვიდა უსჯულოდ ჭიჭუმ, რომელსა ეწოდა ასიმ. იგიცად ნათესავი მოჰამედისი: მანცა მოაოჯრა და შემუსრა ყოველი სიმაგრენი საქართველოსანი. და ეკლესიათა იწყო ქცევად და ოჯრებად: და მიჰმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჯრა იგიცა და უმკვდრო ყო: და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა და

-267-

ყოვლისა ერისა: რამეთუ ვერვინ შემძლებელ იყო წინა აღდგომად: რამეთუ ვინათგან განერყუნა ყრუსა მას დაღათუ გარდველინეს ჟამნი მრავალნი მშვდობით: არამედ არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა:.

ხოლო წმიდამან არჩილი. შემსგზავსებულად სიმჭნისა და ახოვნებისა თვისისა და უფროსად – ვთქუა ჭემმარიტი – ფრიადისა მის ღთის მსახურებისა მისისა. და ცეცხლებრ მოტყინარისა მის სიყუარულისა, რომელი აქუნდა ღთისად მიმართ, განიძრახა კეთილი არა უმსგზავსოდ სიქველისა მისისა. რათა მივიდეს წინაშე ჭიჭუმისა. და დადვას სული თვისი ესეოდენტა ქრისტეანეთა თვის მსგზავსად მჭუფისა. ვითარ იგი მან დადვა სული თვისი ჩუწნთვის. ეგრეთვე ამან ნეტარმან ესრეთ განიზრახა და ესრეთცა ქმნა: რამეთუ მოსლვასაგ მას ჭიჭუმისასა: უხუცესი ძმა ამის ნეტა-

-268-

რისა, რომელსა ეწოდა მირ, ადრევე გარდაცვალებულ იყო: და არა დაეტევა ძე წული: და ესე მონაცვალე მეფობისა მისისა: მას ჟამსა იქცეოდა აფხაზეთად ესე ნეტარი: ხოლო გან-

ძრახვად იგი ესე იყო. რათა მივიდეს და მძლავრსა მას უღმთოსა: მშჯღობისათვის ქუეყნისა და დაცვისათვის ეკლესიათასა უვნებელად: და არც-და იძულებად დატევებასათვის სჯულისა. და უკეთუ ესრეთ არა იქმნეს: რათა წამებისა მიერ გვრგვნითა უხრ-წნელებისათა შეამკოს თავი თვისი. და სისხლითა. თვისითა განაშუწნოს ეკლესია ქრისტესი: რამეთუ იტყოდა წმიდად იგი: ვითარმედ უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი: ვიდრელა კუალად განრყვნად ეკლესიათა ქრისტესთა: და ოჯრებად ქუეყნისა ამის: რამეთუ აღირჩია მსგზავსად ქრისტესსა ვითარცა ვთქუ სულისა თვისისა და-დებად საჯსრად ქრისტეანეთათვის

-269-

მსგზავსად ქრისტესსა: და ეგრეთცა იქმნი: რამეთუ ვითარცა სისხლმან ქრისტესმან, რომელი ჩუწნთვს და-ითხია, გვკსნა ყოველნი ჳელთა ეშ-მაკისათა. ეგრეთვე სისხლმან ამის მან, მობაძავად მკსნელისა ჩუენისა დათხეულმან, იკხნა მას ჟამსა კელ-თაგან უსჯულოსა მის მძლავრისათა: და ვიდრე აქამომდე ოკსნის ეკლესიათა ჩუენთა: რამეთუ ვითარცა მდინარენი დიდნი მრავალ ჟამ დაგუ-ბებულნი, და მერმე გამოშუწბით წარიღის ყოველივე წინა დამ-თხუწული. ეგრეთვე სისხლმან მის-მან წმიდამან: ქრისტესთვს დათხე-ულმან: ეკუწთა რად მძლავრსა მას უკეთურსა. წარიღო და უკუნ აქცია უსჯულო იგი მტერი ქრისტესი და ესოდენი იგი სიმრავლე მკედრობისა მისისაჲ: და უკეთუმცა ესე ესრეთ არა ქმნილიყო. სადაცა აღჯოცილ იყო საქართველოსა შინა ქრისტეა-

ნობად: რამეთუ უმეტესითა გულის-
წყრომითა და უმძვნვარესითა რისხ-
ვითა უფროს ყრუსა მის: ესე ბორგ-
და ჩუენ ქრისტეანეთა ზედა. და ენე-
ზად მოსპოლა ჩუენი. წარმოვიდა
მიერ და მოვიდა ჭიჭუმის თანა რო-
მელსა ეწოდა ასიმ: და ვითარცა ცნად
მოსლვად სანატრელისა ამის, განიხა-
რა ფრიად: აღდგა და მიეგება წინა.
და დიდითა დიდებითა და სიხარუ-
ლითა უზომოთა შეიწყნარა: და ვი-
თარცა შვენოდა დიდებულებასა ამის-
სა ეგრეთ პატივით მოიკითხა: და
დღე იგი დაყვეს ერთობით: და აქო
სიკეთე და სისრულე ჰასაკისა მისი-
სა: და უფროსად შუწნიერებად პი-
რისა მისისა. და შეუყვარდა ქცევა
და წესიერებად მისი: და დიდითა პა-
ტივითა პატივსცემდა. და განუსუფ-
ნებდა: და ნიჭთა დიდ დიდთა ანი-
ჭებდა: რამეთუ ღირსცა იყო სანატ-
რელი ესე ზეშთა დიდებულებისა და

პატივისა: არა ხოლო თუ ოდენ მე-
ფობითა და გუარ სიმაღლითა, არა-
მედ უფროსად შესახულებითა, და
ანაგებითა ბრწყიმვალეებითა. და სა-
თნიებითა სიკეთითა. უმეტესად ით-
ქუმოდენ შინაგანისა სულისა ბრწყი-
ნვალეებითა. და რამეთუ იცის სათ-
ნოებათა სიკეთემან შეკდიმებად ულ-
თოთაცა ვითარცა იგი გასმიესთ და-
ნიელისთვის წინასწარმეტყველისა: ვი-
თარ იგი განბრწყინდა ქალდეველთად
შორის. ეგრეთვე ესე მძლავრი. და.
დაცათუ ულთო იყო. არამედ სიკე-
თისად მისისაგან და დიდებულებისა

ეკლიმებოდა და პატივსცემდა. და გონებდაცა უგუნური იგი. პატივთა მათ მიერ და ნიჭთა მრავალთა აღთქმითა აცთუნოს ახოვანი ესე მკვდარი ქრისტესი: რომელი იგი თვთ ნეფსით თვსით უწოდებლად მოსრულ იყო: რათა იქმნეს მსხუფრპლ წმიდად უფლისად. და საკურთს უბიწოდ შეწი-

-272-

რული: ამისა შემდგომად იწყო ლიქნით სიტყუად მისა: და ცთუნებად: და აწუფვდა დატევებასა ქრისტეანობისასა. და აღუთქმიდა ნიჭთა დიდ დიდთა რათა აცთუნოს იგი და წინა უყოფდა პატივთა და საშუფბელთა საწუთროსათა და მეფობათა და კელმწიფებათა მამაპაპურთა უკუეთუ იქმნეს სარკინოზ და არ ერჩდეს სჯულსა ცრუ მოციქულისა მათისასა. რომელი ესე სმენადცა ძნელ უჩნდა ნეტარსა მას. და არცალა თუ გონებით მოგასაგონებელად. რამეთუ გონებითა განიცდიდა კეთილთა მათ საუკუნეთა. და მიხედვიდა. დიდებათა და პატივთა მოუგონებელთა და მიუწდომელთა, რომელი მიელის მოყვარეთა ღთისათა. და მოთმინეთა სახელისა მისისათა: და მტკიცითა გონებითი და უშიშითა სიტყვთა. მიუგო და ეტყოდა.

ნუ იყოფინ ჩემდა სმენადცა სიტ-

-273-

ყუად ეგე შენი ზ მძლავრო. ვითარმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი. ღთისაგან ჭეშმარიტისა. ძე დაუსაბამოჲსა მამისა და თანასწორი ყოვლად წმიდისა სულისა. რომელი

იგი უკანასკნელთა დღეთა წსნისათჳს
კაცთა ნათესავისა გარდამოჳდა ზე-
ცით და ჳორცინი შეისხნა ყოვლად
უბიწოსაჲ ქალწულისა მარიამისაგან.
და ჩუენგან მიღებულითა მით ჳორცი-
თა სიკუდილი დაითმინა. და დაეფლა
და აღდგაჲ ჲ თეებისა ძალითა. და
ამაღლდა ზეცად და მისთანა აღამაღ-
ლა ბუნებაჲ ჩუენი. და კჳალად მო-
მავალ არს დიდებითა ჲ თიჳ შუჳწნი-
ერთა. განსჯად ცხოველთა და მკუ-
დართა და მიგებად კაცად კაცადისა
საქმეთა მათთაებრ.

და უკეთუ ვისმინო შენი. უწ-
ყოდე. ვითარმედ შემდგომად მცირე-
დისა მოჳკუდე მეცა თქუენებრ სიკუ-

-274-

დილითა ბოროტითა და საუკუნოდ
ვიტანჯებოდე. და უკუეთუ შენ მომ-
კლა სახელისათჳს მისისა. მისთანაცა
აღვდგე. და მისთანა მოდიდო და მი-
სთანაცა ვსუფევედე საუკუნოდ და და-
უსრულებელად:.

ზა ესრეთ მოკლითა ამით სიტყჳ-
თა ჲთიჳ შუჳწნიერად გამოუსახა სა-
იდუმლო ჩუენისა ცხორებისა და გა-
ნგებულებაჲ განკაცებისა მისისა. და
მყის განუკუჳთა ნებაჲ იგი მისი სა-
ემშაკო: და უსიტყველ ყო ბილწი
იგი მთავარი: და მისთანა სირცხჳ-
ლეულ ყო მთავარი ბნელისა ბნელისა
ემშაკი. მომჳოვნებელი იგი ყოვლისა
ბოროტისა. ხოლო ანგელოზთა, ესმა
რაჲ ესე აღსარებაჲ, განიხარეს და აღ-
ტყჳლვითა ჳელითათა აქეს განმძლიე-
რებელი მოწამისა და შეასხმიდეს ახო-
ვნებასა და უშიშად კადნიერებასა მო-
ღვაწისასა:.

ხოლო ქრისტე თანამდებ ექმნა კა-

დნიერად აღმსარებელსა მისსა წინა-
შე მეფეთა და მთავართა. რათა მან-
ცა აღიაროს წინაშე დაუსაბამოსა
მამისა თვისისა: და წინაშე ანგელოზ-
თა მისთა წმიდათა:.

ხოლო ესმა რად მძლავრსა მას
უკეთურსა ყოველი ესე სიტყუადნი
მოწამისანი. და იხილა სიმტკიცე მი-
სი შეურყეველი: და დაუკვრდა ფრი-
ად და შესცვალა სიმშვედე მისი რის
ხვად. და ზაკვით მოპოვნებულინი ლი-
ქნანი გულის წყრომად: არა შეიკდი-
მა დიდებულებისაგან მისისა. არცა
პატივსცა შუწნიერებასა მისსა. არა-
მედ მყის უბრძანა შეპყრობად მისი.
და წარგზავნა იგი საპყრობილედ.
მრავლითა ჭირითა და იწროებითა:
რამეთუ ჰგონებდა იგი ნუ უკუფ ში-
შითა სატანჯველთათა მოდრიკოს შე-
ურყეველი გონებად მისი. რამეთუ
ღონისძიებით ისწრაფდა გარდაქცევა-
სა მისსა: ხოლო წმიდად იგი სიხა-

რულით და არა მწუხარებით მივი-
დოდა საპყრობილედ პირითა მხია-
რულითა. ვითარ თუმცა სასძლოდ
მიიწოდებოდა და არა საპყრობილედ:
და მადლობასა აღურებდა (!) ღმერ-
თსა, რომელ ღირს იქმნა სახელისათვის
მისისა ესე ვითარსა აღსარებასა წი-
ნაშე მეფეთა და მთავართა, და მერ-
მე მისთვის პყრობილებასა: და ვითა-
რცა მივიდოდა საპყრობილედა მგზავრ
გალობდა ფსალმუნთა დავითისთა და
იტყოდა:.

აღგამაღლო შენ უფალო რამეთუ
შემივედრე მე. და არა ახარე მტერ-
თა ჩემთა ჩემ ზედა: და ვიდრე და-

სრულებადმდე სრულ ყო ფსალმუნი
ესე: და შერავიდა დილეგსა მას ბნელ-
სა. იწყო უმეტესითა გულსმოდგინე-
ბითა ლოცვად და ვედრებად ღთისად
მიმართ: რათა არა მოუძღურდეს აღ-
სარებისა მისგან და სრულ იქმნეს-
ცა წამებად მისი: და ითხოვდა შე-

-277-

წევნასა მის მიერსა. რათა მრავლითა
მით მოწყალებითა მისითა ღირს ყოს
ნაწილსა მკვდრობისა წმიდათა თანა
სუფევასა შინა დაუსრულებელსა. რო-
მელთა იგი სიკუდილითა სანატრე-
ლითაჲ უკუდავებად მოიგეს: კუალად
იხარებდა იგი სულითა და მალლობ-
და ღმერთსა. და უფროს პალატა
სამეუფოთაჲ განისუფნებდა მათ შინა
მხიარულობით შეკრული ჯელით და
ფერჯით ჯაჭვთა მრჩობლითა: და ეცი-
ნოდა უსჯულოსა მის სიცბილსა: და
ჰნატრიდა აღსასრულსა მართალთასა.
და ილოცვიდა მიმდემად. და ზედაჲს
ზედა, რათა არა დაიხრწიოს მტრისა
მიერ ბოროტისა წინამდებარე იგი
ღუაწლი მისი:

არამედ მოწამესა ძალი მალლისა
ზეგარდამო ფარვიდა, და მკლავი უფ-
ლისად შეეწეოდა. და განამლიერებ-
და. ხოლო საპყრობილესა მას შინა
ზეგარდამო ჩუფნებანი. და ანგელო-

-278-

ზთა ხილვანი და ნუგეშინისცემანი
და განმლიერებანი. ჟამთა მიმყოვრე-
ბითა ჩუფნგან ზედამიწევნით უხმე
ნელ იქმნა:.

ხოლო მძლავრი იგი ბოროტი გა-
ნიძრახვიდა ფრიად. თუ ვითარ, რო-
მლითაჲა ღონითა მიაქციოს სჯულსა

მისსა. რამეთუ არა ენებად სიკუდი-
ლი მისი შუჭნიერებისათჳს ხატისა
მისისა და სიმაღლისათჳს და სისრუ-
ლისა ჰასაკისა მისისა. რამეთუ ჳორ-
ცთმოყუარე იგი და მსგზავსი პირუ-
ტყუთა უგუნურთა. ჳორციელად გა-
ნიძრახვიდა და პირუტყულად ხედვი-
და. და გარეშე ჳორცოა ფეროვნე-
ბაჲსა აქებდა და დაუკვრდებოდა ყვა-
ვილოვნებაჲ იგი სახისა მისი სა და
ყოვლადვე უმეცარ იყო უგუნური
იგი შინაგანსა მას შუჭნიერებასა
სულისა მისისა. რომლისა სიკეთესა
წინასწარმეტყუელი განკვრევებით იტ-
ყოდა: „უფალო ეც სიკეთესა ჩემსა

-279-

ძალი“ ამის სიკეთისათჳს იღუწიდა
ახოვანი იგი. რათა უბიწოდ დაუმარ-
ხოს უკუდავსა მას სიძესა: რათა მის
თანა სუფევდეს სასძლოსა მას ზეცი-
სასა: და მის თანა გამობრწყინდეს
ვითარცა მზე აღთქმისა მისებრ უტ-
ყუველისა სასუფეველსა მამისა მათი-
სასა: და ცხორებაჲ ესე წარმავალი
და დიდებაჲ და სუფევა ქუეყნისა ვი-
თარცა მტუჭრი განეყარა. და არა
რადღ შეერაცხა:.

მაშინ უკუჭ წარმოდგა მთავარი
ერთი გარდაბანელი მიქცეული სარ-
კინოზად წინაშე ასიმისა. რომლისა
მამის ძმაჲ მისი მოეკლა წანართა.
და მკლველნი იგი მისნი განერივნეს
მშჳდობით ჰაჰსა არჩილისასა ადარ-
ნასე მეფესა: ამისთჳს უკუჭ შური
იგო გარდაბანელმან მან მთავარმან
უკეთურმან: და ჳქჳა ასიმს:.

არა უწყია, დიდებულო მთავარო,
თუ ვინ არს ესე არჩილ. ესე არს მე

-280-

სტეფანოზ მეფისა ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი. რომელი იყო შვილის შვილი მირიან მეფისა ძისა ქარსუსი (!) მეფისა მის სპარსთასა: და ესე იყო მამისა თვისისა თანა, რაჟამს იგი დაჰვლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლოსსა და იგიცა ყოველივე იცის რომელ ჰერეკლე მეფემან ბერძენთამან დაფლა საგანძური თვისი. რამეთუ ჰერეკლეცა უჩუწნებდა სადა იგი დაჰვლვიდეს:.

ჟ უსჯულოსა მას შემსმენელსა. ჟ ბოროტსა მას განმძრახსა. ვითარ ემსგზავსა იუდას განმცემელსა. და არა ჰრცხუწნოდა პირველისა მის თვისისა განდგომილებისაგან, და მერმე სჯულისა უვარის ყთფისათვის. და იქმნა იგი შინა განმცემელ: არა შეიკდიმა პატიოსნებისაგან მისისა. და ესე ვითარისა მის კეთილისა პატრონისა თვისისა და არა რამს მავნებელისა: და ესრეთ აღსძრა მის ზედა მძლავრი იგი

-281-

უსჯულო და აღსჭურა სიკუდილად მისა:.

დაღაცათუ მას ნეტარსა. ფრიადითა წადიერებითა ადრევე სუროდა სიკუდილი ქრისტესთვის. რათამცა ადრე მიემთხვოს სასურველსა თვისსა. არამედ ვად მისთვის რომლისაჲ მიერ მოვიდეს საცთური სიტყვისაებრ უფლისაჲ:.

ესმა რად ესე ყოველი ასიმს, გარდაბანელისა მიერ: კუალად მოუწოდაჲ წმიდასა არჩილს საპყრობილით. და წარმოადგინა წინაშე თვისსა. და ესრეთ ეტყოდა:

პირველ თუალთ გადაუწნ სიკეთისათვის შენისა რამეთუ ფრიად ქმნილ

კეთილ ხარ: ხოლო აწ მითხრეს შენ-
თვს ვითარმედ შვილი ხარ დიდთა მე-
ფეთა ხუასროვანთა. და ვინათგან ესე
მეუწყა შენთვის აწ უმეტესად განს-
დიდნე ჩემ წინაშე უკუეთუ ისმინო
ჩემი. და იყოს ყოველი სამეფო შე-

-282-

ნი შენდავე. და საგანძურნიცა მამათა
შენთანი მიგანიჭნე შენვე: არამედ
მიჩუწნენ პირველად საგანძურნი მე-
ფეთა ბერძენთანი. რამეთუ შენ უწ-
ყნი ყოველი. ოდეს ჰერეკლე მეფე-
მან შემუსრა სპარსეთი. და საგანძუ-
რნი იგი მიერ მოხმულნი დაფლნა
საქართველოსა შინა:.

აწ მოიქეც სჯულსა ჩემსა და იქ-
მენ სარკინოზ. და სპასალარ გყო
შენ ერთა ზედა ურიცხუთა და მე-
ფე და უფალ ყოველსა საქართვე-
ლოსა ზედა:.

და სხვთა მრავლითა ლიქნითა ეტ-
ყოდა. და კუალად ნიჭთა და პატი-
ვთა დიდ დიდთა აღუთქმიდა. და ფრი-
ად აიძულებდა წმიდასა მას უვარის
ყოფად ქრისტესა და დატევებად სარ-
წმუნოებისა:.

მაშინ მიუგო წმიდამან არჩილ და
ეტყოდა. უწყოდე მტკიცედ ჟ მძლავ-
რო, ვითარმედ არა დაუტეო უფა-

-283-

ლი ღმერთი ჩემი. არცა უვარ ვყო
სახელი ქრისტესი. არცა განვყიდო
წარუვალი იგი დიდებაჲ წარმავალი-
სა ამის და ცუდისა დიდებისათვს.
არცა განვსცვალო საწუთროსა ამის
ცხორებისათვს საუკუნოდ იგი ცხო-
რებაჲ. და მეფობისათვს ჟამიერისა
უჟამოსა მისთვს ქრისტეს თანა მეფო-

ბისა და სუფევისა: ხოლო საგანძურ-
თა მათთჳს, რომელსა ეძიებ ჩემგან,
უწყოდე ესეცა მტკიცედ. რამეთუ
მცირე ვიყავ ჰასაკითა ოდეს იგი გან-
ვლო ქუეყანად ესე ჰერეკლე მეფე-
მან. ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან
ჩემმან დასცნეს ყოველნი საგანძურნი
მათნი ციხესა მას სადათ იგი შეიქცა
ყრუდ ამირა. და აწ აქუსთ ციხე იგი
ბერძენთა:.

მერმე მიუგო ასიმ ღა ჰქუა წმი-
დასა მას: შენ უკუჭ იყავა დაცემასა
მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა:.

მიუგო წმიდამან არჩილ ბრწყინვა-

-284-

ლითა და მალლითა ჳმითა: ღმერთმან
ცხოველმან, რომელ არს შემოქმედი
ცათა და ქუეყანისა, რომელი იგი მო-
ვიდა ზეცით ქუეყნად ჳსნისათჳს კაც-
თასა და სიკუდილითა თჳსითა მო-
კლა მკლველი ჩუენი და ჩუენ მო-
გუანიჭა უკუდავებად: მან უკუჭ ძლი-
ერმან და ყოვლისა შემძლებელმან
დასცნა და შემუსრნა იგინი:.

ესმა რად ესე უსჯულოსა მას. აღი-
ვსო გულისწყრომითა დაუპყრობელი-
თა: არღარა სიმშჯდით პირველისა-
ებრ და ლიქნით ეძრახა. არცალა
აღთქმითად და ქადებითა ნიჭთა და
პატივთათა. არამედ მკსინვარედ და
სახე ბოროტებით მიუგო წმიდასა მას:
ვინათგან არა გნებავს ცხორებად თა-
ვისა შენისა და უმჯობესი შენი. და
მოკუდავისა მიმართ დაგიც სასოებად.
ჯერ არს რათა შენცა მოჰკუდე ბო-
როტად:.

მაშინ აღივსო სამგზის სანატრელი

-285-

იგი სიხარულითა და მიუგო ჳმითა
მადლითა და ჳქუა: მეყავნ მე და ყო-
ველთა მეგობართა ჩემთა სიკუდილი
ჩუენთვს მომკუდარისა მისთვს მეუ-
ფისა. რათა მისთანაცა ვსუფევდეთ:.

მაშინ ბრძანა უსჯულომან წარ-
კუჭთა თავისა მისისა. და ესრეთ
უმსჯავროდ განსცა მისთვს სიკუდი-
ლისა განჩინებაჲ: არა ჳრიდა სიკე-
თესა მისსა. არა შეიკდიმა დიდებუ-
ლებისაგან. წარჩინებულებისა მისისა.
განიყვანეს გარე ტარიგი იგი ქრის-
ტესი. ნეფსით მოსრული იგი საკუ-
ჭრთხი შესაწირავად უფლისაჲ რათა
შეიწიროს სულად სულნელად სა-
კურთხეველსა მას ზეცისასა.

და გამოვიდა პირითა მხიარულითა
ვითარცა სასძლოდ მიმავალი და არა
თუ სიკუდილად. და ეგრეთცა ჳერ
არს თქმად. რამეთუ ზეცისა სასძლოდ
მიიწოდებოდა. ქრისტეს თანა სუფე-
ვად და დაუსრულებლად მეფობად.

-286-

და ბრწყინვიდა პირი მისი ვითარცა
პირი ანგელოზისაჲ

მაშინ მცირედ დრო ითხოვა რათა
ილოცოს: და ვითარცა დრო სცეს.
მიიდრიკნა მუკლნი და ცრემლით
იატაკსა დაალტოგდაჲ. და მერმე ჳელ-
ნი აღიპყრნა ზე: და დიდად მადლო-
ბასა აღუარებდა მეუფესა. რომელ
ღირს იქმნაჲ ესე ვითარსა აღსარება-
სა სახელისა მისისათვს: და სიკუდილ-
სა. და ილოცა დაცვისათვს ეკლესი-
ათასა და საქართველოსა შინა განძ-
ლიერებისათვს ქრისტეანობისა: და
მერმე ილოცა მეუღლისა და შვილ-
თა თვსთათვს. რათა სარწმუნოებასა
შინა ქრისტესსა დაემტკიცენ: რამე-
თუ ორნი ძენი ესხნეს ამას ნეტარსა

დარიასაგან და ორნი ასულნი. და იგინი პირველვე შეჰვედრნა სარწმუნოთა კაცთა: და კუალად ილოცვიდა და იტყოდა. უფალო ღმერთო, რომელნი აკსენებდენ ღუაწლთა ჩემ-

-287-

თა და სახელისა ჩემ ცოდვილისა მონისა შენისათა გვედრებოდინ აღუსრულე ყოველი კეთილი თხოვაჲ მათი. და აღევსენ იგინი უხუჭბითა კეთილთა ნიჭთა შენთათა: და მერმე ილცვიდა და მჭურვალედ ევედრებოდა. რათა ღუაწლი მისი სრულ ყოს და აღრაცხოს სრულთა წმიდათა თანა. რომელთა მისთვის სიკუდილი თავს იდვეს. და რათა ღირს იქმნეს გვრგვნსა ზეცისა ჩინებისსა.

და ვითარცა სრულ ყო ლოცვა იგი. აღდგა ზე. და მერმე წარუპყრა ქედი თვისი და უბრძანა, რათა სრულ ყონ ბრძანებული მათდა:.

ხოლო მტარვალთა აღიმაღლნეს მარჯუენე მათი. და უხეთქნეს ქედსა მახვლითა. და ეს ეთ წარკუჭეთეს თავი იგი ღთივ შუჭნიერი: თუჴსა მირკნისასა მარტსა ოცსა:.

და აღვიდა უკუდავსა მას ცხორებაჲსა: სადა იგი ბრწყინავს ნათელი

-288-

თუალთ შეუდგამი. და მწეიდრობანი უჯორცოთანი. დაუცხრომელითა ჳმითა ღაღადებენ. სამგზის წმიდასა გალობაჲსა: სადა იგი არს სიხარული გამოუთქმელი. შუჭზად დაუსრულებელი. დიდებაჲ მოუგონებელი. და სიმდიდრე დაუღვენელი. და ოხრა დღესასწაულთა მოუკლებელი. სადა იგი სუფევენ გუნდი წმიდათა მოცი-

ქულთა და წინასწარმეტყუელთანი.
სადა იგი ზადიკობენ მღდელთ მოძ-
ლუართა და მამათა სიმრავლენი. და
წმიდათა მოწამეთა აღურაცხელი მკვე-
დრობადთაჲ ბრწყინვალეზანი: და
ლთივ შუწნიერად განსცხრებიან. მუნ
შეერთო და მუნ ოხრებს და მუნ
იშუჭზს ძელითა (!) მით ცხორები-
სათაჲ: და აღივსების სიტკბოებითა
მით მიუწდომელითა და ხედავს პირ-
საჲ ქრისტესსა უსაზღროსა მას შუჭ-
ნიერებასა. და ზეშთა ყოველთა სი-
კეთეთასა: და განიცდის დიდებასა

-289-

მას მოუგონებელსა წმიდისა და გა-
ნუყოფელისა სამებისა ერთ ღუთაე-
ზასსა. თჳნიერ სარკისა და სახისა. და
სხუადთა მათ მოუგონებელთა კეთილ-
თა შინა იშუჭზს. და განსცხრების.
რომელი განუმზადა ღმერთმან მო-
ყუარეთა თჳსთა. რომელი თუალმან
არა იხილა. ყურსა არა ესმა და გულ-
სა კაცისა არა მოუჳდა.

და ჩუენთვს ჰყოფს მეოხებასა წი-
ნაშე მეუფისა. რომელნი აღვასრუ-
ლებთ სურვილით დღესასწაულსა მი-
სსა:.

ხოლო ვითარცა აღესრულა ღუა-
წლით შემოსილი იგი მოწამე. მას
ღამესა მოვიდნეს გოდერძიანნი იგი
ტბელნი. და მათთანა სხუადნიცა აზ-
ნაურნი მამიანნი. და იდუმალ აღი-
ღეს გუამი წმიდისა არჩილისნი: წარ-
მოიღეს და შებურნეს დიდითა პატი-
ვითა. დაკრძალეს საფლავსა შინა
სოფელსა ნოტოკრას. მის მიერვე აღ-
შენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცო-

-290-

ლმან ამის ნეტარისამან: დარია მიუ-
ბოძა სოფლები კახეთს შინა სამკვდ-
რებელად. რომელთა მოელო გუამი
წმიდისად მოწამისა არჩილისნი:.

ხოლო აწ ჩუენცა მორწმუნენო
ვადიდებდეთ ღუაწლით შემოსილსა
ამას მოწამესა. და სიმკნეთა და ახო-
ვნებათა მისთა შევასხმიდეთ. და უფ-
როსად განმძლავრებულსა მისსა გვრ-
გვნოსან მყოფელსა მოწამეთასა ქრი-
სტესა თაყუანის ვცემდეთ: რომელმან
ესრეთ ადიდა მოწამე თვისი. და ეს-
რეთ ბრწყინვალედ გვრგვნოსან ყო:
ჩუენცა შევზაოთ სურვილი სურვილ-
სა მისსა და გულს მოდგინებად გულს
მოდგინებასა მისსა. და სიყუარული
სიყუარულსა მისსა თანა, რომელი იჩი-
ნა ღუთისად მიმართ. რათა ჩუენცა
ვიდიდნეთ მის თანა. და უკუეთუ ესე
არა იქმნეს. ესეცა დიდ არს უკუე-
თუ ვიხილოთ შუწნიერებად იგი წმი-

-291-

დათა და ჩუენცად გუაქუნდეს რადმე
ნაწილი მათ თანა:.

დაღაცათუ არავინ გაიძულებდეს
წამებად. არამედ წინა აღუდგეთ ემ-
მაკსა. რამეთუ მარადის გაიძულებს
უვარის ყოფად ქრისტესა საქმეთა მი-
ერ ბოროტთა. მოვაკუდინნეთ ასონი
ქვეყანისანი. დავთრგუნეთ გულის
თქუმანი ბოროტნი. და გემონი სა-
წუთროსანი. შეურაცხ ვყუნეთ ანგა-
რებისა მძლავრებად და ვეცხლის მო-
ყუარობისა სურვილი. მოვიმადლოთ
ღმერთი მიცემითა გლახაკთათა და
შემოსითა შიშველთათა: მოვიგოთ
სიყუარული უზაკველი. რათა ჩუენცა
შემოყვარნეს უფალმან ტკბილმან და
სახიერმან. და გუადიდნეს წმიდათა
თვისთა თანა: რამეთუ უშურველ არს

მადლი მისი. რომელნიცა ხადიან მას:
და რომელნი ხადიან ჭემმარტებით:
რამეთუ მისი არს დიდებაჲ და პატი-
ვი დიდ შუწნიერებაჲ და დიდ გო-

-292-

ნიერებაჲ უფალსა ჩუენსა და ღმერ-
თსა ივსო ქრისტესა. ძესა ღთისაჲსა
თანა დაუსაბამოდთ მამით მისით. და
ყოვლად წმიდით სახიერით და ცხო-
ველს მყოფელის სულითურთ. აწ და
მარადის და დაუსრულებელთა მათ
საუკუნეთა უკუნისამდე ამინ:. ..
